



WWF

REPORT

2016

საქართველოში მტკნარი წყლის ეკოსისტემების
დაცვისა და წყლის რესურსების მართვის სფეროში
არსებული საკანონმდებლო ბაზის ევროკავშირის
კანონმდებლობასთან შესაბამისობის კვლევა

ეროვნული ანგარიში

2016



Federal Ministry for the
Environment, Nature Conservation,
Building and Nuclear Safety

Umwelt
Bundesamt

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია „სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მტკნარი წყლის ეკოსისტემების დაცვისა და წყლის რესურსების მართვის სფეროში არსებული ეროვნული საკანონმდებლო ბაზის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის კვლევის“ ფარგლებში. კვლევა შესრულდა გერმანიის გარემოს, ბუნების დაცვისა და ბირთვული უსაფრთხოების ფედერალური სამინისტროს (BMUB) ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიის, ცენტრალური აზიისა და ევროკავშირის სამეზობლოს სხვა ქვეყნებისთვის გარემოსდაცვითი საკონსულტაციო დახმარების პროგრამის (AAP) ფინანსური მხარდაჭერითა და გერმანიის გარემოს ფედერალური სააგენტოს (UBA) ზედამხედველობით. ანგარიშის შინაარსთან დაკავშირებული პასუხისმგებლობა ეკისრებათ ანგარიშის ავტორებს.

ავტორები:

ეკატერინე ოთარაშვილი, ეროვნული კონსულტანტი საქართველოში. მუშაობს საერთაშორისო გარემოსდაცვით სამართალსა და ბუნებრივი რესურსების მართვის სფეროში. დამთავრებული აქვს პეისის უნივერსიტეტის გარემოსდაცვითი სამართლის მაგისტრატურა და არის IUCN-ის გარემოსდაცვითი სამართლის კომისიის წევრი.

კრისტოფერ ჰედლი, საერთაშორისო კონსულტანტი, კვალიფიცირებული იურისტი და IUCN-ის გარემოსდაცვითი სამართლის კომისიის წევრი, 20 წლიანი გამოცდილებით ევროკავშირისა და საერთაშორისო გარემოსდაცვით სამართალსა და ბუნებრივი რესურსების მართვის სფეროში 40 ქვეყანაზე მეტში.

© 2016 ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი (WWF კავკასიის წარმომადგენლობა, WWF გერმანია)

ყველა უფლება დაცულია

ფოტო: მდინარე რიონი, საქართველო © WWF კავკასიის წარმომადგენლობა

დიზაინი: დავით გაბუნია

შემოკლებები და განმარტებები	iv
შესავალი	v
მეთოდოლოგია	vi
რეზიუმე	1
ნაწილი 1 ზოგადი ინფორმაცია	8
1.1 საქართველოს მტკნარი წლის ეკოსისტემების მიმოხილვა	8
1.2 ძირითადი საფრთხეები, გამოწვევები და შესაძლებლობები	8
1.3 ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება	9
1.4 პოლიტიკა და საკანონმდებლო კონტექსტი	10
ნაწილი 2 საერთაშორისო და ევროპული სამართლებრივი ჩარჩოები	12
2.1 საერთაშორისო სამართალი	12
2.2 საერთაშორისო კონვენციები წყლის სფეროში	12
2.3 საერთაშორისო კონვენციები კონსერვაციის სფეროში	13
2.4 სხვა საერთაშორისო გარემოსდაცვითი კონვენციები	14
2.5 ევროკავშირის კანონმდებლობა	14
2.6 სხვა კანონმდებლობა	16
ნაწილი 3 ეროვნული კანონმდებლობა და პოლიტიკა	17
3.1 წყლის ჩარჩო დერექტივასთან შესაბამისობა	17
3.2 ურბანული ჩამდინარე წყლების დირექტივასთან შესაბამისობა	25
3.3 გარემოს ხარისხის სტანდარტების დირექტივასთან შესაბამისობა	28
3.4 შესაბამისობა ნიტრატების დირექტივასთან	29
3.5 წყალდიდობების დირექტივასთან შესაბამისობა	31
3.6 ფრინველთა და ჰაბიტატების დირექტივასთან შესაბამისობა	33
3.7 სხვა კანონმდებლობა	34
ნაწილი 4 დასკვნები და რეკომენდაციები	38
4.1 კომენტარები და დასკვნები	38
4.2 რეკომენდაციები	41

შემოკლებები და განმარტებები

AA	ასოცირების შესახებ შეთანხმება ერთისმხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებსა და მეორესმხრივ, საქართველოს შორის
AEWA	შეთანხმება აფრიკა-ევრაზიის მიგრირებადი წყლის ფრინველების დაცვის შესახებ
APA Georgia	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაცული ტერიტორიების სააგენტო
BD	დირექტივა გარეული ფრინველების კონსერვაციის შესახებ (ფრინველთა დირექტივა)
Bern Convention	ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის ევროპის საბჭოს კონვენცია
BMU	გარემოსდაცვის, ბუნებისდაცვისა და ბირთვული უსაფრთხოების ფედერალური სამინისტრო
CA	კომპეტენტური ორგანო
CBD	ბიოლოგიური მრავალფეროვნების კონვენცია
CENN	კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციათა ქსელი
CMS	ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის კონვენცია
CMS AEWA	შეთანხმება აფრიკა-ევრაზიის მიგრირებადი წყლის ფრინველების დაცვის შესახებ
DRR	ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირება
EBA	ფრინველების ენდემური სახეობების უბნები
EIA	გარემოზე ზემოქმედების რისკის შეფასება
EQSD	გარემოს ხარისხობრივი ნორმების დირექტივა
ENP	ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკა
ENPAP	ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა
EU	ევროკავშირი
FD	დირექტივა წყალდიდობების რისკების შეფასებისა და მართვის შესახებ
GIZ	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება
HD	ჰაბიტატების დირექტივა
HMWBs	ძლიერ სახეშეცვლილი წყლის ობიექტები
IBAs	მნიშვნელოვანი ორნიტოლოგიური ტერიტორიები
IRBMP	მდინარის აუზის ინტეგრირებული მართვის გეგმა
LEPL	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
MAD	დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმები
MEA	მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება
MENRP	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
ND	სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ნიტრატებით დაბინძურებისაგან წყლების დაცვის შესახებ (ნიტრატების დირექტივა)
NEA Georgia	საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო
NVZ	ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონები
p.e.	მოსახლეობის ექვივალენტი
PoM	მოქმედებათა პროგრამა
Ramsar Convention	საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების დაცვის კონვენცია
RBD	მდინარის აუზის უბანი
SEA	სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება
SBSTTA	სამეცნიერო, ტექნიკურ და ტექნოლოგიურ საკითხებში საკონსულტაციო დამხმარე ორგანო
SWOT Analyses	ძლიერი და სუსტი მხარეებისა და შესაძლებლობა-საფრთხის ანალიზი
UBA	გერმანიის გარემოს ფედერალური სააგენტო
UN	გართიანებული ერების ორგანიზაცია
UNECE Water Convention	გაეროს კონვენცია საერთაშორისო წყლის ობიექტების არასანავიგაციო მიზნებისთვის გამოყენების კანონის შესახებ (გაეროს წყლის კონვენცია)
UWWTD	ურბანული ჩამდინარე წყლის განმენდის დირექტივა
WFD	წყლის ჩარჩო დირექტივა
WSSD	მდგრადი განვითარების მსოფლიო სამიტი
WWF	ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდი
WWTP	წყლის გამწმენდი სადგური

შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მტკნარი წყლის ეკოსისტემების დაცვისა და წყლის რესურსების მართვის სფეროში არსებული საკანონმდებლო ბაზის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის რეგიონალური კვლევის ეროვნულ კომპონენტს. კვლევა განხორციელდა გერმანიის გარემოს, ბუნების დაცვისა და ბირთვული უსაფრთხოების ფედერალური სამინისტროს (BMUB) ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიის, ცენტრალური აზიისა და ევროკავშირის სამეზობლოს სხვა ქვეყნებისთვის გარემოსდაცვითი საკონსულტაციო დახმარების პროგრამის (AAP) ფინანსური მხარდაჭერითა და გერმანიის გარემოს ფედერალური სააგენტოს (UBA) ზედამხედველობით. რეგიონალურ და ეროვნულ კვლევებს კოორდინაციას უწევდა WWF კავკასიის წარმომადგენლობა, WWF აზერბაიჯანი და WWF სომხეთი, WWF გერმანიასთან მჭიდრო თანამშრომლობით.

რეგიონალური კვლევის მიზნებს წარმოადგენდა: (i) მტკნარი წყლის ეკოსისტემების დაცვისა და წყლის რესურსების მართვის სფეროში არსებული ეროვნული საკანონმდებლო ბაზის შესწავლა; (ii) მათი ევროკავშირის გარემოსდაცვითი კანონმდებლობასთან შესაბამისობის ანალიზი; და (iii) ეროვნული საკანონმდებლო ბაზის ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის მიზნით რეკომენდაციების მომზადება. კვლევის ფარგლებში ხაზგასმით იქნა აღნიშნული სამხრეთ კავკასიაში ტრანსსასაზღვრო მტკნარი წყლის ეკოსისტემების დაცვის მიზნით რეგიონალური თანამშრომლობის გაძლიერების მნიშვნელობის შესახებ.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში მტკნარი წყლის ეკოსისტემების დაცვისა და წყლის რესურსების მართვის სფეროში არსებული ეროვნული საკანონმდებლო ბაზის ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობის კვლევა მოიცავს სამ ეროვნულ (აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი) და რეგიონალურ ანგარიშებს.

მეთოდოლოგია

წინამდებარე ანგარიში აფასებს საქართველოში მტკნარი წყლების ბიომრავალფეროვნების კონსერვაციის სფეროში საკანონმდებლო მართვის მექანიზმების თანხვედრას ევროკავშირის შესაბამის მექანიზმებთან. ევროკავშირის ჩარჩო დირექტივები წარმოადგენს მტკნარი წყლების ეკოსისტემის მართვის ყოვლისმომცველ და დეტალურ სისტემებს; საქართველო მიისწრაფის ევროკავშირისკენ და კანონმდებლობის ჰარმონიზაცია მთავრობის აღიარებული პრიორიტეტია. ამასთან ერთად, ევროკავშირის დირექტივები თავისთავად ეფუძნება საერთაშორისოდ აღიარებულ სტანდარტებსა და პრინციპებს, რომლებიც მოცემულია ტრანსსასაზღვრო წყლისა და/ან გარემოს დაცვის სფეროში თანამშრომლობის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებებში. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველო წარმოადგენს მხარეს ან აპირებს, რომ გახდეს შესაბამისი ხელშეკრულებების მხარე, ეს სტანდარტები და პრინციპები მნიშვნელოვანია საქართველოსთვის.

წინამდებარე კვლევა ითვალისწინებს ეროვნული კანონმდებლობის, პოლიტიკისა და ინსტიტუციონალური ღონისძიებების თანხვედრის შეფასებას ევროკავშირის კანონმდებლობის ორ ჯგუფთან, ახდენს რა ფოკუსირებას იმ მოთხოვნებზე, რომლებიც საჭიროა მტკნარი წყლის ეკოსისტემების კონსერვაციის ეფექტიანი განხორციელებისთვის. ეს ორი ჯგუფია:

1. წყლის ჩარჩო დირექტივა (WFD), რაც მოიცავს წყლის ჩარჩო დირექტივაში გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სტრუქტურებთან შესაბამისობის შეფასებას და იმ ძირითადი ნაბიჯების განსაზღვრას, რომელიც უნდა გადაიდგას მდინარის აუზის მართვის დაგეგმვისა და მართვის მიდგომების ჩამოყალიბების პროცესში; გარდა ამისა, ყურადღება ეთმობა ზოგიერთ კონკრეტულ წყლის დირექტივას, ურბანული ჩამდინარე წყლების, გარემოს ხარისხის სტანდარტების, ნიტრატებისა და წყალდიდობების დირექტივების ჩათვლით; და
2. ძირითადი გარემოსდაცვითი კანონმდებლობა – ჰაბიტატებისა და ფრინველთა დირექტივები, აგრეთვე დირექტივები გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA) შესახებ, სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (SEA) შესახებ და გარემოსთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე წვდომის შესახებ.

წინამდებარე ანგარიშის მასშტაბის, ევროკავშირის კანონმდებლობის საერთო სირთულისა და დონის, საქართველოში ამ სექტორებში კანონმდებლობის განვითარების ამჟამინდელი ეტაპისა და ასევე სომხეთსა და აზერბაიჯანთან დაკავშირებულ ანგარიშებში სტანდარტული მეთოდოლოგიის უზრუნველყოფის საჭიროების გათვალისწინებით, ევროკავშირის კანონმდებლობის ანალიზი განხორციელდა ზოგად დონეზე და ფოკუსირებულია იმ ძირითად და ინდიკატიურ ღონისძიებებზე, რომელთაც შესაძლოა მოახდინონ მომავალი საკანონმდებლო საფუძვლების ფორმირება სამხრეთ კავკასიაში. ძირითადი და ინდიკატიური ღონისძიებები შეეხება წყლის ჩარჩო დირექტივის ფარგლებში მდინარის აუზის მართვის მიზნით მთავარი ინსტიტუციონალური სტრუქტურების ჩამოყალიბებას; წყლების გარემოს კარგი ხარისხის (სტატუსი „კარგის“) მიღწევისთვის აუცილებელი ღონისძიებების, კონსერვაციასთან დაკავშირებული ზომების მიღების და/ან ეკოლოგიური საფრთხეების შეზღუდვის და გარემოსდაცვითი კანონმდებლობის გავლენას.

ანალიზის მიზნებისათვის შერჩეული ყველა ძირითადი ელემენტისთვის გამოიყენება შესაბამისობის ხარისხის განსაზღვრის (შედარების) პროცესი, ამ მეთოდის გამოყენებით ყურადღება მახვილდება შესაბამისობის ზოგად ხარისხზე. შედარება ხორციელდება სამი ძირითადი საფეხურის მეშვეობით:

საფეხური 1: არსებობს თუ არა შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა?

საფეხური 2: ეროვნულ კანონმდებლობაში ევროკავშირის ვალდებულებები ნაწილობრივ არის წარმოდგენილი თუ სრულად?

საფეხური 3: ეროვნულ იმპლემენტაციაში ევროკავშირის ვალდებულებები ნაწილობრივ სრულდება თუ სრულად (ან გააჩნია თუ არა ქვეყანას ვალდებულების ნაწილობრივ ან სრულად შესრულების შესაძლებლობა)?

საბაზისო კრიტერიუმებთან მიმართებაში, შესაბამისობის ხარისხის ანალიზი შემდეგნაირად გამოიყენება:

შესაბამისობის დაბალი ხარისხი	არ არსებობს კანონმდებლობა, რომელიც მოიცავს ევროკავშირის შესაძარებელ ნორმას, ან არსებობს კანონმდებლობა, რომელიც მოიცავს შესაძარებელის ტიპის ნორმას, მაგრამ კონკრეტული დებულებები არ შეესაბამება ღონისძიებებს, რომლებსაც ითვალისწინებს ევროკავშირის კანონმდებლობა. მაღალი დონის ექვივალენტობის მისაღწევად საჭირო იქნებოდა სრულიად ახალი კანონმდებლობის შემოტანა.
შესაბამისობის საშუალო ხარისხი	არსებობს კანონმდებლობა, რომელიც მოიცავს ევროკავშირის კანონმდებლობის შესაძარებელი ტიპის ნორმის მსგავს ნორმას; ამასთან, შესაძლებელია ევროკავშირის ნორმის რიგი ელემენტების იდენტიფიცირება ეროვნულ ნორმებში. აღსრულება შეიძლება შეზღუდული სახის იყოს. მაღალი დონის შესაბამისობის მიღწევა მოითხოვს არსებულ კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანას და/ან ინსტიტუციონალური, ადმინისტრაციული ან შესაძლებლობების გაძლიერებას, აღსრულების გაუმჯობესების მიზნით.
შესაბამისობის მაღალი ხარისხი	არსებობს კანონმდებლობა, რომელიც მოიცავს ევროკავშირის კანონმდებლობაში არსებული შესაძარებელი ნორმის მსგავსი ტიპის ნორმებს, და ეროვნულ კანონმდებლობაში შესაძლოა ისეთი ელემენტების იდენტიფიცირება, რომლებიც სავარაუდოდ უზრუნველყოფს ან ძირითადად უზრუნველყოფს ევროკავშირის ნორმით მისაღწევ შედეგებს. ამასთან, უფრო მაღალი დონის შესაბამისობის მიღწევის მიზნით, შესაძლოა გათვალისწინებული იქნას ცვლილებების შეტანა, მაგრამ ამგვარი ცვლილებები მნიშვნელოვან ზეგავლენას არ მოახდენს ეროვნული კანონმდებლობაზე.

ევროკავშირი–საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების მიმდინარე კონტექსტის გათვალისწინებით, რომლის ფარგლებშიც საქართველოს წყლის და გარემოს დაცვის კანონმდებლობის არსებითი რეფორმები მომზადების აქტიურ ეტაპზეა, წინამდებარე ანგარიშში გაანალიზებულია საქართველოში მომზადებული ის კანონპროექტები, რომლებიც, მომზადებისა და დამტკიცების თვალსაზრისით, დასრულების სტადიაშია და რომელთა განხილვა შესაძლებელი იყო. რადგან კანონპროექტის განხორციელების შეფასება შეუძლებელია, განხორციელების ასპექტების შეფასების მიზნებისათვის, ანგარიშის ავტორებმა შეაფასეს არსებულ კანონმდებლობასთან დაკავშირებული განხორციელების და ინსტიტუციონალური / მმართველობითი სტრუქტურები; ამასთან, გათვალისწინებული იქნა ახალი კანონმდებლობის განხორციელების მომავალი შესაძლებლობები.

რეზიუმე

წყლის საერთო და მტკნარი წყლის ეკოსისტემები საქართველოში

წყალი საქართველოში უხვადაა. ქვეყანა მდიდარია როგორც ზედაპირული ისე მინისქვეშა წყლის რესურსით. საქართველოში 26,000-ზე მეტი მდინარეა, რომელთა კალაპოტების საერთო სიგრძე 60 000 კმ-ია. საქართველოს ტერიტორიაზე 800 მეტი მტკნარი ტბა, 43 წყალსაცავი და მრავალი მყინვარია. ქვეყანა ფლობს მნიშვნელოვან მინისქვეშა წყლის რესურსსაც. მინისქვეშა მტკნარი წყლის საერთო მოცულობა დაახლოებით 24 მილიონი კუბური მეტრია. წყალი სასიცოცხლო რესურსია საქართველოს მოსახლეობისთვის. ამასთან, მტკნარი წყლის ეკოსისტემები წყლისა და ხმელეთის მდიდარი ბიომრავალფეროვნებისთვის უმნიშვნელოვანეს საბინადრო გარემოს ქმნის. ორ ქარბტენიან ტერიტორიას რამსარის კონვენციის შესაბამისად მინიჭებული აქვს საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ქარბტენიანი ტერიტორიის სტატუსი: ისპანის ტბა (770 ჰა) და ცენტრალური კოლხეთის ქარბტენიანი ტერიტორიები (33,710 ჰა).

საქართველოში არსებული მტკნარი წყლის ეკოსისტემები მოწყვლადია ისეთი საფრთხეების მიმართ როგორიცაა: წერტილოვანი და დიფუზური დაბინძურება დასახლებების, სოფლის მეურნეობის, უკანონო და უზარისხო ნაგავსაყრელებისა და მრეწველობიდან. აგრეთვე სხვადასხვა ინდუსტრიული სექტორის ზემოქმედება, მაგ. წიაღისეულის მოპოვება, ჰიდროენერგეტიკა, კვებისა და სხვა მრეწველობა. სოფლის მეურნეობაში გამოყენებული ქიმიური ნივთიერებებით გამოწვეული დაბინძურება და სანარმოო და საყოფაცხოვრებო ჩამონარე წყლები საფრთხეს უქმნის საქართველოს მტკნარი წყლის ეკოსისტემებთან ასოცირებულ მრავალ სახეობას. სამშენებლო და ინფრასტრუქტურული პროექტები, მათ შორის გზები და ჰიდროელექტრო გადამცემი ხაზები, აგრეთვე ინდუსტრიული და ურბანული განვითარება ამცირებს სახეობების საბინადრო გარემოს.

ეროვნული პოლიტიკა და საკანონმდებლო კონტექსტი

წყლის რესურსების მართვა საქართველოში ამჟამად ადმინისტრაციულ – ტერიტორიული დაყოფის საზღვრების შესაბამისად ხორციელდება. წყლის მართვის ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტი არ არსებობს. ზედაპირული წყლის რესურსების მართვა ძირითადად საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს (MENRP) აკისრია. სამინისტრო, პასუხისმგებელია ზედაპირული წყლის რესურსების სახელმწიფო მართვასა და დაცვაზე, ასევე წყლის მონიტორინგის სისტემების შექმნასა და მონიტორინგის განხორციელებაზე. წყლის რესურსების მართვაში თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს აგრეთვე: შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რეგიონალური განვითარების სამინისტრო და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

წყლის სექტორის მარეგულირებელი მთავარი ნორმატიული აქტია 1997 წლის საქართველოს კანონი წყლის შესახებ, ამასთან არსებობს 15-ზე მეტი სხვა კანონი რომელიც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს წყლის რესურსების მართვასა და დაცვასთან, აგრეთვე გარემოსდაცვით პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებზე. კანონმდებლობა შეიცავს მრავალ ურთიერთგამომრიცხავ დებულებას, იგი ძლიერ დანაწევრებული და არსებითად მოძველებულია. საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა ეროვნულ პროგრამაში აღნიშნულია, რომ საქართველოს კანონი წყლის შესახებ არ მოიცავს ყველა ასპექტს წყლის მართვისა და დაცვის სფეროში და მოკლებულია სხვა სექტორებთან კავშირს.

საერთაშორისო სამართალი

საქართველო მონაწილეობს მტკნარი წყლის ეკოსისტემების კონსერვაციასთან სხვადასხვა კუთხით დაკავშირებულ მრავალ საერთაშორისო ხელშეკრულებაში, მაგრამ საქართველო არ წარმოადგენს ორი მთავარი წყლის კონვენციის მხარეს. ეს კონვენციებია: UNECE კონვენცია ტრანსსასაზღვრო წყლის ნაკადებისა და საერთაშორისო ტბების დაცვისა და გამოყენების შესახებ, რომელიც ეხება ტრანსსასაზღვრო წყლების დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის საკითხებს წყლის რესურსების რაციონალური გამოყენების უზრუნველსაყოფად; და გაეროს კონვენცია საერთაშორისო წყლის ობიექტების არასანავიგაციო მიზნებისთვის გამოყენების კანონის შესახებ რომლის მიზანია საერთაშორისო წყლის ობიექტებზე მზარდი მოთხოვნისა და დაბინძურების შედეგან წარმოშობილი მნიშვნელოვანი პრობლემების მოგვარება.

საქართველოს რატიფიცირებული აქვს ისეთი უმთავრესი გარემოსდაცვითი კონვენციები, როგორიცაა: ბიომრავალფეროვნების კონვენცია, ველურ ცხოველთა მიგრირებადი სახეობების კონვენცია (CMS/ბონის კონვენცია), შეთანხმება აფრიკა-ევრაზიის მიგრირებადი წყლის ფრინველების დაცვის შესახებ (CMS AEWA), კონვენცია საერთაშორისო მნიშვნელობის ქარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ (რამსარის კონვენცია) და ევროპის საბჭოს კონვენცია ევროპის ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ (ბერნის კონვენცია).

ევროკავშირის სამართალი

ევროკავშირის მთავარი სამართლებრივი ინსტრუმენტი წყლის სექტორში არის წყლის ჩარჩო დირექტივა (WFD). სხვა საკითხებთან ერთად დირექტივა მოიცავს გარემოსდაცვით და კონსერვაციის ასპექტებს, რომლებსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს წინამდებარე კვლევისთვის. დირექტივა აწესებს ეკოლოგიური დაცვის და მინიმალური ქიმიური სტანდარტის ზოგად მოთხოვნას და ითვალისწინებს "კარგი სტატუსის" მიღწევას წყლის ყოველი ობიექტისათვის დადგენილ ვადაში. დირექტივის მნიშვნელოვანი ელემენტია მდინარეთა აუზების გეოგრაფიულ საზღვრებზე (და არა ადმინისტრაციულზე) დამყარებული მართვის სისტემის შემოღება. წყლის ჩარჩო დირექტივას ემატება წყლის პოლიტიკის სხვადასხვა კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებული დირექტივები. მათ შორისაა ნიტრატების დირექტივა, ურბანული ჩამდინარე წყლის დირექტივა და სხვა, აგრეთვე ისეთი დირექტივები, რომლებიც ახორციელებს წყლის პოლიტიკის სპეციფიკურ დეტალებს, მაგალითად გარემოს ხარისხობრივი ნორმების დირექტივა.

კონსერვაციის პოლიტიკასთან მიმართებაში, ჰაბიტატებისა და ფრინველთა დირექტივები წარმოადგენს ევროკავშირის უმთავრეს სამართლებრივ ინსტრუმენტს. ამ დირექტივების მიზანია ევროპაში გარემოსდაცვითი და კონსერვაციის ღონისძიებების განხორციელება და ევროკავშირისა და მის წევრ სახელმწიფოთა მიერ შესაბამისი საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფა. დირექტივები ეფუძნება **Natura 2000** დაცული ტერიტორიების ქსელსა და სახეობების დაცვის მკაცრ სისტემას. წყლის ჩარჩო დირექტივა დაკავშირებულია ჰაბიტატებისა და ფრინველთა დირექტივასთან და გულისხმობს წყლის რესურსების მართვის პროცესში დაცული ტერიტორიებისა და სახეობების გათვალისწინებას.

ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება

2014 წლის 27 ივნისს საქართველომ და ევროკავშირმა ხელი მოაწერეს ასოცირების შესახებ შეთანხმებას. შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის სტანდარტებთან და რეგულაციებთან მთელ რიგ სფეროებში, მათ შორის გარემოს დაცვასა და მმართველობაში და ბუნებრივი რესურსების მართვაში. შეთანხმების XXVI დანართში მითითებულია ის EC დირექტივები წყლის ხარისხის და წყლის რესურსების მართვის, მათ შორის საზღვაო გარემოს მართვის სფეროებში, რომლებსაც საქართველომ ეტაპობრივად უნდა დაუახლოვოს თავისი კანონმდებლობა, და საერთაშორისო ინსტრუმენტები დადგენილ ვადებში.

ასოცირების შეთანხმების მოთხოვნების შესასრულებლად და საქართველოს წყლის ხარისხის დაცვისა და წყლის რესურსების მართვის კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროში მომზადდა წყლის რესურსების მართვის კანონპროექტი. ახალი კანონპროექტი შემუშავებულია ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად. კანონპროექტმა საჯარო მოსმენები გაიარა, ამჟამად კი მიმდინარეობს მისი უწყებათაშორისი განხილვა.

წყლის ჩარჩო დირექტივასთან შესაბამისობა

ადმინისტრაციული ღონისძიებები

კომპეტენტური ორგანოს (CA) დანიშვნა

ძირითადად, ახალი კანონპროექტით გათვალისწინებული შეცვლილი ეროვნული კანონმდებლობა წყლის ჩარჩო დირექტივას (WFD) ასახავს. ყურადღება უნდა მიექცეს, რომ კომპეტენტური ორგანო (CA) ეფექტურად ურთიერთქმედებდეს სხვა მარეგულირებელ ორგანოებთან და ხელისუფლებასთან - და უზრუნველყოფდეს მათ მონაწილეობას მდინარეთა აუზების მართვაში. ამ ორგანოების დებულებებში და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში უნდა შევიდეს შესაბამისი მოთხოვნები სააუზო მართვაში მათი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მონაწილეობას, ვინაიდან საქართველოში დღეს არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობის მიხედვით, სწორედ მათ ენიჭებათ თავიანთ ტერიტორიებზე არსებული ბუნებრივი რესურსების მართვის უფლებები და მოვალეობები.

შესაბამისობის ხარისხი	მაღალი
-----------------------	--------

ადმინისტრაციული პროცედურების დაწესება საერთაშორისო მდინარეების, ტბების და სანაპირო წყლებისთვის

WFD მოითხოვს რომ მდინარის აუზისთვის, რომელიც ერთზე მეტი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიას მოიცავს, შეიქმნას საერთაშორისო სააუზო უბანი და, რომ ასეთი ადგილებისთვის შესაბამისი ადმინისტრაციული პროცედურები დაწესდეს. პრინციპში, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დასახელება კომპეტენტურ ორგანოდ (CA) საერთაშორისო სააუზო უბნებზეც ვრცელდება. თუმცა, სავარაუდოდ საჭირო იქნება კონკრეტული ადმინისტრაციული პროცედურების დაწესება და ყოვლისმომცველი თანამშრომლობა იმ ქვეყნებთან, რომლებიც საერთაშორისო წყლის ობიექტებს იზიარებენ.

შესაბამისობის ხარისხი	საშუალო
-----------------------	---------

მდინარის აუზის მართვა

მდინარის აუზის უბნების იდენტიფიკაცია

WFD მოითხოვს მდინარის აუზების მიკუთვნებას კონკრეტულ სააუზო უბნებისთვის. დღეს არსებული წყლის კანონმდებლობა ადმინისტრაციულ საზღვრებს ეფუძნება, მაგრამ ახალი ჩარჩო კანონი უკვე იყენებს მდინარის აუზის მართვის კონცეფციას და პირდაპირ მოითხოვს მდინარის აუზის უბნების იდენტიფიკაციას. გარდა ამისა, უკვე ჩატარდა აუზის უბნების იდენტიფიკაცია და ქვეყნის ტერიტორია დაიყო 6 სააუზო უბნად. მომზადებულია შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი, რომელიც დამტკიცდება წყლის რესურსების მართვის შესახებ ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ.

შესაბამისობის ხარისხი	მაღალი
-----------------------	--------

მდინარის აუზის უბნების მახასიათებლების ანალიზი

WFD მოითხოვს მდინარის აუზებისთვის აუზის მახასიათებლების ანალიზის ჩატარებას და გეთავაზობს სპეციფიკურ ტექნიკურ დეტალებს. საქართველოში შემუშავებული ახალი ჩარჩო კანონი აღიარებს დაგეგმვის პროცესში მდინარის აუზის უბნების მახასიათებლების ანალიზის საჭიროებას. WFD-ში განსაზღვრული დეტალური მოთხოვნები ასახულია როგორც თავად კანონპროექტში, ასევე შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტში. თუმცა, წარმატებული განხორციელების გასაღები უპირველეს ყოვლისა შესაძლებლობების განვითარებაში (ადამიანის რესურსი, ტექნიკური, ფინანსური) და ანალიზის ეფექტურად განხორციელების გამოცდილებაშია.

შესაბამისობის ხარისხი	მაღალი
-----------------------	--------

წყლის ხარისხის მონიტორინგის პროგრამების შედგენა

WFD შეიცავს ზედაპირული წყლის სტატუსის, მინისქვეშა წყლის სტატუსისა და დაცული ტერიტორიების მონიტორინგის მოთხოვნებს. მონიტორინგის პროგრამები საჭიროა წყლის სტატუსის ერთიანი და ყოვლისმომცველი შეფასების უზრუნველსაყოფად ყოველ სააუზო უბანზე.

ახალ კანონმდებლობაში გათვალისწინებული მონიტორინგის პროგრამებთან დაკავშირებული მოთხოვნები ფართო და კონკრეტულია. მდინარის აუზის დონეზე ეროვნული მონიტორინგის პროგრამების შემუშავებისას ყურადღება უნდა მიექცეს მონიტორინგის პროგრამის დაგეგმვის და განვითარების ინდივიდუალურ (კონკრეტული სააუზო უბნისთვის დამახასიათებელ) ელემენტებს. მონიტორინგის პროგრამის განხორციელება ასევე მოითხოვს ტექნიკური და ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების მნიშვნელოვან გაძლიერებას.

შესაბამისობის ხარისხი	მაღალი
-----------------------	--------

მდინარის აუზის მართვის გეგმების მომზადება

WFD მოითხოვს თითოეული სააუზო მართვის უბნისთვის (RBD) მდინარის აუზის მართვის გეგმის (RBMP) შემუშავება და გეთავაზობს იმ ელემენტების ჩამონათვალს, რომლებსაც RBMP უნდა მოიცავდეს, ასევე განმარტებულია გეგმების შემუშავებისა და დამტკიცების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის წესები.

წყლის რესურსების მართვის ახალი კანონპროექტი მთლიანად შეესაბამება მდინარის აუზის დაგეგმვის მიდგომას, და შეიცავს ფართო და დეტალურ მოთხოვნებს სააუზო მართვის (RBM) დაგეგმვის შინაარსის, სტრუქტურისა და პროცესის შესახებ. შეიძლება ჩაითვალოს, რომ კანონპროექტში განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებით შესაძლებელია წყლის ჩარჩო დირექტივით (WFD) გათვალისწინებული RBM დაგეგმვის წარმართვა. თუმცა, დაგეგმვის პროცესის სრულად და ეფექტურად განხორციელების მიზნით ყურადღება უნდა მიექცეს ადმინისტრაციულ-ტექნიკური და ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების შექმნას, ასევე საჭირო დონის ფინანსური და საშტატო უზრუნველყოფის იდენტიფიკაციას და მოძიებას.

შესაბამისობის ხარისხი	მაღალი
-----------------------	--------

ლონისძიებების პროგრამის მომზადება

ლონისძიებების პროგრამა მდინარის აუზის მართვის დაგეგმვის უმნიშვნელოვანესი ელემენტია, რამდენადაც იგი ადგენს WFD მიზნების მისაღწევად საჭირო ღონისძიებებს.

ახალი ჩარჩო კანონპროექტი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები შეიცავს ღონისძიებების პროგრამის შექმნის მოთხოვნას წყლის ჩარჩო დირექტივაში მოცემული სტრუქტურის მიხედვით. პრინციპში, WFD-ში გათვალისწინებული ყველა დამხმარე ღონისძიება შეიძლება არსებობდეს ეროვნულ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და საწარმოო პრაქტიკაში. მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტის ფარგლებში შექმნილი საკანონმდებლო ჩარჩო მთლიანად შეესაბამება WFD-ს, პრაქტიკაში ღონისძიებების პროგრამის სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებულია ძირითადი ღონისძიებების სფეროში ეფექტური სამართლებრივი რეჟიმის არსებობაზე (მათ შორის, საკანონმდებლო ზომები, რომლებიც ქვემოთ არის განხილული) და მონაცემებისა და შესაძლებლობების არსებობაზე დამატებითი ღონისძიებების საჭიროების იდენტიფიცირებისთვის და მათი სათანადოდ შერჩევისთვის.

შესაბამისობის ხარისხი	მაღალი
-----------------------	--------

ურბანული ჩამდინარე წყლების განმედიის ღირებულებასთან შესაბამისობა

დირექტივის (UWWTD) მიზანია დაიცვას გარემო ურბანული ჩამდინარე წყლის და გარკვეული სამრეწველო სექტორებიდან ჩაშვებული ჩამდინარე წყლის უარყოფითი ზემოქმედებისგან. დირექტივა ეხება საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლის, ან საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლისა და სამრეწველო ჩამდინარე წყლის ნარევის, ან/და წვიმის წყლის შეგროვებას, განმედას და ჩაშვებას.

ურბანული ჩამდინარე წყლის შეგროვების და განმედიის სტატუსის შეფასება

UWWTD-ის მოთხოვნა პირველ ეტაპზე შეფასდეს ურბანული ჩამდინარე წყლის შეგროვების და განმედიის სტატუსი. საქართველოში დღესდღეობით მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს მიხედვით, დირექტივასთან დაბალი შესაბამისობა დგინდება. მთავარი საწყისი ქმედება უნდა იყოს ურბანული ნარჩენი წყლის შეგროვებისა და განმედიის სტატუსის უფრო სრული შეფასების ჩატარება საქართველოში. კონკრეტული აუზის უბანზე ურბანული ნარჩენი წყლის შეგროვებისა და განმედიის სტატუსის შეფასების მონაცემების არსებობა აუცილებელია დაგეგმვის, რეგულირებისა და მონიტორინგისთვის. მუნიციპალიტეტებს უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა, შეაგროვონ ასეთი ინფორმაცია და მიანოდონ სააუზო მართვის ერთეულს მდინარის აუზის მართვის მონაცემთა გაცვლის პროგრამის ფარგლებში, რომელიც კანონით იქნება დადგენილი.

შესაბამისობის ხარისხი	დაბალი
-----------------------	--------

მგრძნობიარე უბნების და აგლომერაციების იდენტიფიკაცია

დირექტივაში უფრო მკაცრი წესებია დადგენილი "მგრძნობიარე" უბნებისთვის (ურბანული ჩამდინარე წყლების განმედიის დირექტივის (UWWTD), მუხლი 5 და დანართი II). ასეთ უბნებში წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ დიდი აგლომერაციებიდან ჩამდინარე წყლების უფრო ღრმა დამუშავება.

ამჟამად, საქართველოში არ ხორციელდება სენსიტიური უბნების საიდენტიფიკაციო ზომები (თუმცა, ასეთი უბნები აუცილებლად არსებობს) და არ ტარდება კონკრეტული ღონისძიებები ასეთ უბნებზე ჩაშვებულ წყლებთან დაკავშირებით. ახალი კანონპროექტის მიხედვით მგრძნობიარე უბნების და აგლომერაციების იდენტიფიკაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ვალდებულებას წარმოადგენს. მაგრამ კანონპროექტი არ შეიცავს სამინისტროს ამ როლთან დაკავშირებულ კონკრეტულ დებულებებს. საჭიროა საკანონმდებლო ბაზის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს მგრძნობიარე უბნების იდენტიფიკაციასა და ამ უბნებზე უფრო მკაცრი ზომების დანერგვის პროცესს. ასევე უნდა განისაზღვროს მგრძნობიარე უბნების (და პოტენციურად მგრძნობიარე უბნების) სტატუსის გადამოწმების პროცესი.

შესაბამისობის ხარისხი	დაბალი
-----------------------	--------

წინასწარი რეგულირების ან ნებართვების სისტემების ჩამოყალიბება

UWWTD მოითხოვს ურბანული ჩამდინარე წყლის, ასევე კვების მრეწველობის და ინდუსტრიული ჩამდინარე წყლის ჩაშვების წინასწარი ნებართვების სისტემის არსებობას.

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად არ მოქმედებს ლიცენზირების ან წინასწარი ავტორიზაციის სისტემა ურბანული ჩამდინარე წყლის ჩაშვებაზე, არსებობს გარკვეული ლიცენზირების მექანიზმები და შესაძლებელია მათი გავრცელება ურბანულ ჩამდინარე წყალზეც. საჭიროა მარეგულირებელი სისტემის დეტალების შემუშავება.

შესაბამისობის ხარისხი	დაბალი
-----------------------	--------

მონიტორინგის პროგრამები

UWWTD წევრი ქვეყნებისგან მოითხოვს ურბანული ჩამდინარე წყლების მონიტორინგის პროგრამების შექმნას. შემუშავების ეტაპზე არსებული წყლის მართვის ახალი კანონმდებლობა ეროვნული მონიტორინგის პროგრამების მომზადების შესახებ გათვალისწინებს მდინარის აუზის დონეზე ურბანული ჩამდინარე წყლის მონიტორინგის მოთხოვნებს. მონიტორინგის პროგრამის ეფექტიანად განხორციელება დამოკიდებული იქნება შესაბამისი ტექნიკური და ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების არსებობაზე და მოითხოვს მათ მნიშვნელოვნად გაზრდას.

შესაბამისობის ხარისხი	საშუალო
-----------------------	---------

გარემოს ხარისხის სტანდარტების ღირებულებასთან შესაბამისობა

წყლის ჩარჩო დირექტივის (WFD) მე-16 მუხლი მოითხოვს რომ ევროკომისიამ განსაზღვროს პრიორიტეტული ნივთიერებები, რომლებიც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიან წყლის გარემოს, და დაანესოს ევროკავშირის გარემოსდაცვითი ხარისხის სტანდარტები (EQS) ამ ნივთიერებებზე წყალში, სედიმენტებსა და/ან ბიოტაში.

WFD / EQSD დირექტივების ძირითადი მოთხოვნა გარემოსდაცვითი ხარისხის სტანდარტების დადგენა და გამოყენება ზედაპირული წყლის, სედიმენტების და / ან ბიოტასთვის "პრიორიტეტული" დამაბინძურებელი ნივთიერებების იდენტიფიკაციის საფუძველზე.

საქართველოში გარემოს ხარისხობრივი სტანდარტების სისტემა არსებობს, თუმცა იგი ფოკუსირებულია საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე და არ შეიცავს ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ

პრიორიტეტული დამაბინძურებელი ნივთიერებების უმეტესობას. ახალი წყლის ჩარჩო კანონის საფუძველზე შემუშავებული დადგენილება „წყლის ხარისხის ეკოლოგიური სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ სავარაუდოდ განსაზღვრავს ამ ნივთიერებებს.

შესაბამისობის ხარისხი	საშუალო
-----------------------	---------

ნიტრატების ღირებულებასთან შესაბამისობა

დაბინძურებული წყლების იდენტიფიკაცია და ნიტრატებისადმი მოწყვლადი ზონების განსაზღვრა

ნიტრატების დირექტივის ორი მთავარი მოთხოვნაა დაბინძურებული წყლების ან რისკის ქვეშ არსებული წყლების იდენტიფიცირება და ნიტრატებისადმი მოწყვლადი ზონების განსაზღვრა (NVZ).

წყლის რესურსების მართვის ახალი კანონპროექტი ადგენს, რომ დაბინძურებული წყლების ან რისკის წინაშე არსებული წყლების იდენტიფიკაცია, ისევე როგორც ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონების განსაზღვრა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს პასუხისმგებლობას უნდა შეადგენდეს მაგრამ არ არის აღწერილი ამ მიზნების მისაღწევად კონკრეტული საკომიანოები.

შესაბამისობის ხარისხი	დაბალი
-----------------------	--------

სამოქმედო გეგმების და კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის კოდექსის შედგენა ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონებისთვის

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების მოთხოვნების თანახმად, შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობას ევალება სამოქმედო გეგმების და კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის კოდექსის შემუშავება ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონებში, ევროკავშირის ნიტრატების დირექტივის მე-4 და მე-5 მუხლების შესაბამისად.

წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონპროექტი მიუთითებს, რომ სამოქმედო გეგმების და კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის კოდექსის შემუშავება ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონებისთვის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვალდებულებას შეადგენს.

შესაბამისობის ხარისხი	დაბალი
-----------------------	--------

მონიტორინგის პროგრამის შექმნა

ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონების განსაზღვრისა და შემდგომში მათი გადახედვის (ცვლილებების საჭიროების დასადგენად) მიზნით წვერი სახელმწიფოები ვალდებული არიან განახორციელონ მონიტორინგის პროგრამა, მათ შორის ნიტრატების კონცენტრაციის მონიტორინგი მტკნარ წყლებში და ევტროფილი მდგომარეობის მონიტორინგი მტკნარ ზედაპირულ წყლებში, შესაბამისად და სანაპირო წყლებში.

კანონპროექტი ითვალისწინებს ნიტრატების მონიტორინგის პროგრამის შეტანის საჭიროებას წყლის ხარისხის მონიტორინგის საერთო სისტემაში.

შესაბამისობის ხარისხი	საშუალო
-----------------------	---------

წყალდიდობების ღირებულებასთან შესაბამისობა

წყალდიდობის რისკის წინასწარი შეფასების განხორციელება

წყალდიდობების დირექტივა მოითხოვს საბაზისო ინფორმაციის შედგენას, რომელიც დაეფუძნება წყალდიდობების დირექტივაში განსაზღვრული კონკრეტული კრიტერიუმებით განხორციელებულ წინასწარ შეფასებას.

კანონპროექტი გარკვეულწილად აკავშირებს წყალდიდობის რისკების მართვის დაგეგმვის პროცესებს მდინარეთა აუზების მართვის ზოგად დაგეგმვასთან. შესაძლებელი იქნება ამ პროცესში უკვე არსებული მონაცემების გამოყენება (თუმცა, ასეთი მონაცემები შეზღუდულია). ადგილობრივი (მუნიციპალური და რეგიონული) ხელისუფლების როლი და პასუხისმგებლობა მონაცემების მიწოდების და წყალდიდობის რისკის წინასწარი შეფასების კუთხით უნდა განისაზღვროს და ადეკვატურად ჩამოყალიბდეს კანონმდებლობაში.

შესაბამისობის ხარისხი	საშუალო
-----------------------	---------

წყალდიდობის საფრთხის რუკების, წყალდიდობის რისკის რუკების და წყალდიდობის რისკის მართვის გეგმების მომზადება

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელების საგზაო რუკები გარემოსდაცვის და კლიმატის სფეროში მოიცავს „წყალდიდობის რისკის მართვის გეგმების სახელმძღვანელო პრინციპების“ შემუშავების გეგმებს 2018 წლისთვის. წყლის რესურსების მართვის კანონპროექტი მოითხოვს წყლის უარყოფითი ზემოქმედების რისკების მართვის პროგრამების შემუშავებას. მიუხედავად იმისა, რომ დეტალები ჯერ კიდევ არ შემუშავებულა, კანონპროექტიდან ჩანს რომ იგი ადგენს წყალდიდობის რისკის მართვის გეგმების შემუშავების ჩარჩოს და კონკრეტული ნორმატიული დოკუმენტების შემუშავების აუცილებლობას.

შესაბამისობის ხარისხი	საშუალო
-----------------------	---------

ფრინველების და ჰაბიტატების ღირებულებასთან შესაბამისობა

ჰაბიტატების დირექტივა მოითხოვს სპეციალური საკონსერვაციო ტერიტორიების თანმიმდევრული ეკოლოგიური ქსელის შექმნას, რომელიც შედგება ბუნებრივი ჰაბიტატების ტიპის ტერიტორიებისგან და იმ სახეობების ჰაბიტატებისგან, რომელთაც დაცვა ესაჭიროებათ. დირექტივა განსაზღვრავს ასეთი ტერიტორიების შერჩევის დეტალურ კრიტერიუმებს.

სახეობებისა და ჰაბიტატების დაცული ტერიტორიების განსაზღვრა

საქართველოში დღეისათვის არსებობს სახეობების და ჰაბიტატების დაცვის სისტემა, მაგრამ იგი უფრო შეზღუდული ტიპისაა დაფარვის თვალსაზრისით, ვიდრე ევროკავშირის Natura 2000 სისტემა და არ არის ინტეგრირებული წყლის მართვასთან. ახალი კანონპროექტი ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ ითვალისწინებს სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვისა და კონსერვაციის კონტროლის გაფართოებას და ისეთი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც მოცულობითა და ფორმით უფრო უახლოვდება ევროკავშირის ბუნების დირექტივებით შექმნილ სისტემას. რადგანაც საქართველოში ბიომრავალფეროვნების დაცვა ძირითადად წყლის პოლიტიკისგან განცალკევებულად მოიაზრება, ყურადღება უნდა მიექცეს ჰაბიტატების და წყლის დირექტივების მოთხოვნების შესრულების შორის ინტეგრაციას. უნდა შემუშავდეს ეფექტიანი კრიტერიუმები მტკნარ წყალზე დამოკიდებული (ან მტკნარი წყლის) ჰაბიტატების დაცული ტერიტორიების დასადგენად, ჩამოსაყალიბებლად და დასაცავად. შესაბამისი მოთხოვნები უნდა შევიდეს სხვა სექტორების კანონმდებლობაშიც, მაგალითად სატყეო კანონმდებლობაში.

შესაბამისობის ხარისხი	საშუალო
-----------------------	---------

დაცული წყლის ობიექტების რეესტრის მომზადება მტკნარწყლიანი უბნებისთვის

მოქმედ კანონმდებლობაში არსებობს მექანიზმები სხვადასხვა ტიპის დაცული ზონების აღრიცხვა-რეგისტრაციისთვის მტკნარი წყლის ტერიტორიებზე. ახალ კანონმდებლობაში ეს მექანიზმები გაფართოვდება. წყლის კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს დაცული წყლის ობიექტების სახელმწიფო რეესტრის შექმნას და მოითხოვს ასეთი ობიექტების მხედველობაში მიღებას მდინარის აუზის მართვის (RBM) დაგეგმვის პროცესში. თუმცა, კონკრეტული კანონმდებლობა იქნება საჭირო წყლის ობიექტებისთვის დაცული ობიექტის სტატუსის მინიჭების წესებისა და პროცედურების დასადგენად, სახელმწიფო რეესტრში დაცული წყლის ობიექტების შეტანის პროცედურებისა და კრიტერიუმების იდენტიფიცირებისთვის და შემდგომი სამართლებრივი კონტროლის დასაწესებლად. შესაბამისი მოთხოვნები უნდა შევიდეს მომიჯნავე კანონმდებლობაშიც.

შესაბამისობის ხარისხი	მაღალი
-----------------------	--------

ჰაბიტატების და სახეობების მონიტორინგი

საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში უკვე არსებობს გარკვეული სამართლებრივი ჩარჩო და ახალი კანონმდებლობით კი მოსალოდნელია ბიომრავალფეროვნების ყოვლისმომცველი მონიტორინგის პროგრამების შემუშავება. მნიშვნელოვანია, რომ მომავალი კანონმდებლობა საკმარისად კონკრეტული იყოს ხოლო მისი შემდგომში ეფექტურად განსახორციელებლად საჭირო იქნება დამატებითი შესაძლებლობების მნიშვნელოვნად განვითარება და ინვესტიციები. მონიტორინგის პროგრამების განვითარებისას კანონმდებლობაში ყურადღება უნდა მიექცეს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის წყლის მონიტორინგის პროგრამებთან და მდინარის აუზის დაგეგმვის პროცესებთან ინტეგრირების საჭიროებას.

შესაბამისობის ხარისხი	საშუალო
-----------------------	---------

სხვა კანონმდებლობასთან შესაბამისობა

გარემოზე ზემოქმედების შეფასება

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ზოგადი კონცეფცია საქართველოს კანონმდებლობაში 1996 წელს შევიდა კანონით გარემოს დაცვის შესახებ, კონკრეტულად კი X თავით "გარემოსდაცვითი მოთხოვნები გადანაცვების მიღებისას საქმიანობების შესახებ და საქმიანობის განხორციელების შესახებ." გზმ სისტემა საკმაოდ კარგად არის ჩამოყალიბებული საქართველოში, თუმცა ის შესუსტდა 2005 წლის ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონის მიღების შედეგად, რადგანაც ამ კანონმა მნიშვნელოვნად შემცირდა იმ საქმიანობების ჩამონათვალი, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც ეკოლოგიურად მგრძნობიარე და შესაბამის მართვასა და ზედამხედველობას მოითხოვს. გზმ ხორციელდება ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტების ფარგლებში, მათ შორის მტკნარ წყალზე ზემოქმედების მქონე პროექტებშიც. არსებული მარეგულირებელი სისტემა სრულად არ ასახავს ევროკავშირის და/ან გზმ კონვენციის მოდელს, მაგრამ გარემოსდაცვითი შეფასების ახალი კანონპროექტი მეტ შესაბამისობას უზრუნველყოფს.

შესაბამისობის ხარისხი	მაღალი
-----------------------	--------

სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება

საქართველოში ამჟამად არ არსებობს კონკრეტული სამართლებრივი ჩარჩო სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) პროცედურების შესახებ, მაგრამ ახალი კანონპროექტი შემუშავებულია და იგი შესაბამისობაში უნდა იყოს ევროკავშირის ან გზშ კონვენციის მოდელთან. სათანადო და ეფექტიანი განხორციელება მოითხოვს ადმინისტრაციული და ტექნიკური ცოდნის ამაღლებას სგშ-ის ჩასატარებლად.

შესაბამისობის ხარისხი	მაღალი
-----------------------	--------

საზოგადოების მონაწილეობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კონსტიტუციური უფლებები გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ, და ორჰუსის კონვენციის განხორციელების ზოგადი ჩარჩო, პროცედურები, რომლებიც შესაბამის დონეზე უზრუნველყოფენ გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და საზოგადოების მონაწილეობას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მთლიანობაში დასახვეწია. აუცილებელია კონკრეტული კანონმდებლობა და ადმინისტრაციული ოქმების შემუშავება, რომელშიც ასახული იქნება საქართველოს მოქალაქეების უფლებები მოითხოვონ ინფორმაცია. აგრეთვე შემუშავდეს მთავრობის მხრიდან ასეთ მოთხოვნებზე რეაგირების პროცედურები. ამ პროცედურებში აგრეთვე უნდა აისახოს გარემოსდაცვით პოლიტიკასა და დაგეგმვის გადაწყვეტილებებზე საჯარო განხილვების წესები და ვადები.

შესაბამისობის ხარისხი	საშუალო
-----------------------	---------

რეკომენდაციები

თუმცა ახალი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება ჯერ მხოლოდ დაწყებულია (იხილეთ რეკომენდაცია 1), ამ ეტაპზე ყურადღება უნდა გამახვილდეს მომზადების სტადიაში არსებულ საკანონმდებლო ბაზაში გათვალისწინებულ მარეგულირებელი, ადმინისტრაციული და ტექნიკური პროცედურების განხორციელების პროგრამაზე. კანონის მიღება არ წარმოადგენს პროცესის დასასრულს, ეს არის პროცესის დასაწყისი, ამასთან, კანონპროექტი წარმოშობს მის განხორციელებასთან დაკავშირებულ მრავალ გამოწვევას. წინამდებარე ზოგადი და კონკრეტული ხასიათის რეკომენდაციებში განსაზღვრულია ზოგიერთი ის ძირითადი საჭიროება, რომელიც გამოვლინდა მოცემულ კვლევაში განხორციელებული ანალიზისას, მტკნარი წყლების ეკოსისტემების კონსერვაციის გაუმჯობესების კონტექსტში.

ზომადი ხასიათის რეკომენდაციები

რეკომენდაცია 1 | ახალი საკანონმდებლო ბაზის შემუშავების დასრულება.

რეკომენდაცია 2 | მდინარის აუზის მართვის დაგეგმვისთვის საჭირო შესაძლებლობების განვითარების სტრატეგიების შემუშავება.

რეკომენდაცია 3 | სამინისტროებს შორის საკოორდინაციო მექანიზმის ჩამოყალიბება.

რეკომენდაცია 4 | უფრო მჭიდრო საკანონმდებლო ინტეგრაციის მიღწევა.

რეკომენდაცია 5 | ტრანსსასაზღვრო საკითხებისათვის უმაღლესი პრიორიტეტის მინიჭება.

კონკრეტული ხასიათის რეკომენდაციები

რეკომენდაცია 6 | მდინარის აუზის მართვის გეგმების (RBMP) ინტეგრაცია სხვა დაგეგმვის დონის დოკუმენტებში, მდინარის აუზის დონეზე.

რეკომენდაცია 7 | ღონისძიებათა პროგრამების მისაღებად სახელმძღვანელო მითითებებისა და ინსტრუმენტების შემუშავება.

რეკომენდაცია 8 | მონაცემების მართვასთან დაკავშირებული რეგულაციების შემუშავება.

რეკომენდაცია 9 | წყალდიდობების რისკის მართვის გეგმების ინტეგრირება სხვა დაგეგმვის დონის დოკუმენტებში.

რეკომენდაცია 10 | ბიომრავალფეროვნების დაცვის გაძლიერება წყლის ობიექტებში.

რეკომენდაცია 11 | ინტეგრაციის გაძლიერება გარემოს მდგომარეობის მონიტორინგის სფეროში.

რეკომენდაცია 12 | სპეციალური ზონების შექმნის კრიტერიუმებისა და პროცედურების შემუშავება.

ნაწილი 1 | ზოგადი ინფორმაცია

1.1 საქართველოს მტკნარი წყლის ეკოსისტემების მიმოხილვა

საქართველო მდიდარია წყლის რესურსებით, მათ შორის მნიშვნელოვანი ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის რესურსებით. საქართველოში 26,000-ზე მეტი მდინარეა საერთო სიგრძით 60,000 კმ. მათი უმეტესობა მთის მოკლე მდინარეებია, რომელთა სიგრძე 25 კმ-ს არ აღემატება. ყველაზე გრძელი მდინარეებია მტკვარი (1,364 კმ; აქედან 390 კმ საქართველოს ტერიტორიაზე) და რიონი (327 კმ). მტკვარი სათავეს თურქეთში იღებს და აღმოსავლეთ საქართველოს და აზერბაიჯანის დაბლობების გავლით კასპიის ზღვაში ჩაედინება, ხოლო რიონი სათავეს იღებს დიდი კავკასიონის სისტემის სამხრეთ კალთაზე მდინარე ენგურთან და კოდორთან ერთად და კოლხეთის ნაყოფიერი დაბლობების გავლით დასავლეთით შავ ზღვაში ჩაედინება.

მდინარეთა ქსელის საშუალო წლიური ჩამონადენი დაახლოებით 61.5 მილიარდი კუბური მეტრია, აქედან 52.7 მლნ საქართველოს ტერიტორიაზე. ჰიდროლოგიურად საქართველო შეიძლება ორ აუზად დაიყოს: შავი ზღვის აუზი დასავლეთით და კასპიის ზღვის აუზი აღმოსავლეთით. შავი ზღვის აუზი საკმაოდ მდიდარია წყლის რესურსებით და ქვეყნის მთლიანი შიდა განახლებადი ზედაპირული წყლის რესურსების დაახლოებით 75% მოიცავს. საქართველოში 800-ზე მეტი მტკნარი ტბაა. მათი უმეტესობა მცირე ზომისაა, ფართობი დაახლოებით 1 კმ² შეადგენს; 43 ხელოვნური წყალსაცავია, რომლებიც გამოიყენება როგორც ჰიდროენერგეტიკაში, ასევე სარწყავი და სასმელი მიზნებისათვის. მყინვარები ქვეყნის მთლიანი ფართობის დაახლოებით 1%-ს შეადგენს და ითქმის 23.8 კმ³ წყლის აკუმულაციას ახდენს.

საქართველო ასევე მდიდარია მიწისქვეშა წყლის რესურსებით, რომლებიც დიდი კავკასიონის სისტემის კირქვებშია განლაგებული და წყალშემცველი ჰორიზონტებით, განსაკუთრებით დიდი კავკასიონის ქვედა ფერდობზე და ახალქალაქისა და მარნეულის პლატოზე. მიწისქვეშა მტკნარი წყლის საერთო მოცულობა დაახლოებით 24 მილიონი კუბური მეტრია. მიწისქვეშა წყლების განახლებადი რესურსები დაახლოებით 573 მ3/წმ შეადგენს, აქედან 285 მ3/წმ გამოიყენება შესაძლებელია¹.

საქართველოს ტერიტორიის 11 პროცენტს (8,765 კმ²) წყალი ფარავს, მაგრამ წყლის რესურსები არათანაბრად არის განაწილებული ქვეყნის მასშტაბით. აღმოსავლეთ საქართველოს მოსახლეობა ხშირად განიცდის წყლის სერიოზულ დეფიციტს, ხოლო დასავლეთ რეგიონებში ხშირია წყალდიდობის შემთხვევები ჭარბი ნალექების გამო. ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა შეადგენს 500 მმ - სამხრეთ საქართველოში და > 2,500 მმ შავი ზღვის სანაპირო ზონის სამხრეთით.

მტკნარი წყლის ეკოსისტემები ხელსაყრელ გარემოს ქმნის ხმელეთისა და წყლის მნიშვნელოვანი და მდიდარი ბიომრავალფეროვნების ჰაბიტატებისთვის. მტკნარ წყლებში 91 თევზის სახეობა ბინადრობს, მათგან 30 მიგრირებადი სახეობაა. 13 სახეობა საქართველოს წითელ ნუსხაშია შეტანილი, მათ შორის ზუთხის ყველა სახეობა. ჭაობები საქართველოს ლანდშაფტის ტიპური კომპონენტია, განსაკუთრებით კოლხეთის დაბლობში და სამხრეთ საქართველოს ვულკანურ პლატოზე და ისინი უნიკალურ ბიომრავალფეროვნებას ქმნიან. ორ ჭარბტენიან ტერიტორიას რამსარის კონვენციის შესაბამისად მინიჭებული აქვს საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ჭარბტენიანი ტერიტორიის სტატუსი: ისპანის ჭაობი (770 ჰა) და ცენტრალური კოლხეთის ჭარბტენიანი ტერიტორიები (33,710 ჰა). კოლხეთის ეროვნული პარკი და ქობულეთის სახელმწიფო ნაკრძალი და ალკვეთილი მოიცავს სანაპირო ტორფის ჭაობებს, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი უნიკალური ფლორისტული შემადგენლობისა და ენდემური და რელიქტური სახეობების სიმრავლის გამო².

ფრინველთა სხვადასხვა სახეობა, განსაკუთრებით წყლის ფრინველები დამოკიდებული არიან მტკნარი წყლის ეკოსისტემებზე როგორც მუდმივ საბინადროდ, ისე გამოსაზამთრებელ ადგილებად. აქ არის მოზუდარი სახეობების საერთაშორისო მნიშვნელობის რიცხოვნობა. საქართველოში არსებობს BirdLife International-ის მიერ გამოცხადებული 31 ფრინველებისთვის მნიშვნელოვანი ადგილი (IBAS) და ერთი ენდემური ფრინველების ადგილი (EBA), სადაც წყლის ფრინველების 84 სახეობაა, მათ შორის ის სახეობები, რომლებიც მსოფლიოში გადაშენების პირას იმყოფებიან³.

1.2 ძირითადი საფრთხეები, გამოწვევები და შესაძლებლობები

წყლის რესურსები მნიშვნელოვანია როგორც საქართველოს მოსახლეობისთვის, ასევე ველური ბუნებისა და ბუნებრივი ჰაბიტატებისთვის. წყლის მთავარი მომხმარებლებია: ჰიდროელექტროსადგურები, მოსახლეობა, სოფლის მეურნეობა და მრეწველობა. ამასთან, მტკნარი წყლის ეკოსისტემებზე დამოკიდებულია საქართველოს მდიდარი ბიომრავალფეროვნების მნიშვნელოვანი ჰაბიტატები. ნავთობისა და გაზის მარაგების ნაკლებობის გათვალისწინებით, ჰიდროენერგეტიკა ერთადერთი უხვი რაოდენობით არსებული შიდა ენერგო რესურსია საქართველოში. ვარაუდობენ, რომ ქვეყნის მთლიანი ჰიდროენერგეტიკული პოტენციალი საკმარისია შიდა მოთხოვნის სრულად დასაკმაყოფილებლად, ასევე მნიშვნელოვანი ექსპორტის განსახორციელებლად. თუმცა, დაგეგმილი ელექტროენერგიის გენერირების პროექტების ფართო განვითარება მნიშვნელოვან საკითხებს წარმოშობს გარემოზე ზემოქმედებასთან დაკავშირებით.

1. გეროს ევროპის ეკონომიკური კომისია, საქართველოს გარემოსდაცვითი ეფექტიანობის შეფასების მესამე მიმოხილვა, ნიუ იორკი და ჟენევა, 2016 გვ.108 ხელმისაწვდომია: <http://www.uncece.org/environmental-policy/environmental-performance-reviews/ongoing-reviews.html>

2. იქვე. გვ.109

3. BirdLife International (2015) ქვეყნის პროფილი: საქართველო.: <http://www.birdlife.org/datazone/country/georgia>.

წყლის სექტორის ძირითადი პრობლემაა წყლის დაბინძურება სხვადასხვა წერტილოვანი და დიფუზური წყაროებიდან, მათ შორისაა მოსახლეობა, მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ნარჩენების უხარისხო და უკანონო ნაგავსაყრელები. ზედაპირული წყლების არასაკმარისი მონიტორინგის გამო, ზედაპირული წყლის სტატუსის შესახებ მონაცემები შეზღუდულია. თუმცა, მონიტორინგის მწირი მონაცემებიც კი იმაზე მიუთითებს, რომ საერთო პრობლემაა ურბანული ჩამდინარე წყლის ჩაშვებით გამოწვეული დაბინძურება. გამოკვლეულ მდინარეებში ამიაკის და BOD3 მაღალი შემცველობა დაფიქსირდა. მძიმე ლითონების კონცენტრაცია დასაშვებ ზღვარს აღემატება კონკრეტული მდინარეების გარკვეულ წერტილებში. საერთო ზედაპირული წყლების დაბინძურების 67% გაუნმენდავი მუნიციპალური ჩამდინარე წყლების მიზეზით არის განპირობებული. წყლის ხარისხზე დიდ გავლენას ახდენს მრეწველობის სექტორები. მაგალითად: ნიალისელის მოპოვება და კვების მრეწველობა⁴.

სარწყავი სისტემები ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს, ხოლო დასავლეთ საქართველოში სადრენაჟო სისტემებია მნიშვნელოვანი. ირიგაციისთვის ვარგისი პოტენციური ფართობი დაახლოებით 700,000 ჰა შეადგენს, აქედან 500,000 ჰა ირიგაცია შესაძლებელია საბჭოთა ეპოქაში აშენებული ინფრასტრუქტურით. თუმცა, 1990-იან წლებში, კონფლიქტების და მიწის რეფორმასთან დაკავშირებული პრობლემების, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის და ტრადიციული საფაქრო პარტნიორის დაკარგვის გამო სარწყავი ფართობი 200,000 ჰექტარამდე შემცირდა. სარწყავი წყლის წყაროს წარმოადგენს ზედაპირული წყალი ხოლო ძირითადი ტექნოლოგიაა ზედაპირული ირიგაცია⁵.

საქართველოს 72 მუნიციპალიტეტს და 5 თვითმმართველ ქალაქს ცენტრალიზებული სასმელი წყლით მომარაგების სისტემები გააჩნია. ისინი ძირითადად გრუნტის წყლებს მოიხმარენ. ამ სისტემების უმეტესობა მოძველებულია და არასათანადოდ მუშაობს, ადგილი აქვს გაჟონვას და მეორად დაბინძურებას. მოსახლეობის უსაფრთხო წყლით უზრუნველყოფა მზარდ პრობლემას წარმოადგენს საქართველოში. წყალმომარაგების სისტემების უმეტესობა არ არის დაკავშირებული საკანალიზაციო სისტემებთან და გამწმენდ ნაგებობებთან. იმავდროულად, დადგენილია, რომ ქვეყანაში არსებული საკანალიზაციო სისტემების 50% მოძველებულია. რემონტი და ტექნიკური მომსახურება შეზღუდულია არასაკმარისი ინვესტიციების გამო, და ჩამდინარე წყლები გაუნმენდავად ჩაედინება მდინარეებში. გაუნმენდავი მუნიციპალური ჩამდინარე წყლები ძირითადი მიზეზია ზედაპირული წყლების დაბინძურებისა საქართველოში და ბიომრავალფეროვნებისთვის ძირითად მთავარ საფრთხეს წარმოადგენს. ამჟამად, საქართველოში არსებული ორი წყლის გამწმენდი სადგურიდან (WWTP), მხოლოდ ერთი ახორციელებს ჩამდინარე წყლების სრულ ბიოლოგიურ გაწმენდას, მეორე კი მხოლოდ პირველად მექანიკურ გაწმენდას უზრუნველყოფს.

1.3 ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმება

1997 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შესახებ. დადგენილების თანახმად ევროპის საერთაშორისო სტრუქტურებთან საქართველოს ინტეგრაციის პროცესების განვითარების, სამართლებრივი სისტემების დაახლოებისა და ჰარმონიზაციის, ევროპის კავშირის მიერ აღიარებულ პრინციპებთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, 1998 წლის 1 სექტემბრიდან საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ყველა კანონი და სხვა ნორმატიული აქტი შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო ევროპის კავშირის მიერ დადგენილ სტანდარტებსა და ნორმებთან.⁶ 2001 წელს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება № 613 საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სტრატეგიის შესახებ. სტრატეგიის ერთ-ერთი მიზანი იყო გარემოსდაცვითი კანონმდებლობის, მათ შორის, წყლის მართვასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ჰარმონიზაცია.⁷ ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში (ENP) საქართველოს ჩართვამ და ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის (ENPAM) მიღებამ (2006 წლის ნოემბერში) დადებითად იმოქმედა ჰარმონიზაციის პროცესზე.

საქართველომ და ევროკავშირმა 2014 წლის 27 ივნისს ევროპის საბჭოს სხდომის ფარგლებში ბრიუსელში ხელი მოაწერეს ასოცირების შესახებ შეთანხმებას. შეთანხმება ითვალისწინებს საქართველოს ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის სტანდარტებთან და რეგულაციებთან მთელ რიგ სფეროებში, მათ შორის გარემოს დაცვასა და მმართველობაში და ბუნებრივი რესურსების მართვაში. ამ მოცულობითი შეთანხმების 34 დანართში ჩამოთვლილია ევროკავშირის ასობით სამართლებრივი აქტი და მათთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების ვადები (ორიდან ათ წლამდე).⁸

ევროპის კავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების IV კარი, მუხლი 3 ეხება კონკრეტულად საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობას "წყლის ხარისხის და წყლის რესურსების მართვის სფეროში, მათ შორის წყალდიდობის რისკის მართვის, წყლის დეფიციტის და გვალვების, ასევე საზღვაო გარემოს სფეროებში".⁹ შეთანხმების XXVI დანართში მითითებულია ის EC დირექტივები წყლის ხარისხის და წყლის რესურსების მართვის, მათ შორის საზღვაო გარემოს მართვის სფეროებში, რომლებსაც საქართველომ ეტაპობრივად უნდა დაუახლოვოს თავისი კანონმდებლობა, და საერთაშორისო ინსტრუმენტები დადგენილი ვადებით.¹⁰

6. საქართველოს პარლამენტის დადგენილება საქართველოს კანონმდებლობის ევროპის კავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის შესახებ (2 სექტემბერი 1997), ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია: <www.mof.ge/common/get_doc.aspx?doc_id=5691>.

7. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება №613 საქართველოს კანონმდებლობის ევროგარეთიანების კანონმდებლობასთან ჰარმონიზაციის სტრატეგიის შესახებ (14 ივნისი, 2001)

8. ევროპის კავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება: <eeas.europa.eu/georgia/pdf/eu-ge_aa-dcfta_en.pdf>.

9. იქვე. კარი IV, თავი 3

10. იქვე. დანართი XXVI

ასოცირების შეთანხმების აღნიშნულ ვალდებულებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს საქართველოსთვის, რადგან პრეზიდენტის მიერ ხელმოწერილი და პარლამენტის მიერ რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები ეროვნული სამართლებრივი სისტემის ნაწილია და მათ უპირატესი იურიდიული ძალა აქვთ შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტების მიმართ, თუ ისინი არ ეწინააღმდეგებიან საქართველოს კონსტიტუციას.¹¹

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ **MENRP** ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტთან ერთად შეიმუშავა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელების კონკრეტული საგზაო რუკები გარემოსდაცვის და „კლიმატის ქმედების“ სფეროში.¹² ეს საგზაო რუკები სამინისტროს შესაძლებლობას აძლევს დაგეგმოს და მონიტორინგი გაუწიოს კანონმდებლობის დაახლოების პროცესს, პოლიტიკის განსაზღვრასა და სხვა მსგავს საქმიანობას ასოცირების შეთანხმების იმ კონკრეტული მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც გარემოსდაცვისა და „კლიმატის ქმედების“ თავებშია განსაზღვრული.

ასოცირების შეთანხმების სტრუქტურის შესაბამისად, კონკრეტული სექტორებისთვის მომზადდა ცხრა საგზაო რუკა. მათ შორისაა წყლის ხარისხის და წყლის რესურსების მართვა (საზღვაო გარემოს ჩათვლით და სასმელი წყლის გარდა). რადგან საგზაო რუკები გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ დაგეგმვის ინსტრუმენტებად გამოიყენება, მათში არ არის გათვალისწინებული ის მოთხოვნები რომლებიც სამინისტროს ფარგლებს სცილდება ან რომლებსაც სხვა სამინისტროები ინაწილებენ. მაგალითად, სასმელი წყლის ხარისხთან (ხარისხის სტანდარტები, მონიტორინგი და ინფორმაციის გავრცელება) დაკავშირებულ ჰარმონიზაციის მოთხოვნებს ინაწილებენ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, მაგალითად, უნდა დაამკვიდროს კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკა ნიტრატებისადმი მოწყვლად ზონებში. რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კი ევალება ქალაქების წყალარინების შეგროვება და განმედა.

ასოცირების შეთანხმების მოთხოვნების შესასრულებლად და საქართველოს წყლის ხარისხის დაცვისა და წყლის რესურსების მართვის კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მიზნით მომზადდა წყლის რესურსების მართვის კანონპროექტი.¹³

ახალი კანონპროექტი შემუშავებულია ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად. კანონპროექტმა საჯარო მოსმენები გაიარა, ამჟამად კი მიმდინარეობს ოფიციალური უწყებათაშორისი განხილვა.¹⁴ კანონპროექტი ითვალისწინებს კონკრეტულ ვადებში სხვადასხვა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღებას კანონის მოთხოვნების განხორციელების უზრუნველსაყოფად. რამდენიმე კანონქვემდებარე აქტის პროექტი უკვე მომზადებულია. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოს სხვა სექტორებშიც მიმდინარეობს რეფორმები და ცვლილებები, რომლებიც წყლის რესურსების პოლიტიკასა და მართვაზე ზემოქმედებენ. მათ შორის მნიშვნელოვანია ახალი კანონმდებლობის მომზადება **EIA**, **SEA** სფეროებში, ახალი ტყის კოდექსი და კანონპროექტი ბიომრავალფეროვნების შესახებ.

1.4 პოლიტიკა და საკანონმდებლო კონდიქსი

საქართველოში წყლის მართვა ხორციელდება ადმინისტრაციული საზღვრების საფუძველზე. არ არსებობს საერთო ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტი წყლის მართვის შესახებ. წყალთან დაკავშირებული სამართლებრივი და პოლიტიკური საკითხები მრავალ საკანონმდებლო აქტშია განსაზღვრული და წყალთან დაკავშირებული მოვალეობები სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებს შორის არის განაწილებული. საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო (სამინისტრო) მთავარი ინსტიტუციაა, რომელსაც ეროვნულ დონეზე ზედამხედველი წყლის საკითხების მოგვარება ევალება. სამინისტრო პასუხისმგებელია ზედამხედველი წყლის სახელმწიფო მართვასა და დაცვაზე, ასევე წყლის მონიტორინგის სისტემების დანერგვაზე. წყლის რესურსებთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი ფუნქციები აკისრია სამინისტროს შემდეგ ორ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს (სსიპ) ესენია: დაცული ტერიტორიების სააგენტო (**APA**) და გარემოს ეროვნული სააგენტო (**NEA**).

წყლის რესურსების დაცვასა და მართვის საკითხებში მონაწილე სხვა ძირითადი მხარეებია: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, რომლის პასუხისმგებლობას შეადგენს პოლიტიკის განსაზღვრა საზოგადოებრივი ჯანმრთელობისთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველსაყოფად. კერძოდ, ეს სამინისტრო შეიმუშავებს გარემოს ხარისხის სტანდარტებს, მათ შორის სასმელი, ზედამხედველი და მინისქვეშა წყლებისთვის. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ევალება რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელება, მათ შორის წყალმომარაგების და საკანალიზაციო სისტემების განვითარების კოორდინაცია და მხარდაჭერა საქართველოს რეგიონებში.

11. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 6

12. „ევროკავშირთან დაახლოების საგზაო რუკები გარემოს დაცვისა და „კლიმატის ქმედების“ სფეროებში“, რომლებიც შემუშავდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში „სამოქმედო გეგმის განვითარება ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების განხორციელებისთვის – გარემოსდაცვის თავები“. ენეიუ http://moe.gov.ge/files/news_img/2015/ivnisi/sagzao_ruka/Final_Roadmaps_-_Gaertianebuli.pdf

13. 2009 წლის ოქტომბერში საქართველოს მთავრობამ სთხოვა **UNECE**-ს, დახმარება გაეწია წყლის რესურსების მართვის ახალი კანონის შემუშავებაში. წყლის რესურსების მართვის კანონპროექტი ამ თანამშრომლობის შედეგია. **UNECE** არის ევროკავშირის წყლის ინიციატივის წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის (**IWRM**) სტრატეგიული პარტნიორი, პოლიტიკის ეროვნული დიალოგის პროცესების წარმართვისთვის. პოლიტიკის ეროვნული დიალოგი (**NPD**) შეიქმნა 2002 წელს მდგრადი განვითარების მსოფლიო სამიტზე იოჰანესბურგში იმ მიზნით რომ ხელი შეუწყოს წყალთან დაკავშირებული ათასწლეულის განვითარების მიზნების (**MDGs**) განხორციელებას. **NPD** წარმოადგენს ევროკავშირის წყლის ინიციატივის განხორციელების მთავარი ინსტრუმენტს აღმოსავლეთ ევროპის, კავკასიისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებისთვის.

14. საქართველოს წყლის რესურსების მართვის კანონპროექტის სანახავედ ენეიუ: http://moe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&info_id=3914

სამინისტრო ასევე მართავს 100% სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ წყლის მომსახურების კომპანიას შპს საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს პასუხისმგებლობაში შედის სასმელი წყლის უვნებლობის პარამეტრებისა და სასმელი წყლის ხარისხის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის მონიტორინგი, ზედამხედველობა და სახელმწიფო კონტროლი, ასევე სარწყავი წყლის მართვა; ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებს ევალებათ ადგილობრივი მნიშვნელობის წყლის რესურსების მართვა მაგრამ მათი კომპეტენციები ძალიან შეზღუდულია; წყლის მართვა უკიდურესად ცენტრალიზებულია.

არსებობს 15-ზე მეტი ძირითადი კანონი, რომლებიც მნიშვნელოვნად ზემოქმედებენ წყლის რესურსების დაცვასა და მართვაზე და მასთან დაკავშირებულ ეკოლოგიურ პრობლემებზე. თუმცა, ძირითადად, წყლის რესურსების მართვა ამჟამად რეგულირდება საქართველოს კანონით წყლის შესახებ (1997 წ.). კანონი ითვალისწინებს ზედაპირული წყლების დაცვასა და სარგებლობას, მაგრამ არ ითვალისწინებს მინისქვეშა და სანაპირო წყლების სამართლებრივ რეგულირებას. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს კანონმდებლობის ევოლუცია გაგრძელდა ამ კანონის მიღების (1997 წელს) შემდეგ, პრაქტიკულად, არანაირი ძალისხმევა არ განხორციელებულა უახლესი წყლის კანონმდებლობის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად კანონის დებულებებთან და ძირითად პრინციპებთან. ამჟამად, წყლის რესურსების მართვის კანონმდებლობა უამრავ ურთიერთგამომრიცხავ დებულებას შეიცავს და ძალიან ფრაგმენტულია. წყლის კანონი მოქველებულია და ვერ პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს. იგი არ მოიცავს წყლის მართვისა და დაცვის ყველა ასპექტს და არ გააჩნია კავშირები სხვა სექტორებთან.¹⁵ არსებული საკანონმდებლო შეუსაბამოების გამოსასწორებლად და წყალთან დაკავშირებული საკითხების სრულად მოგვარების მიზნით, აუცილებელია წყლის ახალი კანონის შემუშავება შემდგომი დეტალური რეგულაციებით. გარდა ამისა, საქართველო- ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება მოითხოვს ევროპულ კანონმდებლობასთან საქართველოს წყლის ხარისხის დაცვისა და რესურსების მართვის კანონმდებლობის ჰარმონიზაციას. წყლის რესურსების მართვის ახალი კანონპროექტი შემუშავებულია საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის მოთხოვნების შესაბამისად. კანონპროექტმა საჯარო მოსმენები გაიარა, ამჟამად მიმდინარეობს ოფიციალური უწყებათაშორისი განხილვა. კანონპროექტი ითვალისწინებს კონკრეტულ ვადებში სხვადასხვა კანონმდებლარე ნორმატიული აქტების მიღებას განხორციელების მხარდასაჭერად. ზოგიერთი მეორადი კანონმდებლობა უკვე მომზადებულია.

დაბოლოს, უნდა აღინიშნოს საქართველოს ეროვნული გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამა 2012-2016, სადაც ჩამოყალიბებულია წყლის რესურსებთან დაკავშირებული შემდეგი გრძელვადიანი მიზნები და მოკლევადიანი ამოცანები: გრძელვადიანი მიზანია წყლის უსაფრთხო ხარისხის და ადეკვატური რაოდენობის უზრუნველყოფა ადამიანის ჯანმრთელობისა და წყლის ეკოსისტემებისთვის. ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია შემდეგი ოთხი მოკლევადიანი ამოცანის და შესაბამისი ღონისძიებების შესრულება:

ამოცანა 1: ეფექტიანი წყლის მართვის სისტემის შექმნა.

ამოცანა 2: დაბინძურების პრევენციისა და წყალაღების კონტროლის ეფექტიანი მექანიზმების შექმნა.

ამოცანა 3: გაუნმენდავი მუნიციპალური ჩამდინარე წყლებით გამოწვეული წყლის დაბინძურების შემცირება.

ამოცანა 4: სოფლის მეურნეობის დიფუზური წყაროებიდან დაბინძურების შემცირება.¹⁶

მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ეს მიზანი მნიშვნელოვანია მტკნარი წყლის ეკოსისტემების დაცვის თვალსაზრისით და რომ სათანადო წყლის ხარისხისა და რაოდენობის საჭიროება წყლის ეკოსისტემებისთვის შესაბამისი პირობების შესაქმნელად პირდაპირ არის აღიარებული გრძელვადიან მიზნად, არცერთი ამოცანა უშუალოდ არ უკავშირდება მტკნარი წყლის ეკოსისტემების საკონსერვაციო სტატუსს.

ევროკავშირთან ასოცირებასთან დაკავშირებით, საქართველოს სხვა სექტორებშიც მიმდინარეობს რეფორმები და სხვა ცვლილებები რომლებიც წყლის რესურსების პოლიტიკასა და მართვაზე ზემოქმედებენ. მათ შორისაა - მტკნარი წყლის ეკოსისტემების კონსერვაციის კონტექსტში - მნიშვნელოვანი ახალი კანონმდებლობის მომზადება გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სფეროებში, ახალი კანონპროექტები (და შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები) გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზმ) და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგმ) საკითხებზე, ასევე ტყის კოდექსი და ახალი კანონი ბიომრავალფეროვნების შესახებ.

15. საქართველოს ეროვნული გარემოსდაცვითი სამოქმედო პროგრამა 2012–2016, თბილისი, 2012, გვ.19.

16. Id, p.19

ნაწილი 2 | საერთაშორისო და ევროპული სამართლებრივი ჩარჩოები

2.1 საერთაშორისო სამართალი

მტკნარი წყლის ეკოსისტემების კონსერვაციასთან დაკავშირებული საერთაშორისო ნორმები სამ კატეგორიად იყოფა: (i) წყლის საერთაშორისო კონვენციები; (ii) კონსერვაციისა და ბიომრავალფეროვნების კონვენციები; და (iii) სხვა გარემოსდაცვითი კონვენციები რომლებიც ეხება, მაგალითად, გარემოზე ზემოქმედების შეფასებას. ზოგადად, საქართველოს მონაწილეობა ძალიან მნიშვნელოვანია ამ ტიპის კონსერვაციულ/ბიომრავალფეროვნების და გარემოსდაცვითი კონვენციებში, მაგრამ საქართველოს ჯერ კიდევ არ მოუხდენია წყლის რესურსებთან დაკავშირებული კონვენციების რატიფიკაცია.

ცხრილი 1. საქართველოს მონაწილეობა საერთაშორისო ხელშეკრულებებში

კონვენცია ტრანსსასაზღვრო წყლის ნაკადების და საერთაშორისო ტბების დაცვისა და გამოყენების შესახებ	-
საერთაშორისო წყლის რესურსების არასანაწილეობითი მიზნებისთვის გამოყენების შესახებ კანონის გაეროს კონვენცია	-
ევროპის ველური ბუნების და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის კონვენცია	08.05.2009
ბიომრავალფეროვნების კონვენცია	02.06.1994
მიგრირებადი სახეობების კონვენცია	01.06.2000
შეთანხმება აფრიკა-ევრაზიის მიგრირებადი წყლის ფრინველების დაცვის შესახებ	01.08.2001
კონვენცია საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების შესახებ	07.06.1997
გაეროს ჩარჩო კონვენცია კლიმატის ცვლილების შესახებ	29.07.1994
ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების კონვენცია	-
სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმი	ხელი მოეწერა
კონვენცია გარემოსდაცვითი საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის და ამ სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ (ორპუსის კონვენცია)	11.04.2000
ხელშეკრულება	მხარე
არამხარე / ხელმოწერა მხოლოდ	

2.2 საერთაშორისო კონვენციები წყლის სფეროში

წყლის გამოყენებისა და მართვის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის ჩარჩოები განსაზღვრულია ორი ძირითადი საერთაშორისო შეთანხმებით. ეს შეთანხმებებია:

- **UNECE კონვენცია ტრანსსასაზღვრო წყლის ნაკადებისა და საერთაშორისო ტბების დაცვისა და გამოყენების შესახებ (UNECE წყლის კონვენცია, ან ჰელსინკის კონვენცია)**, რომელიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE) წევრი ქვეყნებისთვის ადგენს თანამშრომლობის ჩარჩოს ტრანსსასაზღვრო წყლების დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის დარგში, რათა უზრუნველყოს მდგრადი განვითარების მიზნით წყლის რესურსების რაციონალური გამოყენება.
- **გაეროს კონვენცია საერთაშორისო წყლის ობიექტების არასანაწილეობითი მიზნებისთვის გამოყენების კანონის შესახებ (გაეროს წყლის კონვენცია)**, რომლის მიზანია იმ „პრობლემების გადაჭრა, რომლებიც ზემოქმედებს საერთაშორისო წყლის ობიექტებზე სხვა მიზეზებთან ერთად, მზარდი მოთხოვნისა და დაბინძურების შედეგად“ (პრეამბულა, პარაგრაფი 4).

ორივე კონვენცია ეხება თანამშრომლობას ტრანსსასაზღვრო წყლების მართვისა და გამოყენების სფეროში. ჰელსინკის კონვენციის ფარგლებში, მაგალითად, ძირითად ვალდებულებას წარმოადგენს ყველა შესაძლო ზომის მიღება ნებისმიერი სახის „ტრანსსასაზღვრო ზემოქმედების“ პრევენციის, კონტროლისა და შემცირების მიზნით, ხოლო გაეროს წყლის კონვენცია მიზნად ისახავს იმ „პრობლემების გადაჭრას, რომლებიც ზემოქმედებს საერთაშორისო წყლის ნაკადებზე სხვა მიზეზებთან ერთად, მზარდი მოთხოვნისა და დაბინძურების შედეგად“ (პრეამბულა, პარაგრაფი 4) და მხარეებისგან მოითხოვს, მიიღონ ზომები წყლის ნაკადებისა და მათი წყლების დაცვის, შენარჩუნებისა და გამოყენების მართვისთვის.

ტრანსსასაზღვრო წყლების სფეროში თანამშრომლობასთან მიმართებაში ორივე კონვენცია შეიცავს კარგი გარემოსდაცვითი მმართველობისა და მართვის პრინციპებს, რომლებიც შეიძლება წყლის მართვის ეროვნულ სისტემებშიც იყოს გამოყენებული. მაგალითად, განსხვავებული ფორმულირებით, მაგრამ ორივე კონვენცია

შეიცავს მოთხოვნებს წყლის მართვის თაობაზე რაციონალური და გარემოსადმი მეგობრული გზით; წყლის გონივრული და სამართლიანი გამოყენების თაობაზე; და ეკოსისტემების შენარჩუნებისა და აღდგენის თაობაზე. UNECE-ს წყლის კონვენციაში ხაზგასმულია რამდენიმე ძირითადი გარემოსდაცვითი პრინციპი, როგორცაა პრევენციული პრინციპი, "დამაბინძურებელი იხდის" პრინციპი და პრინციპი, რომლის მიხედვითაც წყლის რესურსები ისე უნდა იმართებოდეს, რომ დაკმაყოფილდეს დღევანდელი თაობის საჭიროებები და ამასთან ზიანი არ მიაღწეს მომავალი თაობების საჭიროებების დაკმაყოფილების შესაძლებლობას.

გაეროს წყლის კონვენციაში დამატებულია ძირითადი პრინციპი, რომლის მიხედვით, შეთანხმების არარსებობის შემთხვევაში, საერთაშორისო წყლის ნაკადებით სარგებლობის არც ერთ სახეს არ გააჩნია უპირატესობა სხვა სარგებლობასთან მიმართებაში და ამიტომ კონვენცია წყლით სარგებლობას წყალაღების გარეშე ისეთივე მნიშვნელობას ანიჭებს, როგორსაც წყლის სხვა სახის სარგებლობას. გაეროს წყლის კონვენცია ასევე აყალიბებს ჩარჩოს დაგეგმვის ღონისძიებებისთვის, მათ შორის დაგეგმვის ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გაცვლას; სხვა ქვეყნებისთვის შეტყობინებას დაგეგმილი ღონისძიებების სავარაუდო უარყოფითი ზემოქმედებისა და პროცედურების შესახებ.

საქართველოში სხვადასხვა ტრანსსასაზღვრო წყლების არსებობის გამო და მისი მნიშვნელოვანი მდებარეობის (ზედა დინებაში) გამო, წყლის ორივე კონვენცია ამ ქვეყნისთვის უაღრესად რელევანტურია; თუმცა, ალბათ ამავე გარემოებებით აიხსნება პოტენციური სირთულეები ამ კონვენციებთან საქართველოს მიერთებასთან დაკავშირებით.

2.3 საერთაშორისო კონვენციები კონსერვაციის სფეროში

არსებობს რამდენიმე საერთაშორისო კონვენცია, რომლებიც მტკნარი წყლის ეკოსისტემების კონსერვაციას ეხება:

- **კონვენცია ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ (CBD)**, ითვალისწინებს ფართო ვალდებულებებს ბიოლოგიური მრავალფეროვნების და მისი კომპონენტების დაცვისა და მდგრადი გამოყენების კუთხით. მნიშვნელოვანი მუშაობა ტარდება CBD პროგრამის ფარგლებში შიდა წყლების ბიომრავალფეროვნების კუთხით, რომელიც მოიცავს როგორც წყლის ხელმისაწვდომობის, ასევე წყლის ხარისხის (და დამაბინძურების პრევენციის) როლს ჯანსაღი ეკოსისტემების შენარჩუნებისთვის. მაგალითად, 1.1 მიზნის ამოცანა (b) ეხება მდინარის აუზის ინტეგრირებული მართვის სტრატეგიების მიღებას შიდა წყლის რესურსების ხარისხის, მინოდების, ფუნქციების და ღირებულებების აღსადგენად ან გასაუმჯობესებლად. აქტივობები 1.1.2 (მხარეებისთვის) და 1.1.10(a) (SBSTA-თვის) ეხება შიდა წყლის ეკოსისტემების მართვის სტრატეგიების შემუშავებას. ამ სტრატეგიების მიზანია ეკოლოგიური ნაკადების უზრუნველყოფა, რომელიც აუცილებელია ეკოსისტემის ფუნქციონირებისა და მთლიანობის შესანარჩუნებლად.
- **საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი, განსაკუთრებით წყლის ფრინველთა საბინადროდ ვარგისი ტერიტორიების დაცვის კონვენციის („რამსარის კონვენცია“)** მიზანია საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების ეკოლოგიური ხასიათის შენარჩუნება და წევრ ქვეყნებში არსებული ყველა ჭარბტენიანი ტერიტორიის "გონივრული გამოყენების", ან მდგრადი გამოყენების დაგეგმვა. კონვენციის სამი საკვანძო საქმიანობა მოიცავს შემდეგს: საერთაშორისო მნიშვნელობის ჭარბტენიანი ტერიტორიების რამსარის საიტად გამოცხადება; თითოეულ ქვეყანაში არსებული ჭარბტენიანი ტერიტორიების გონივრული გამოყენების ხელშეწყობა; და სხვა ქვეყნებთან საერთაშორისო თანამშრომლობა ჭაობების და მათი რესურსების გონივრული გამოყენების ხელშეწყობის მიზნით. ამჟამად არსებობს დაახლოებით 2200 გამოცხადებული საიტი, რომელთა საერთო ფართობი 200 მილიონ ჰექტარზე მეტს შეადგენს. სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში 7 რამსარის საიტი, ორი მათგანი – საქართველოში.
- **ველური ცხოველების მიგრირებადი სახეობების დაცვის კონვენცია (ბონის კონვენცია)** ხელს უწყობს თანამშრომლობას მიგრირებადი სახეობების დაცვაში, კერძოდ კი იმ სახეობების, რომელთა კონსერვაციის სტატუსი არასახარბიელოა. ბერნის კონვენციის მსგავსად, დასაცავი სახეობების ჩამონათვალი წარმოდგენილია დანართების სახით. I დანართში ჩამოთვლილია სახეობები, რომლებიც "დაუყოვნებლივ დაცვას" საჭიროებენ. I დანართში წარმოდგენილი სახეობების დასაცავად მხარე-სახელმწიფოები ვალდებული არიან შეინარჩუნონ ან აღადგინონ გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების ჰაბიტატები; თავიდან აიცილონ, აღმოფხვრან, კომპენსაციით უზრუნველყონ ან მინიმუმამდე შეამცირონ იმ აქტივობების ან დაბრკოლებების არასასურველი ზემოქმედება, რომლებიც აფერხებენ ჩამოთვლილი სახეობების მიგრაციას; და რამდენადაც შესაძლებელი და მიზანშეწონილი იქნება, თავიდან აიცილონ, შეამცირონ ან გააკონტროლონ ის ფაქტორები, რომლებიც საფრთხეს უქმნის ან სავარაუდოდ შეუქმნის საფრთხეს სახეობებს.
- II დანართში ჩამოთვლილია სახეობები, რომელთა კონსერვაცია და მართვა მრავალმხრივი შეთანხმებების საფუძველზე უნდა წარიმართოს. ასეთია **შეთანხმება აფრიკა-ევრაზიის მიგრირებადი წყლის ფრინველების კონსერვაციის შესახებ (AEWA)**. იგი მოიცავს 250-ზე მეტ ფრინველის სახეობას, რომლებიც დამოკიდებული არიან ჭარბტენიან ტერიტორიებზე წლიური ციკლის რომელიმე პერიოდის განმავლობაში მაინც. შეთანხმების მოქმედების არეალი ფარავს 118 ქვეყანას, მათ შორის სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს. შეთანხმება მოუწოდებს მხარეებს ჩაერთონ ფართო სპექტრის საკონსერვაციო აქტივობებში, რომლებიც აღწერილია ფართო სამოქმედო გეგმაში და ისეთ საკითხებს ეხება, როგორიცაა: სახეობების და ჰაბიტატების კონსერვაცია, ადამიანის საქმიანობის მართვა, მონიტორინგი და კვლევა, განათლება, ინფორმაცია და განხორციელება.

- **ევროპის საბჭოს ევროპის ველური ბუნების და ბუნებრივი ჰაბიტატების კონსერვაციის კონვენციის (ბერნის კონვენცია)** მიზანია "ველური ფლორისა და ფაუნის და მათი ბუნებრივი ჰაბიტატების [...] გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი და მოწყვლადი სახეობების, მათ შორის, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი და მოწყვლადი მიგრირებადი სახეობების შენარჩუნება". დაცული სახეობების ჩამონათვალი წარმოდგენილია კონვენციის ოთხ დანართში: I დანართში ჩამოთვლილია დაცული ფლორის სახეობები, II დანართში ჩამოთვლილია მკაცრად დაცული ფაუნის სახეობები, III დანართში ჩამოთვლილია დაცული ფაუნის სახეობები, ხოლო IV დანართში წარმოდგენილია მოკვლის, დაჭერის და სხვა სახის ექსპლუატაციის აკრძალული საშუალებები და მეთოდები.

2.4 სხვა საერთაშორისო გარემოსდაცვითი კონვენციები

მტკნარი წყლის ეკოსისტემების კონსერვაციას მრავალი სხვა საერთაშორისო კონვენცია და დოკუმენტიც ეხება ან პოტენციურად შეიძლება შეეხოს. ზოგი მათგანი უშუალოდ არ უკავშირდება (ან უმნიშვნელოდ უკავშირდება) მტკნარი წყლის ეკოსისტემების კონსერვაციას, თუმცა მათ მაინც დიდი მნიშვნელობა აქვთ. ასეთია მაგალითად, **კლიმატის ცვლილების გაეროს ჩარჩო კონვენცია** (და კლიმატის ცვლილების ზემოქმედების შესახებ სხვა დოკუმენტები). ამ კვლევის მიზნებისათვის განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სამ ძირითად დოკუმენტს (სამივე მიღებულია UNECE-ს ეგიდით), რომლებიც ეხება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებას და დაგეგმვას:

- **UNECE-ს კონვენცია ტრანსსასაზღვრო კონტექსტში გარემოზე ზემოქმედების შეფასების შესახებ (EIA კონვენცია)** ავალდებულებს მხარეებს, დაგეგმვის ადრეულ ეტაპზე შეაფასონ საქმიანობის გარემოზე ზემოქმედება (განსაკუთრებით, განვითარების პროექტების).
- ამ კონვენციის **სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (SEA) ოქმი** მხარეებისგან მოითხოვს ოფიციალური გეგმების და პროგრამების პროექტების გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (ეს ასევე ეხება სტრატეგიულ და საკანონმდებლო აქტების პროექტებს, თუმცა მათთან მიმართებაში SEA-ს გამოყენება სავალდებულო არ არის).
- **კონვენცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის და ამ სფეროში მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ (ორჰუსის კონვენცია)** ადგენს საზოგადოების უფლებებს გარემოს შესახებ ინფორმაციისა და გადაწყვეტილების მიღებასთან დაკავშირებით, კერძოდ: ყველას აქვს უფლება მიიღოს ის გარემოსდაცვითი ინფორმაცია, რომელსაც საჯარო ხელისუფლება ფლობს; მონაწილეობა მიიღოს გარემოსდაცვით საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მიმართოს სასამართლოს და მოითხოვოს პროცედურების გადახედვა იმ საჯარო გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ზემოთ აღნიშნული ორი უფლების ან ზოგადად გარემოსდაცვითი კანონის დარღვევით იქნა მიღებული.

2.5 ევროკავშირის კანონმდებლობა

2.5.1 წყლის ჩარჩო დირექტივა და სხვა დაკავშირებული დირექტივები

წყლის ჩარჩო დირექტივა (WFD) წარმოადგენს ევროკავშირის საერთო სამართლებრივ ჩარჩოს წყლის პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებში. როგორც საკანონმდებლო, ასევე პოლიტიკური თვალსაზრისით, მას აქვს მთელი რიგი მნიშვნელოვანი თვისებები, რომლებიც წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის (IWRM) პრინციპებს ეფუძნება. ამიტომ, წინამდებარე კვლევისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი:

პირველ რიგში, წყლის ჩარჩო დირექტივა წარმოადგენს წყლის რესურსების მართვის ერთიან ინტეგრირებულ კოდექსს – მისი გამოყენების სფერო მოიცავს მთლიანად შიდა წყლებს. დირექტივამ გაამარტივა და გააერთიანა წყლისა და წყალთან დაკავშირებული არსებული ევროპული კანონმდებლობა (ძველი წყლის დირექტივები გაერთიანდა ჩარჩოში და მათ დამატება სხვა დირექტივების რელევანტური დებულებები).

მეორე მნიშვნელოვანი საკითხია ის რომ დირექტივა ორიენტირებულია ზედაპირული წყლის ყველა ობიექტისათვის კონკრეტული მიზნის დასახვასა და მიღწევაზე. ეს არის მიზანი, რომელიც აწესებს ეკოლოგიური დაცვის და მინიმალური ქიმიური სტანდარტის ზოგად მოთხოვნას და ითვალისწინებს "კარგი სტატუსის" მიღწევას წყლის ყოველი ობიექტისათვის დადგენილ ვადაში. მიზნის მიღწევა იურიდიულად სავალდებულოა, რაც იმას ნიშნავს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა არა მარტო უნდა შეასრულონ ევროკავშირის წყლის კანონმდებლობის კონკრეტული მოთხოვნები, არამედ დამატებითი ზომებიც უნდა მიიღონ ეროვნულ დონეზე, რათა უზრუნველყონ "კარგი სტატუსის" მიღწევა.

მესამე და ამ კვლევისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია მდინარეთა აუზების გეოგრაფიულ საზღვრებზე დამყარებული მართვის სისტემის შექმნის მოთხოვნა. დირექტივაში წყლის მართვის ახალი მოდელი წარმოდგენილია "მდინარის აუზების" ან ჰიდრო-გეოგრაფიული არეალის ტერიტორიისთვის და არა ადმინისტრაციული და პოლიტიკური საზღვრების მიხედვით. ამ მიდგომის შესაბამისად წყლის მახასიათებლები, ადამიანის ზემოქმედება, მართვის საჭიროებები და ა.შ. შეფასებულია მდინარის აუზის დონეზე; დაგეგმვისა და ინსტიტუციონალური მექანიზმები აგრეთვე დადგენილია მდინარის აუზის ტერიტორიის გათვალისწინებით, ყველა იმ დაინტერესებული მხარის მონაწილეობით, რომელიც კონკრეტულ მდინარის აუზთან არის დაკავშირებული. დირექტივის მოთხოვნის შესაბამისად, წევრმა სახელმწიფოებმა შემდეგი ძირითადი ქმედებები უნდა განახორციელონ:

- ქვეყნის ტერიტორიის ფარგლებში არსებული მდინარეთა აუზების იდენტიფიცირება და მათი მიკუთვნება კონკრეტული მდინარის აუზის უბნისთვის (RBDs);
- თითოეულ მდინარის აუზის უბნის მართვაზე პასუხისმგებელი კომპეტენტური ორგანოს იდენტიფიცირება;
- მდინარის აუზის უბნის დახასიათება მასზე ზეწოლის, ზემოქმედებისა და წყლით სარგებლობის ეკონომიკური ანალიზის გათვალისწინებით (მათ შორის, მდინარის აუზის უბანში შემავალი დაცული ტერიტორიების რეესტრის წარმოება);
- მონიტორინგის პროგრამებისა და ქსელის შექმნა და მონიტორინგის განხორციელება;
- მონიტორინგის შედეგებისა და მდინარის აუზის მახასიათებლების ანალიზის საფუძველზე, მდინარის აუზის უბნის წყლის ობიექტებისთვის "კარგი სტატუსის" უზრუნველსაყოფად ღონისძიებების განსაზღვრა;
- თითოეული მდინარის აუზის უბნისთვის სააუზო მართვის გეგმების (RBMPs) მომზადება და გამოქვეყნება.

WFD მოიაზრება წყლის სექტორის მარეგულირებელ ინტეგრირებულ კოდექსად. ის შეიცავს რამდენიმე კონკრეტულ საკითხებთან დაკავშირებულ "შვილობილ დირექტივას".¹⁷ მაგალითად, მინისქვეშა წყლის დირექტივა, რომელიც შეეხება მინისქვეშა წყლის დაბინძურების პრევენციისა და კონტროლის მექანიზმებს, აგრეთვე შეიცავს მინისქვეშა წყლის ქიმიური სტატუსის შეფასების კრიტერიუმებს. WFD-ში შემავალი სხვა დირექტივები შეეხება კონკრეტულ წყალმომხმარებას, წყლის ტიპებს და წყალთან დაკავშირებულ საფრთხეებს, ასეთებია: ურბანული ჩამდინარე წყლის დირექტივა,¹⁸ ნიტრატების დირექტივა, წყალდიდობების დირექტივა და აგრეთვე გარემოს ხარისხის სტანდარტების დირექტივა. ამ დირექტივების კონკრეტული დებულებები აღწერილია მომდევნო თავებში.

2.5.2 ჰაბიტატების დირექტივა და ფრინველთა დირექტივა

ჰაბიტატების დირექტივა და ფრინველთა დირექტივა შემუშავებულია ევროკავშირის მიერ ბუნების კონსერვაციისა და დაცვის ღონისძიებების განსახორციელებლად ევროკავშირის ფარგლებში. ეს დირექტივები უზრუნველყოფს ევროკავშირისა და მის წევრ სახელმწიფოთა მიერ ისეთ საერთაშორისო ხელშეკრულებებით აღებული ვალდებულებების შესრულებას, როგორიცაა ბიომრავალფეროვნების კონვენცია, მიგრირებადი სახეობების კონვენცია და ბერნის კონვენცია. საერთო ჯამში, დირექტივები იცავენ ევროპული მნიშვნელობის 1,000-ზე მეტ ცხოველთა და მცენარეთა სახეობას და 200-ზე მეტ ე.წ. "ჰაბიტატის ტიპს" (მაგ. სპეციალური ტიპის ტყეები, მდელოები, ჭაობები და ა.შ.)

ბუნების დაცვის ევროპული კანონმდებლობა ეფუძნება Natura 2000 დაცული ტერიტორიების ქსელსა და სახეობების დაცვის მკაცრ სისტემას. ჰაბიტატების დირექტივის მე-6 მუხლი განსაზღვრავს Natura 2000 -ის ქსელის ტერიტორიების (საიტების) მართვისა და დაცვის წესებს და ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთაგან მოითხოვს:

- შესაბამისი კონსერვაციის ზომების მიღებას იმ ჰაბიტატების და სახეობების შენასანარჩუნებლად და აღსადგენად, რომლისთვისაც საიტი დასახელდა ხელსაყრელი საკონსერვაციო სტატუსის მისანიჭებლად;
- თავიდან აიცილოს საქმიანობა, რომელმაც შეიძლება მნიშვნელოვნად დააზიანოს ეს სახეობები ან გააუარესოს დაცული სახეობების ჰაბიტატები, ან ჰაბიტატის ტიპები.

ნებისმიერმა გეგმამ ან პროექტმა, რომელსაც სავარაუდოდ მნიშვნელოვანი ზემოქმედება ექნება Natura 2000-ზე, ინდივიდუალურად ან სხვა გეგმებთან/ პროექტებთან ერთობლიობაში, უნდა გაიაროს შესაბამისი შეფასება (გზშ) რათა დადგინდეს საიტზე მისი ზემოქმედების შედეგები. კომპეტენტურ ორგანოებს მხოლოდ მას შემდეგ შეუძლიათ თანხმობის გაცემა გეგმაზე ან პროექტზე როდესაც დაადგენენ, რომ ადგილი არ ექნება საიტის მთლიანობაზე უარყოფით ზემოქმედებას (თუ კი გეგმა ან პროექტი არ ითვლება განსაკუთრებული მნიშვნელობის საზოგადოებრივი ინტერესის მქონედ).

კომპლექსური მიდგომიდან გამომდინარე, WFD მჭიდრო კავშირს ამყარებს ბუნების ორივე დირექტივასთან (ფრინველთა და ჰაბიტატების დირექტივებს უწოდებენ ბუნების დირექტივებს). როგორც ბუნების დირექტივები ასევე WFD მიზნად ისახავს ჯანსაღი წყლის ეკოსისტემების უზრუნველყოფას, ამავე დროს ბალანსის შენარჩუნებას წყლის/ბუნების დაცვასა და ბუნებრივი რესურსების მდგრად გამოყენებას შორის. მართლაც ურთიერთკავშირი ნათელია, ვინაიდან WFD-ის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები ბუნების დირექტივების ამოცანების გადაჭრაშიც მონაწილეობს.

WFD-ის მუხლში 1 (ა) თვალნათლივ აღნიშნულია წყლის ეკოსისტემების სტატუსის დაცვისა და გაუმჯობესების მოთხოვნა. აგრეთვე იმ ხმელეთის ეკოსისტემებისა და ჭარბტენიანი ტერიტორიების დაცვა, რომლებიც პირდაპირ არის დამოკიდებული წყლის რესურსებზე. WFD-ის მუხლი 6.1 ითვალისწინებს იმ დაცული უბნების რეესტრის შექმნას, "რომლებიც განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებენ... მათი ზედაპირული და მინისქვეშა წყლების დასაცავად ან წყალზე უშუალოდ დამოკიდებული ჰაბიტატების და სახეობების კონსერვაციის მიზნით". რეესტრი უნდა მოიცავდეს „დასაცავი ჰაბიტატების ან სახეობების უბნებს, სადაც წყლის სტატუსის შენარჩუნება ან გაუმჯობესება მნიშვნელოვანი ფაქტორია მათ დასაცავად“ (დანართი IV, (v) WFD).

17. ტერმინი "შვილობილი დირექტივა" შესაძლებელია დამახვეველი იყოს, ვინაიდან თითქმის მიაწინებს რომ ასეთი დირექტივები ჩარჩო დირექტივის ქვე-დირექტივებია. ეს ასე არ არის. "შვილობილი დირექტივა" წარმოადგენს ცალკე დამოუკიდებელ საკანონმდებლო აქტს, რომელიც ევროკავშირის ელმეკრულებით არის მიღებული და დირექტივებს შორის იერარქია არ არის. ამიტომ ევროპული კომისია უპირატესობას ანიჭებს ტერმინ "სპეციფიკურ"-ს, მაგრამ "შვილობილი" უფრო ფართოდ გამოიყენება.

18. სხვა დირექტივები, რომლებიც ამ ანგარიშში არ შევიდა არის სასმელ და საბანაო წყალთან დაკავშირებული დირექტივები.

წყლის დაცული უბნების რეესტრში შესატანად უნდა განვიხილოთ Natura 2000-ის ნებისმიერი საიტი წყალზე დამოკიდებული (მინისქვეშა ან/და ზედაპირულ წყალზე) ჰაბიტატის ტიპებით ან სახეობებით, რომლებიც დაცულია ბუნების დირექტივებით. ეს ტერიტორიები განსაზღვრულია როგორც „წყალზე დამოკიდებული Natura 2000-ის საიტები“ და მათთვის გამოიყენება როგორც ფრინველთა/ჰაბიტატების დირექტივის, ასევე WFD ამოცანები.

2.6 სხვა კანონმდებლობა

ფრინველთა და ჰაბიტატების დირექტივები ევროპის ბუნების დაცვის პოლიტიკის ქვაკუთხედს ქმნიან. თუმცა, ვინაიდან სხვა ინსტრუმენტებიც შეიძლება რელევანტური იყოს სხვადასხვა კუთხითა და ხარისხით, ისინიც შეტანილია ამ კვლევაში. ასეთი ინსტრუმენტებია დარგობრივი კანონმდებლობა, როგორიცაა მეთევზეობა (მიუხედავად იმისა, რომ შიდა/მტკნარი წყლების მეთევზეობა არ რეგულირდება ევროკავშირის კანონმდებლობით საერთო მეთევზეობის პოლიტიკის ფარგლებში და ეროვნულ წესებს ექვემდებარება).

გარემოსდაცვით კონტექსტში ზოგადი მნიშვნელობისაა გარემოზე ზემოქმედების შეფასების (EIA, გზშ) კანონმდებლობა და სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (SEA) კანონმდებლობა. EIA დირექტივა ადგენს გარემოს შეფასების პროცედურებს იმ პროექტებისთვის, რომლებსაც გარემოზე სავარაუდო ზემოქმედება აქვთ. გზშ პროცედურა შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს: პროექტის განმახორციელებელმა ორგანიზაციამ შესაძლებელია ჰკითხოს კომპეტენტურ ორგანოს, რას უნდა მოიცავდეს მის მიერ მინიჭებული გზშ ინფორმაცია (სკოპინგის ეტაპზე); განმახორციელებელმა ორგანიზაციამ უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია გარემოზე ზემოქმედების შესახებ (გზშ-ს ანგარიში – დანართი IV); გარემოსდაცვითი უწყება და საზოგადოება (ასევე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ნეერი ქვეყნები) ინფორმირებული და კონსულტირებული უნდა იყვნენ; კომპეტენტური ორგანო გადაწყვეტილებას იღებს კონსულტაციების შედეგების გათვალისწინებით. შემდეგ საზოგადოებას ეცნობება მიღებული გადაწყვეტილების შესახებ და მას უფლება აქვს გაასაჩივროს იგი სასამართლოში.

SEA დირექტივა გამოიყენება ფართო სპექტრის საჯარო გეგმებისა და პროგრამებისთვის (მაგ მინათსარგებლობის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, ნარჩენების, სოფლის მეურნეობის და ა.შ.). გარკვეული ტიპის გეგმები და პროგრამები ექვემდებარება სავალდებულო SEA მოთხოვნებს, სხვები კი სკრინინგის პროცესს გადიან, რათა დადგინდეს, არის თუ არა სავარაუდო „მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ეფექტი“. სკრინინგის პროცედურა ტარდება იმ კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც დირექტივის II დანართშია ჩამოყალიბებული. SEA პროცედურა შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს: მზადდება გარემოსდაცვითი ანგარიში, რომელშიც შემოთავაზებული გეგმის ან პროგრამის გარემოზე სავარაუდოდ მნიშვნელოვანი ზემოქმედება და გონივრული ალტერნატივებია იდენტიფიცირებული. საზოგადოება და გარემოსდაცვითი უწყება ინფორმირებული და კონსულტირებულია გეგმის ან პროგრამის პროექტის და მომზადებული გარემოსდაცვითი ანგარიშის შესახებ.

ნაწილი 3 | ეროვნული კანონმდებლობისა და პოლიტიკის შესაბამისობის ანალიზი

3.1 წყლის ჩარჩო ღირებულებასთან შესაბამისობა

3.1.1 ადმინისტრაციული ღონისძიებები

წყლის ჩარჩო ღირებულება მოიცავს წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვისა და დაგეგმვის ჩარჩოებს. დაგეგმვა, მართვა და დაცვა მდინარის აუზის უბნების (RBDs) ტერიტორიულ პრინციპს ეფუძნება. მდინარის აუზის თითოეული უბნისთვის შექმნილია „კომპეტენტური ორგანო“, რომლის ზოგადი პასუხისმგებლობაა უზრუნველყოს წყლის ჩარჩო ღირებულების მოქმედება აუზის უბნის ტერიტორიაზე. კომპეტენტურ ორგანოს WFD-ის ფარგლებში გარკვეული კონკრეტული ვალდებულებები ეკისრება (მაგალითად, მდინარის აუზის მართვის გეგმების პროექტების დამტკიცება, გარემოსდაცვითი მიზნებისა და ღონისძიებების პროგრამების დამტკიცება და ა.შ.) აგრეთვე სხვა სახელმწიფო ორგანოებთან კოორდინაციისა და თანამდევრული განხორციელების უზრუნველყოფა და სხვა.

3.1.1.1 კომპეტენტური ორგანოს (CA) დანიშვნა

წყლის ჩარჩო ღირებულების ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნაა „შესაბამისი ადმინისტრაციული ღონისძიებების უზრუნველყოფა, მათ შორის, შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს იდენტიფიკაცია ამ ღირებულების წესების დაცვის მიზნით თითოეული მდინარის აუზის უბანზე“ (WFD, მუხლი 3(2)). ღირებულების ამ მოთხოვნაში არ იგულისხმება აუცილებლად ახალი კონკრეტული ორგანოს შექმნა. WFD-ის მიხედვით, წევრ სახელმწიფოებს შეუძლიათ კომპეტენტურ ორგანოდ დაასახელონ არსებული ეროვნული, ან საერთაშორისო ორგანო (WFD, მუხლი 3(6)).

წყლის რესურსების მართვის კანონპროექტში საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო განსაზღვრულია მდინარის აუზის მართვის კომპეტენტურ ორგანოდ და საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ითვალისწინებს სააუზო მართვის ერთეულების ჩამოყალიბებას ყოველი სააუზო უბნისთვის.

გარდა ამისა, კანონპროექტი ითვალისწინებს საკონსულტაციო და საკოორდინაციო საბჭოების (აუზის საბჭოები) შექმნას ყოველი სააუზო უბნისთვის. ამ საბჭოების მოვალეობებში შედის კონსულტაციების, წინადადებების და დასკვნების მომზადება ან მომზადების უზრუნველყოფა, ასევე მხარეთა კოორდინაცია მდინარეთა აუზების ინტეგრირებული მართვის გეგმების (IRBPs) შემუშავებისა და განხორციელების ეტაპებზე. კანონპროექტის ფარგლებში მოიაზრება სპეციალური სამთავრობო დადგენილების მიღება „სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოების შექმნისა და დებულების დამტკიცების“ შესახებ. დადგენილების პროექტი უკვე მომზადებულია¹⁹ და მთავრობას დასამტკიცებლად წარედგინება ძირითადი კანონის ამოქმედების შემდეგ. სააუზო საბჭოები სავარაუდოდ, მნიშვნელოვან როლს ითამაშებენ მდინარის აუზის უბნების მახასიათებლების ანალიზის განხილვისას.

შესაბამისობის ხარისხი	მაღალი
ძირითადად, ახალი კანონპროექტით გათვალისწინებული შეცვლილი ეროვნული კანონმდებლობა წყლის ჩარჩო ღირებულებას (WFD) ასახავს. ყურადღება უნდა მიექცეს, რომ კომპეტენტური ორგანო (CA) ეფექტურად ურთიერთქმედებდეს სხვა მარეგულირებელ ორგანოებთან და ხელისუფლებასთან - და უზრუნველყოფდეს მათ მონაწილეობას მდინარეთა აუზების მართვაში. ამ ორგანოების დებულებებში და სხვა მარეგულირებელ დოკუმენტებში უნდა შევიდეს შესაბამისი მოთხოვნები სააუზო მართვაში მათი მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. ასევე, ყურადღება უნდა მიექცეს (და კონტროლდებოდეს), თუ როგორ მუშაობს ყოველი სააუზო უბნის CA. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მონაწილეობას, ვინაიდან საქართველოში დღეს არსებული ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობის მიხედვით, სწორედ მათ ენიჭებათ თავიანთ ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების მართვის უფლებები და მოვალეობები. სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოებმა (სააუზო საბჭოები) განსაკუთრებით მნიშვნელოვანი როლი უნდა ითამაშონ ამ კუთხით.	

3.1.1.2 ადმინისტრაციული პროცედურების დანერგვა საერთაშორისო მდინარეების, ტბების და სანაპირო წყლებისთვის

როდესაც აუზის უბანში შემავალი მდინარეები, ტბები და სანაპირო წყლები ეროვნულ საზღვრებს სცდება, ინტეგრირებული (და ეფექტიანი) წყლის რესურსების მართვისთვის საჭიროა საერთაშორისო თანამშრომლობა. WFD-ის მუხლი 3(3) მოითხოვს წევრი სახელმწიფოებისგან უზრუნველყონ, რომ მდინარის აუზი, რომელიც ერთზე მეტი წევრი სახელმწიფოს ტერიტორიას მოიცავს, მიაკუთვნონ საერთაშორისო სააუზო უბანს და, რომ ასეთი ადგილებისთვის შესაბამისი ადმინისტრაციული პროცედურები დანერგდეს, შესაბამისი კომპეტენტური ორგანოს იდენტიფიკაციის ჩათვლით. მიუხედავად იმისა რომ (აუცილებლობიდან გამომდინარე), წევრი სახელმწიფო ვალდებულია ღირებულება გამოიყენოს საერთაშორისო სააუზო უბნის მხოლოდ იმ ნაწილისთვის, რომელიც თავის ტერიტორიაზე მდებარეობს, კომპეტენტურ ორგანოს მაინც აქვს გარკვეული დამატებითი პასუხისმგებლობა საერთაშორისო თანამშრომლობასთან დაკავშირებით.

19. მთავრობის დადგენილების პროექტი „სააუზო მართვის საკონსულტაციო-საკოორდინაციო საბჭოების შექმნის და დებულების დამტკიცების“ შესახებ, ხელმისაწვდომია: http://moe.gov.ge/index.php?lang_id=GE0&sec_id=69&info_id=3960

ასოცირების შეთანხმების თანახმად, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ოთხი წლის განმავლობაში საქართველომ უნდა განახორციელოს მდინარის აუზის უბნების იდენტიფიკაცია და ადმინისტრაციული პროცედურები დააწესოს საერთაშორისო მდინარეების, ტბებისა და სანაპირო წყლებისთვის.²⁰

საქართველოში წარმოდგენილია რეგიონის საერთაშორისო მდინარის აუზების როგორც ზედა, ასევე ქვედა დინების ნაწილები. მდინარეები საქართველოს ტერიტორიაზე თურქეთიდან და სომხეთიდან შემოედინება და შავ ზღვაში ან, რუსეთის და აზერბაიჯანის გავლით, კასპიის ზღვაში ჩაედინება. წყლის კანონმდებლობის ახალ პროექტში იდენტიფიცირებული ექვსი მდინარის აუზის უბნიდან ოთხი საქართველოს სახელმწიფო საზღვრებს კვეთს და საერთაშორისო სააუზო უბნებს მიეკუთვნება. ესენია: ალაზანი-იორის, მტკვრის, ხრამი-დებედას, და ჭოროხი - აჭარისწყლის სააუზო უბნები. მდინარე მტკვრის აუზში რამდენიმე ტრანსსასაზღვრო ტბაა, რომლებიც საზიაროა თურქეთთან (კარნახის ტბა) და აზერბაიჯანთან (ჯანდარის ტბა). გარდა ამისა, საქართველო – როგორც შავი ზღვის რეგიონის სახელმწიფო საზღვრო აკვატორიას სხვა ქვეყნებთან იყოფს.

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დასახელება “კომპეტენტურ ორგანოდ” (CA) საერთაშორისო სააუზო უბნებზეც ვრცელდება (და ამ მხრივ, „კომპეტენტურ ორგანოსთან“ დაკავშირებული ზემოთხსენებული კომენტარი რელევანტურია). თუმცა, როგორც ჩანს, ფორმალური მცდელობა ადმინისტრაციულ პროცედურების დანერგვისა საერთაშორისო სააუზო უბნებისთვის არ განხორციელებულა არც ქვეყნის შიდა ტერიტორიაზე და არც მეზობელ ქვეყნებთან თანამშრომლობასთან მიმართებაში.

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს მეზობელ ქვეყნებთან გარკვეული ორმხრივი თანამშრომლობა, ტრანსსასაზღვრო წყლებისთვის ადმინისტრაციული პროცედურების დადგენა არ მომხდარა. რამდენიმე ორმხრივი ხელშეკრულება მეზობელ ქვეყნებთან გარკვეულწილად ეხება წყლის რესურსებს, ხოლო ზოგიერთი საერთაშორისო მხარდაჭერის პროექტი წყლის სექტორში უშუალოდ ტრანსსასაზღვრო მდინარეებზეა ფოკუსირებული. არსებობს გარკვეული წინსვლა აზერბაიჯანთან და თურქეთთან ორმხრივი თანამშრომლობის კუთხით, რომლის მიზანია წყლის მონიტორინგის მონაცემების ურთიერთგაცვლა, მაგრამ ტრანსსასაზღვრო წყლების ერთობლივი მართვის ადმინისტრაციულ პროცედურებზე მსჯელობა როგორც ჩანს, ნაადრევია, ან არარეალისტურიც კი მიმდინარე პოლიტიკური და სხვა გარემოებების გათვალისწინებით.²¹

შესაბამისობის ხარისხი	საშუალო
საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს დასახელება “კომპეტენტურ ორგანოდ” (CA) საერთაშორისო სააუზო უბნებზეც ვრცელდება თუმცა, სავარაუდოდ საჭირო იქნება კონკრეტული ადმინისტრაციული პროცედურების დანერგვა და ფართო თანამშრომლობა იმ ქვეყნებთან, რომლებიც საერთაშორისო წყლის ობიექტებს იწინააღმდეგებენ.	

3.1.2 მდინარის აუზის მართვა

წყლის ჩარჩო დირექტივის (WFD) უმთავრესი თავისებურება იმაში მდგომარეობს, რომ წყლის რესურსების მართვასთან და დაგეგმვასთან დაკავშირებული ყველა საქმიანობისთვის ის მართვის მთავარ ელემენტად მდინარის აუზს მოიაზრებს. დირექტივა აღიარებს, რომ წყლისთვის გადამწყვეტია ფიზიკური და ჰიდროლოგიური საზღვრები და არა პოლიტიკური და ადმინისტრაციული შეზღუდვები. წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ დაადგინონ მათ ტერიტორიაზე არსებული მდინარის აუზები და მიაკუთვნონ ისინი მდინარის სააუზო მართვის კონკრეტულ უბნებს. ამის შემდეგ ჩნდება მთელი რიგი ვალდებულება, მათ შორის მდინარის აუზების მახასიათებლების ანალიზის ჩატარების მოთხოვნა, რომელიც სხვა კვლევებთან ერთად ეკოლოგიურ და ეკონომიკურ ანალიზსაც მოიცავს. აგრეთვე მონიტორინგის პროგრამების შექმნისა და ყოველი სააუზო უბნისთვის მდინარის აუზის მართვის გეგმის (RBMP) მომზადების მოთხოვნა.

მდინარის აუზის მართვის გეგმა (RBMP) შემდეგ ფუნქციებს ასრულებს:

- კვლევების შედეგად შეგროვილი ინფორმაციის დოკუმენტირება და შენახვა. ეს ინფორმაცია მოიცავს: ზედაპირული და გრუნტის წყლების გარემოსდაცვით მიზნებს, წყლის ხარისხის და რაოდენობის მონაცემებსა და წყლის ობიექტებზე ანტროპოგენული ზემოქმედების აღწერას;
- მდინარის აუზის უბნის ფარგლებში არსებული ღონისძიებების პროგრამებისა და სხვა შესაბამისი გეგმებისა და პროგრამების კოორდინაცია;
- წყლის ჩარჩო დირექტივის (WFD) მე-15 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, ევროკომისიის წინაშე ანგარიშების ძირითადი მექანიზმის როლის შესრულება.

დაგეგმვის პროცესის მნიშვნელოვანი თავისებურებაა RBMP-ის საბოლოო სახით დასრულებამდე მისი შინაარსისა და მასში წარმოდგენილი წინადადებების შესახებ დაინტერესებულ მხარეებთან და ფართო საზოგადოებასთან კონსულტაციების ჩატარების აუცილებელი მოთხოვნა.

3.1.2.1 მდინარის აუზის უბნების იდენტიფიკაცია

WFD-ის მუხლი 3(1) წევრი სახელმწიფოებისგან მოითხოვს მათი ქვეყნის ტერიტორიაზე არსებული მდინარის აუზების დადგენას და ამ დირექტივის მიზნებისთვის მათ მიკუთვნებას კონკრეტულ სააუზო უბნებისთვის. სადაც ეს შესაძლებელია და მართვის თვალსაზრისით უპრიანი, მცირე მდინარეთა აუზები შეიძლება დიდი

20. საქართველო - ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება; ხელმისაწვდომია: <eeas.europa.eu/georgia/pdf/eu-ge_aa-dcfta_en.pdf>.

21. USAID/Governing for Growth (G4G) საქართველოში, წყლის სექტორის პირველადი შეფასების ანგარიში, (2015) დანართი 1, საერთაშორისო დახმარება წყლის სექტორში

მდინარის აუზებს მიუერთდეს ან მეზობელ პატარა აუზებთან გაერთიანდეს. თუ მინისქვეშა წყლები მთლიანად არ მიჰყვება კონკრეტული მდინარის აუზს, საჭიროა მათი იდენტიფიცირება და მიკუთვნება უახლოესი და ყველაზე შესაფერისი მდინარის აუზის უბნისთვის. უნდა მოხდეს სანაპირო წყლების იდენტიფიცირება და მათი მიკუთვნება უახლოესი და ყველაზე შესაფერისი აუზის უბნისთვის ან უბნებისთვის.

ამჟამად, საქართველოში წყლის სექტორის მართვა ადმინისტრაციულ საზღვრებს ეფუძნება. წყლის რესურსების მართვის კანონპროექტის მიზანია არსებული ადმინისტრაციული პრინციპების შეცვლა და მდინარის აუზის ინტეგრირებული მართვის მიდგომის დანერგვა. ეს, მათ შორის, მოიცავს მდინარის აუზის უბნების იდენტიფიკაციის მოთხოვნას. კანონი მოითხოვს საგანგებო სამთავრობო დადგენილების მიღებას მდინარის აუზის უბნების იდენტიფიკაციისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ. დადგენილების პროექტი უკვე მომზადებულია და მთავრობას დასამტკიცებლად წარედგინება ძირითადი კანონის დამტკიცების შემდეგ. ახალი კანონმდებლობის თანახმად საქართველოს ტერიტორია დაიყოფა 6 მდინარის აუზის უბნად.²²

საქართველოში მიმდინარე "საერთაშორისო მდინარეების აუზების გარემოს დაცვის პროექტის" ფარგლებში წყლის ჩარჩო დირექტივის (WFD) მოთხოვნების შესაბამისად აუზის მართვის გეგმის შემუშავების მიზნით პილოტურ აუზად შეირჩა ქოროხი-აჭარისწყლის აუზი.²³

შესაბამისობის ხარისხი	მაღალი
მართალია, რომ დღეს არსებული წყლის კანონმდებლობა ადმინისტრაციულ საზღვრებს ეფუძნება, მაგრამ ახალი ჩარჩო კანონი უკვე იყენებს მდინარის აუზის მართვის კონცეფციას და პირდაპირ მოითხოვს მდინარის აუზის უბნების იდენტიფიკაციას. გარდა ამისა, უკვე ჩატარდა აუზის უბნების იდენტიფიკაცია და ქვეყნის ტერიტორია დაიყო 6 სააუზო უბნად. მომზადებულია შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი (მთავრობის დადგენილება), რომელიც დამტკიცდება წყლის რესურსების მართვის შესახებ ახალი კანონის ამოქმედების შემდეგ.	

3.1.2.2 მდინარის აუზის უბნების მახასიათებლების ანალიზი

წყლის ჩარჩო დირექტივის (WFD) მუხლი 5 მოითხოვს ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისგან, თავიანთ სააუზო უბნებში განახორციელონ:

- მახასიათებლების ანალიზი (წყლის ობიექტების ტიპოლოგიის ჩათვლით);
- ზედაპირული და მინისქვეშა წყლების მდგომარეობაზე ადამიანის აქტივობის ზემოქმედების განხილვა; და
- წყლით სარგებლობის ეკონომიკური ანალიზი.

წყლის ჩარჩო დირექტივის II და III დანართებში მოცემულია ეკოლოგიური და ეკონომიკური მახასიათებლების ანალიზისთვის დეტალური ტექნიკური სპეციფიკაცია, ასევე ზედაპირულ და მინისქვეშა წყლებზე მნიშვნელოვანი ანთროპოგენული ზეწოლისა და ზემოქმედების შეფასების აღწერა. ეს ანალიზი წარმოადგენს ზედაპირული და მინისქვეშა წყლების სტატუსის შეფასების საფუძველს და გვიჩვენებს, რომელი წყლის ობიექტია გარემოსდაცვითი მიზნების მიუღწევლობის "რისკის წინაშე". ამ ანალიზის შედეგებზე დამყარებული მომავალი სამონიტორინგო ქსელების და ღონისძიებების პროგრამის შექმნა.

კანონპროექტი მოითხოვს საგანგებო სამთავრობო დადგენილების მიღებას „მდინარის აუზის მართვის გეგმების (RBMPs) შემუშავების, განხილვისა და მიღების პროცედურის განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“. მდინარის აუზის უბნების მახასიათებლების ანალიზი დაგეგმვის პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტია. დადგენილების პროექტი უკვე მომზადებულია და მთავრობას დასამტკიცებლად წარედგინება მთავარი კანონის ამოქმედების შემდეგ. ახალი კანონპროექტის თანახმად RBMPs მომზადდება, მათ შორის, გარემოსდაცვითი და ეკონომიკური მახასიათებლების ანალიზი და აგრეთვე მნიშვნელოვანი ანთროპოგენული ზეწოლისა და ზემოქმედების შეფასების პასუხისმგებლობა ეკისრება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს (MENRP). დადგენილების პროექტში უფრო დეტალურად არის განსაზღვრული თუ რას უნდა მოიცავდეს ეს ანალიზი და თავად გეგმა (იხ. ქვემოთ ცხრილი 3 - მდინარის აუზის მართვის გეგმის ელემენტები და სტრუქტურა. კერძოდ, პირველი და მეორე ნაწილები).

სამინისტრო გეგმავს სააუზო მართვის ერთეულების ჩამოყალიბებას ყოველი მდინარის აუზის უბნისთვის. ეს ერთეულები კოორდინაციას გაუწევენ აუზის დაგეგმვას, მართვას და მონიტორინგს. სამწუხაროდ დღეისათვის სამინისტროს ტექნიკური შესაძლებლობები ძალიან დაბალია იმისათვის, რომ შეიქმნას და ადეკვატურად დაკომპლექტდეს მდინარის აუზის მართვის ერთეულები.

შესაბამისობის ხარისხი	მაღალი
ახალი ჩარჩო კანონი აღიარებს დაგეგმვის პროცესში მდინარის აუზის უბნების მახასიათებლების ანალიზის საჭიროებას. ასეთი შეფასებების WFD-ში განსაზღვრული დეტალური მოთხოვნები ასახულია როგორც თავად კანონპროექტში, ასევე შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის პროექტში. თუმცა, წარმატებული განხორციელების გასაღები უპირველეს ყოვლისა შესაძლებლობების განვითარებაში (ადამიანის რესურსი, ტექნიკური, ფინანსური) და შეფასებების ეფექტურად განხორციელების გამოცდილებაშია.	

22. საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი "მდინარის აუზის მართვის სააუზო ტერიტორიული ერთეულების საზღვრების დამტკიცების შესახებ" ხელმისაწვდომია: <moe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&info_id=3960>

23. "საერთაშორისო მდინარეთა აუზების გარემოს დაცვის პროექტი" აძლიერებს გარემოს დაცვისა და წყლის რესურსების მართვის ქმედებებს, რომლებიც მხარდაჭერილია EU მიერ დაფინანსებული ტრანსსაზღვრო რეგიონული პროექტებით როგორც თანამშრომლობის კუთხით, ასევე წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის (IWRM) და ევროკავშირის წყლის ჩარჩო დირექტივის (WFD) პრინციპებთან დაახლოების თვალსაზრისით, შავი ზღვის რეგიონში შერჩეულ საპილოტე მდინარის აუზებზე მდინარის აუზის მართვის გეგმების (RBMPs) ერთობლივად მომზადების გზით. მეტი ინფორმაციისთვის ეწვიეთ: <blacksea-riverbasins.net>

3.1.2.3 წყლის ხარისხის მონიტორინგის პროგრამების შედგენა

წყლის ჩარჩო დირექტივის (WFD) მუხლი 8 ადგენს ზედაპირული წყლის სტატუსის, მინისქვეშა წყლის სტატუსისა და დაცული ტერიტორიების მონიტორინგის მოთხოვნებს. მონიტორინგის პროგრამები საჭიროა წყლის სტატუსის ერთიანი და ყოვლისმომცველი შეფასების უზრუნველსაყოფად ყოველ სააუზო უბანზე. მონიტორინგი ასევე უნდა იძლეოდეს ყოველი ზედაპირული წყლის ობიექტის ხუთი კლასიდან ერთ-ერთში კლასიფიკაციის საშუალებას ხოლო მინისქვეშა წყლის ობიექტების - ორიდან რომელიმე კლასში კლასიფიკაციის საშუალებას. მონიტორინგის პროგრამების დეტალური (მინიმალური) სპეციფიკაციები დირექტივის V დანართშია წარმოდგენილი და მოიცავს შემდეგს:

- საფრთხის წინაშე არსებულ ყველა მინისქვეშა წყლის ობიექტის ან ობიექტების ჯგუფების ქიმიური სტატუსის შეფასება;
- ყველა მინისქვეშა წყლის ობიექტის ან ობიექტების ჯგუფების რაოდენობრივი სტატუსის შეფასება;
- იმ მინისქვეშა წყლის ობიექტების ნაკადის სიჩქარის და მიმართულების შეფასება, რომლებიც წვერი სახელმწიფოების საზღვრებს კვეთენ. ეს მეთოდი გამოიყენება გრძელვადიანი ტენდენციების შეფასებისას როგორც ბუნებრივი პირობების ცვლილებების, ასევე ანთროპოგენური საქმიანობის შედეგად;
- საერთაშორისო საზღვრებზე გადატანილი ან ზღვაში ჩაშვებული დბინძურების შეფასება;
- წყლის ობიექტების სტატუსის ცვლილებების შეფასება;
- წყლის ობიექტებისთვის დადგენილი გარემოსდაცვითი მიზნების მიუღწევლობის მიზეზების შეფასება;
- ავარიული დაბინძურების მასშტაბებისა და ზემოქმედების განსაზღვრა;
- დაცული ტერიტორიების სტანდარტებსა და ამოცანებთან შესაბამისობის შეფასება;
- საეტალონო პირობების (სადაც არსებობს) რაოდენობრივი შეფასება ზედაპირული წყლის ობიექტებში.

დღესდღეობით საქართველოში წყლის ხარისხის მონიტორინგის დროს არ მიიღება მხედველობაში მდინარის აუზის უბნის საზღვრები. მონიტორინგი მხოლოდ ნაწილობრივ ფარავს წყლის ჩარჩო დირექტივაში (WFD) განსაზღვრულ მონიტორინგის პროგრამების სპეციფიკაციებს. კანონპროექტი მოითხოვს კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის მიღებას მთავრობის დადგენილების სახით "წყლის რესურსების მონიტორინგის დაგეგმვისა და შესრულების შესახებ". დადგენილების პროექტი უკვე მომზადებულია და მთავრობას დასამტკიცებლად წარედგინება მთავარი კანონის ამოქმედების შემდეგ.²⁴ დადგენილების პროექტი ეფუძნება WFD-ს 8 მუხლისა და V დანართის მოთხოვნებს და წარმოადგენს ტექნიკური ხასიათის მნიშვნელოვან დოკუმენტს.

თუმცა, პრაქტიკაში მისი წარმატებული განხორციელება სამონიტორინგო შესაძლებლობების განვითარებაზე იქნება დამოკიდებული. რადგან მონიტორინგის შემოთავაზებული სისტემა მნიშვნელოვნად განსხვავდება საქართველოში არსებული სისტემისგან, მისი შექმნა და განხორციელება მოითხოვს მნიშვნელოვან ინვესტიციას ახალ ინფრასტრუქტურასა და პერსონალის ტექნიკურ შესაძლებლობების გაზრდაში.

შესაბამისობის ხარისხი	დაბალი
მონიტორინგის პროგრამებთან დაკავშირებული მოთხოვნები ფართო და კონკრეტულია. მდინარის აუზების დონეზე ეროვნული მონიტორინგის პროგრამების შემუშავებისას ყურადღება უნდა მიექცეს მონიტორინგის პროგრამის დაგეგმვის და განვითარების ინდივიდუალურ (კონკრეტული სააუზო უბნისთვის დამახასიათებელ) ელემენტებს. მონიტორინგის პროგრამის განხორციელება ასევე მოითხოვს ტექნიკური და ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების მნიშვნელოვან გაძლიერებას.	

3.1.2.4 მდინარის აუზის მართვის გეგმების მომზადება

წყლის ჩარჩო დირექტივის (WFD) ძირითადი კომპონენტია მდინარის აუზის მართვის გეგმების შემუშავება, რომლებიც მზადდება ექვსწლიანი პერიოდისთვის და რომლებიც ჩამოყალიბებულია ყოველი მდინარის აუზისთვის საჭირო ქმედებები წყლის კონკრეტული ობიექტებისთვის დასახული გარემოსდაცვითი და ხარისხობრივი მიზნების მისაღწევად.

წყლის ჩარჩო დირექტივის თანახმად, ყოველმა წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მის ტერიტორიაზე მდებარე თითოეული სააუზო მართვის უბნისთვის (RBD) მდინარის აუზის მართვის გეგმის (RBMP) შემუშავება (მუხლი 13). გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიებების პროგრამის განხორციელება წყლის ობიექტების "კარგი სტატუსის" მისაღწევად ეფექტურ მექანიზმს წარმოადგენს. ტრანსსასაზღვრო მდინარეთა აუზების შემთხვევაში, დაინტერესებულმა წევრმა ქვეყნებმა ერთად უნდა იმუშაონ ერთიანი საერთაშორისო RBMP-ის შესაქმნელად. თუ ერთიანი გეგმა არ შემუშავდა, ყოველი წვერი სახელმწიფო ვალდებულია მოამზადოს მდინარის აუზის მართვის გეგმა თუნდაც საერთაშორისო აუზის იმ ნაწილისთვის, რომელიც მის ტერიტორიაზე მდებარეობს.

VII დანართში ჩამოყალიბებულია ის ელემენტები, რომლებსაც RBMP უნდა მოიცავდეს (იხ. რეზიუმე ქვემოთ). საჭირო ინფორმაცია ვრცელია (იხ. ცხრილი) და მოიცავს მდინარის აუზის დაგეგმვის პროცესის ყველა

24. მთავრობის დადგენილების პროექტი "წყლის რესურსების მონიტორინგის პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების წესების მიღების შესახებ", <moe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&info_id=3960>.

ასპექტს, ხოლო კომისიის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში, წევრმა სახელმწიფომ ხელმისაწვდომი უნდა გახადოს დამატებითი ინფორმაცია. გეგმის ფარგლებში უნდა განხორციელდეს აგრეთვე ე.წ. ხარვეზების ანალიზი, რომელიც დაადგენს შეუსაბამობას წყლის ობიექტების არსებულ მდგომარეობასა და დირექტივაში მოთხოვნილ მდგომარეობას შორის.

WFD-ის თანახმად საზოგადოების ჩართულობა RBMPs-ის შემუშავების საკვანძო ელემენტია.

წყლის ჩარჩო დირექტივის მე-14 მუხლი მიუთითებს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ნახაზისონ ყველა დაინტერესებული მხარის აქტიური ჩართულობა დირექტივის განხორციელებასა და მდინარის აუზის მართვის გეგმების შემუშავებაში. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიაწოდონ ინფორმაცია საზოგადოებას, მათ შორის წყალმოსარგებლებებს და გამართონ კონსულტაციები შემდეგ საკითხებზე:

- მდინარის აუზის მართვის გეგმების მომზადების გრაფიკი და სამუშაო პროგრამა და კონსულტაციების როლი;
- სააუზო უბანში არსებული წყლის მართვის მნიშვნელოვანი საკითხების მიმოხილვა;
- მდინარის აუზის მართვის გეგმის პროექტი.

საზოგადოების აქტიური მონაწილეობისა და კონსულტაციების შედეგად მომზადებული შენიშვნების მისაღებად უნდა გამოიყოს სულ ცოტა ექვსი თვე. RBMP-ის საბოლოო ვარიანტი უნდა შეიცავდეს ინფორმაციას განხორციელებული საჯარო საინფორმაციო / საკონსულტაციო ღონისძიებებისა და მათი შედეგების შესახებ, ასევე კონსულტაციების შედეგად გეგმაში შეტანილი ცვლილებების აღწერას (WFD დანართი VII).

ცხრილი 2. მდინარის აუზის მართვის გეგმაში შესატანი საკითხების რეზიუმე

- მდინარის აუზის უბნის მახასიათებლების ზოგადი აღწერა რუკის ჩათვლით, რომელშიც ნაჩვენებია ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის ობიექტების მდებარეობა და საზღვრები, ასევე შემდგომი რუკა რომელშიც ნაჩვენებია აუზში შემავალი ზედაპირული წყლის ობიექტების ტიპები;
- რეზიუმე, რომელშიც აღწერილია ანთროპოგენური საქმიანობის მნიშვნელოვანი ზეწოლა და ზეგავლენა ზედაპირული და მიწისქვეშა წყლების სტატუსზე, მათ შორის დაბინძურების წერტილოვანი და დიფუზური წყაროები და მინათსარგებლობა, წყლის რაოდენობრივი სტატუსი, მათ შორის წყალალბა, და წყლის სტატუსზე ადამიანის აქტივობის სხვა ზემოქმედების ანალიზი;
- აუზში არსებული წყლის დაცული ტერიტორიების რუკა;
- მონიტორინგის ქსელის რუკა;
- მონიტორინგის პროგრამის შედეგების რუკა ყველა წყლის ობიექტის და დაცული ტერიტორიების სტატუსის ჩვენებით;
- დადგენილი გარემოსდაცვითი მიზნების ჩამონათვალი ყველა წყლის ობიექტისთვის, იმ ობიექტების ჩათვლით, სადაც მიზნებიდან გადახვევას ჰქონდა ადგილი;
- წყლით სარგებლობის ეკონომიკური ანალიზის რეზიუმე;
- ღონისძიებების პროგრამ(ებ)ის რეზიუმე;
- უფრო დეტალური პროგრამების და მართვის გეგმების რეესტრი და მათი შინაარსის რეზიუმე;
- ჩატარებული საჯარო განხილვისა და გაწეული კონსულტაციების რეზიუმე, ასევე შედეგად გეგმაში შეტანილი ცვლილებების აღწერა;
- კომპეტენტური ორგანოების სია;
- საკონტაქტო პუნქტები და საცნობარო დოკუმენტაციისა და ინფორმაციის, მათ შორის, ფაქტობრივი მონიტორინგის მონაცემების მიღების პროცედურები.

სახელმძღვანელო დოკუმენტი #1, წყლის ჩარჩო დირექტივის (2000/60/EC) განხორციელების საერთო სტრატეგია

ზოგადად, ახალი კანონპროექტის ფარგლებში მთლიანად არის ასახული მდინარის აუზის მართვის გეგმების მიდგომა და RBMPs მომზადება და გარხორციელება მოიაზრება წყლის რესურსების მართვის ძირითად ინსტრუმენტად. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეს ფუნდამენტურ ცვლილებას გამოიწვევს საქართველოს წყლის პოლიტიკასა და მენეჯმენტში, რომელიც დღეს ადმინისტრაციული ერთეულის დონის დაგეგმვას ეფუძნება.

სამთავრობო დადგენილების პროექტი „მდინარის აუზის მართვის გეგმების (RBMPs) შემუშავების, განხილვის და მიღების პროცედურის განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ (რომელიც ზემოთ იყო აღნიშნული და რომელიც მთავრობას დასამტკიცებლად წარედგინება მთავარი კანონის ამოქმედების შემდეგ) შეიცავს RBMPs შინაარსის და მათი დამტკიცების პროცედურის დეტალებს. აუზის მართვის გეგმებში შესატანი ელემენტებია:

ცხრილი 3. მდინარის აუზის მართვის გეგმის ელემენტები და სტრუქტურა (ახალი ეროვნული კანონმდებლობის პროექტი)

1. მდინარის აუზის ინტეგრირებული მართვის სააუზო ტერიტორიული ერთეულის ზოგადი დახასიათება, რაც მოიცავს:
 - 1.1 ზედაპირული წყლებისთვის:
 - 1.1.1. წყლის ობიექტის განლაგების ადგილისა და საზღვრების ასახვას რუკაზე;
 - 1.1.2. მდინარის აუზის ფარგლებში ზედაპირული წყლის ობიექტების ტიპების ასახვას რუკაზე;
 - 1.1.3. ზედაპირული წყლის ობიექტებისათვის ფონური პირობების განსაზღვრას.
 - 1.2 მიწისქვეშა წყლებისთვის:
 - 1.2.1. მიწისქვეშა წყლის ობიექტის განლაგების ადგილისა და საზღვრების ასახვას რუკაზე.
2. ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლის ობიექტების სტატუსზე მნიშვნელოვანი ანთროპოგენური ზეწოლისა და ზემოქმედების აღწერა ისეთი ასპექტების ჩათვლით, როგორიც არის:
 - 2.1. წერტილოვანი წყაროებიდან დაბინძურების შეფასება;
 - 2.2. დიფუზური დაბინძურების შეფასება, მიწათსარგებლობის სქემის მოკლე აღწერის ჩათვლით;
 - 2.3. წყლის რაოდენობრივ მდგომარეობაზე ზემოქმედების შეფასება, წყალაღების შეფასების ჩათვლით.
3. წყლის მავნე ზემოქმედების რისკების ზონების ჩამონათვალს და წყლის უარყოფითი ზემოქმედების რისკების მართვის პროგრამას.
4. დაცული ზონების განსაზღვრასა და მათ ასახვას რუკაზე, რაც გულისხმობს:
 - 4.1. მოსახლეობის წყალმომარაგების მიზნით განკუთვნილ ზონებს;
 - 4.2. ეკონომიკურად მნიშვნელოვანი წყლის სახეობების დაცვისათვის განკუთვნილ ზონებს;
 - 4.3. დასვენებისათვის განკუთვნილ წყლის ობიექტებს, საბანაო წყლების ჩათვლით;
 - 4.4. ნუტრიენტებით დაბინძურებისადმი მგრძნობიარე ზონებს;
 - 4.5. წყლის ბინადარი სახეობების ან მათი საბინადრო გარემოს დაცვისთვის განკუთვნილ ზონებს თუ ამ სახეობების დაცვის მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს წყლის სტატუსის გაუმჯობესება.
5. ეკოლოგიური სტატუსების დადგენის მიზნით შემუშავებული მონიტორინგის ქსელის რუკა, რომელიც ასევე უნდა ასახავდეს იმ მონიტორინგის პროგრამების შედეგებს, რომელთა მიხედვითაც მოხდა სტატუსების დადგენა. მონიტორინგის ქსელის რუკა მოიცავს ინფორმაციას:
 - 5.1. ზედაპირული წყლების (ეკოლოგიური და ქიმიური მდგომარეობა);
 - 5.2. მიწისქვეშა წყლები (ქიმიური და რაოდენობრივი სტატუსი);
 - 5.3. დაცული ზონების შესახებ.
6. ზედაპირული, მიწისქვეშა და დაცულ ზონებზე არსებული წყლის ობიექტებისათვის დადგენილი გარემოსდაცვითი მიზნების ჩამონათვალი, იმ ინფორმაციის ჩათვლით, რომელიც მოიცავს გარემოსდაცვითი მიზნების დადგენის გამონაკლისების დაშვების შემთხვევებს და მასთან დაკავშირებულ შესაბამის ინფორმაციას.
7. წყალსარგებლობის ეკონომიკური ანალიზის მოკლე მიმოხილვას, რომელიც შემუშავებულია შესაბამისი მეთოდოლოგიით და მოიცავს:
 - 7.1. წყლის გამოყენებას, მისი ეკონომიკური დანიშნულების მიხედვით;
 - 7.2. წყლის გამოყენების ეკონომიკურ ანალიზს;
 - 7.3. ეკონომიკური კონტროლის მექანიზმებს;
 - 7.4. ხარჯ-სარგებლიანობის შეფასებას, როგორც შერჩეული ღონისძიებების შერჩევის კრიტერიუმს, რათა მიღწეულ იქნას გარემოსდაცვითი ამოცანები.
8. გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევის მიზნით დადგენილი ღონისძიებათა პროგრამის მიმოხილვას.
9. სააუზო-ტერიტორიული ერთეულების ფარგლებში შემუშავებული იმ სხვა პროგრამებისა და მართვის გეგმების ჩამონათვალს და მოკლე აღწერას, რომელთაც აქვთ გავლენა ან შესაძლოა ქონდეთ გავლენა სააუზო ტერიტორიულ ერთეულში არსებულ წყლის ობიექტზე.
10. ინფორმაცია მდინარის აუზის/სააუზო უბნის მართვის გეგმის შემუშავების ეტაპზე ჩატარებული საჯარო განხილვებისა და კონსულტაციების შესახებ და მათი შედეგების გეგმაში ასახვის შესახებ.
11. ინფორმაცია აუზის მართვის კომპეტენტური ორგანოს და მისი ადგილობრივი წარმომადგენლობების შესახებ, აგრეთვე ინფორმაცია საკონტაქტო პირის შესახებ და საბაზისო დოკუმენტებისა და ამ დებულების მე-6 მუხლით განსაზღვრული დოკუმენტების გამოთხოვის პროცედურას.
12. მდინარეთა აუზების მართვის გეგმის პირველი დამუშავებული ვერსია და ყველა სხვა გადამუშავებული ვერსიების უნდა მოიცავდნენ:
 - 12.1. მდინარეთა აუზების მართვის გეგმის წინამორბედი ვარიანტის გამოქვეყნებიდან ნებისმიერი ცვლილებებისა და დამატებების მოკლე აღწერას;
 - 12.2. გარემოსდაცვითი მიზნების შესრულების მიღწევათა შეფასებას, წინამორბედი გეგმის შესრულების პერიოდში ჩატარებული მონიტორინგის შედეგებს, რუკის სახით და იმ მიზეზების განმარტებას, რომლებმაც ხელი შეუშალეს გარემოსდაცვითი მიზნების მიღწევას;
 - 12.3. დაგეგმილი, მაგრამ მდინარეთა აუზების მართვის წინამორბედი გეგმის ფარგლებში არ განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერას და შესაბამის განმარტებებს.

მთავრობის დადგენილების პროექტი „მდინარის აუზის მართვის გეგმების (RBMPs) შემუშავების, განხილვისა და მიღების პროცედურის განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“, მუხლი 5

როგორც ვხედავთ, დადგენილების პროექტში შესული ელემენტები ყოვლისმომცველია და ისინი დეტალურად და ვრცლად ასახავს ცხრილში 2-ში შეჯამებულ სახელმძღვანელო საკითხებს. წყლის ეკოსისტემების კორსერვაციისა და წყლის რესურსების მართვის წარმატება საბოლოო ჯამში დამოკიდებული იქნება ადმინისტრაციული შესაძლებლობების გაძლიერებაზე დაგეგმვის პროცესის განვითარების, მონიტორინგისა და გამოყენების მიზნით, როგორც ეს გათვალისწინებულია ზემოთაღნიშნული დადგენილების პროექტით. წარმატების მისაღწევად ასევე ტექნიკური შესაძლებლობების მნიშვნელოვანი გაძლიერება იქნება საჭირო (ინფრასტრუქტურა, ფინანსური და ადამიანის რესურსები, გამოცდილება და ა.შ.) რათა დაგეგმვის პროცესის ყველა ელემენტის ეფექტურად შესრულება შესაძლებელი გახდეს. ეს დღევანდელი საქართველოსთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს. განსაკუთრებით, თუ გავითვალისწინებთ განსხვავებას არსებულ დაგეგმვის პროცესსა (და მათი განხორციელების შესაძლებლობებს) და RBM მიდგომის დაგეგმვის პროცესს შორის. თუმცა გასათვალისწინებელია გამოცდილება ტექნიკური პროექტებიდან, რომელთა ფარგლებშიც გარკვეულწილად შესრულდა დადგენილების პროექტის მოთხოვნები – მაგალითად, "საერთაშორისო მდინარეების აუზების გარემოს დაცვის პროექტის" ფარგლებში შემუშავდა პილოტური RBMP ჭოროხი-აჭარისწყლის მდინარის აუზისთვის.²⁵

დადგენილების პროექტი ასევე ითვალისწინებს RBM დაგეგმვის სხვა საკვანძო ელემენტს: საზოგადოების მონაწილეობა და კონსულტაცია. დადგენილების პროექტის მე-6 მუხლი „მდინარის აუზის მართვის გეგმის შემუშავებაში და განხილვაში საზოგადოების ჩართულობა“ აღიარებს, რომ:

- აუცილებელია დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობისა და საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა მდინარის აუზის გეგმების შედგენისას, გადახედვისას და განახლებისას. მდინარის აუზის მართვის დაგეგმვის პროცესში დაინტერესებულ მხარეთა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობის მიზანია მათი დასაბუთებული მოსაზრებების ინტეგრირება გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

აქედან გამომდინარე, დადგენილება განსაზღვრავს კონსულტაციებისა და საზოგადოების მონაწილეობისთვის დეტალურ და დროში გაწერილ კონკრეტულ პროცესს, რომლის ძირითადი ელემენტებია:

- მდინარის აუზის მართვის გეგმის მოქმედების პერიოდის დაწყებამდე სულ ცოტა სამი წლით ადრე, დაინტერესებულ მხარეთათვის გაცნობისა და მათი მოსაზრებების მიღების მიზნით, სამინისტრო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომს გახდის გეგმის შემუშავების განრიგსა და წესს, აგრეთვე ინფორმაციას დაგეგმილი საკონსულტაციო ღონისძიებების ჩატარების ადგილისა და დროის შესახებ და მოსაზრებების მიღების მექანიზმის შესახებ.
- მდინარის აუზის მართვის გეგმის მოქმედების პერიოდის დაწყებამდე სულ ცოტა ორი წლით ადრე, დაინტერესებულ მხარეთა მხრიდან მოსაზრებების მიღების მიზნით, სამინისტრო საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომს გახდის გეგმის შემუშავების პირველ ეტაპზე შესრულებული სააუზო უზნის ზოგად დახასიათებას, ზედაპირულ და მიწისქვეშა წყლის ობიექტების სტატუსზე მნიშვნელოვანი ანთროპოგენური ზეწოლისა და ზემოქმედების აღწერას და რისკების შეფასების ანგარიშს, აგრეთვე ადგილობრივი და ცენტრალური პრესისა და სამინისტროს ვებ-გვერდის საშუალებით გამოაქვეყნებს ინფორმაციას საჯარო განხილვის ჩატარების ადგილისა და დროის, აგრეთვე მოსაზრებების გამოხატვის ფორმისა და საშუალებების შესახებ.
- მდინარის აუზის მართვის გეგმის მოქმედების პერიოდის დაწყებამდე სულ ცოტა 6 თვით ადრე, დაინტერესებულ მხარეთა მხრიდან კომენტარების მიღების მიზნით, უნდა გამოიცეს და საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახდეს სააუზო მართვის გეგმის პროექტი. ამ ეტაპზე სამინისტრო უზრუნველყოფს გეგმის პროექტის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობას და საჯარო განხილვის მოწყობას.
- დაინტერესებულ მხარეებსა და საზოგადოებას მოსაზრებების წერილობით ფორმატში მიწოდებისთვის უნდა მიეცეს არანაკლებ 3 თვის ვადა.
- მოთხოვნის შემთხვევაში, საზოგადოებას უნდა მიეწოდოს ის საბაზისო ინფორმაცია და დოკუმენტები, რომლებიც გამოყენებულ იქნა აუზის მართვის გეგმის შედგენისას.
- მდინარის აუზის მართვის გეგმა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას შემუშავების ეტაპზე ჩატარებული საჯარო განხილვებისა და კონსულტაციების შესახებ და შედეგების გეგმაში ასახვის შესახებ.

საყურადღებოა, რომ ამ მუხლის მოთხოვნები თანაბრად ვრცელდება RBMPs როგორც პირველად, ასევე განახლებულ გეგმებზე.

მდინარის აუზის მართვის გეგმების შინაარსისა და სტრუქტურის შესახებ დებულებების მსგავსად, ეს დებულებებიც ყოვლისმომცველი და ამბიციურია, მაგრამ მათი წარმატებისთვის საჭიროა შესაძლებლობის შექმნაზე ფოკუსირება. ახალ დებულებებში გათვალისწინებულია დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთობის ხასიათი და ღონე, რომელიც სავარაუდოდ სცილდება საქართველოში დღეს არსებულ კონსულტაციების პრაქტიკას.

25. ზემოთ, n. 24.

შესაბამისობის ხარისხი	მაღალი
წყლის რესურსების მართვის ახალი კანონპროექტი მთლიანად შეესაბამება მდინარის აუზის დაგეგმვის მიდგომას, და შეიცავს ფართო და დეტალურ მოთხოვნებს სააუზო მართვის (RBM) დაგეგმვის შინაარსის, სტრუქტურისა და პროცესის შესახებ. შეიძლება ჩაითვალოს, რომ კანონპროექტში განსაზღვრული მოთხოვნების შესრულებით შესაძლებელია წყლის ჩარჩო დირექტივით (WFD) გათვალისწინებული RBM დაგეგმვის წარმართვა. თუმცა, დაგეგმვის პროცესის სრულად და ეფექტურად განხორციელების მიზნით ყურადღება უნდა მიექცეს ადმინისტრაციულ-ტექნიკური და ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების შექმნას, ასევე საჭირო დონის ფინანსური და საშტატო უზრუნველყოფის იდენტიფიკაციას და მოძიებას. პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს RBMPs შესამუშავებლად შაბლონის ან მოდელის შექმნას. თვითონ ეს პროცესი უნდა ეფუძნებოდეს თანამონაწილეობრივ მიდგომას, რომელიც შესაძლებელს გახდის დადგენილების პროექტის კონკრეტული მოთხოვნების შესრულებას დაგეგმვის პროცესში.	

3.1.2.5 ღონისძიებების პროგრამის მომზადება

ღონისძიებების პროგრამა მდინარის აუზის მართვის დაგეგმვის უმნიშვნელოვანესი ელემენტია, რამდენადაც იგი ადგენს WFD მიზნების მისაღწევად საჭირო ღონისძიებებს. პროგრამა ეფუძნება ხარვეზების ანალიზს და მოიცავს ღონისძიებების ორ ძირითად ჯგუფს:

- **ძირითადი ღონისძიებები**, ეს არის მინიმალური ღონისძიებები სააუზო უბანზე წყლის დაცვის ევროკავშირის კანონმდებლობის მოთხოვნების შესასრულებლად (მათ შორის წყლის დირექტივები და სხვა ბუნების დაცვის დირექტივები იმდენად, რამდენადაც ისინი ვრცელდება წყლის ობიექტებზე, ა.შ.).
- თუ აღმოჩნდება, რომ მარტო ძირითადი ღონისძიებების განხორციელება არ არის საკმარისი დირექტივის მიზნების ან ცალკეული RBMPs შესასრულებლად (კერძოდ, მაგალითად, წყლის ობიექტების კარგი სტატუსის მისაღწევად), წევრმა სახელმწიფოებმა **დამატებითი ღონისძიებები** უნდა გამოიყენონ.

დირექტივა მოიცავს კანონმდებლობას, რომელიც ქმნის ძირითადი ღონისძიებების მეშვეობით განსახორციელებელ წესების ერთობლიობას. დირექტივაში ასევე წარმოდგენილია პროგრამაში სავარაუდოდ შესატანი დამატებითი ღონისძიებების ტიპების ინდიკატიური (მაგრამ არა ექსკლუზიური) ჩამონათვალი (ცხრილი 4).

ცხრილი 4. ღონისძიებების პროგრამაში შესატანი ღონისძიებები	
დირექტივები, რომლებიც ითვალისწინებს სავალდებულო ღონისძიებებს • საბანაო წყლის დირექტივა - (76/160/EEC) • დირექტივა ფრინველების შესახებ - (79/04/EEC) • სასმელი წყლის დირექტივა - (80/778/EEC) რომელიც შესწორდა დირექტივით- (98/83/EC) • ძირითადი ავარიების (Seveso II) დირექტივა - (96/82/EC) • გარემოზე ზემოქმედების შეფასების დირექტივა - (85/337/EEC) • მუნიციპალური ჩამდინარე წყლების დირექტივა - (86/278/EEC) • ურბანული ჩამდინარე წყლების განმენდის დირექტივა - (91/271/EEC) • მცენარეთა დაცვის საშუალებების დირექტივა - (91/414/EEC) • ნიტრატების დირექტივა - (91/676/EEC) • ჰაბიტატების დირექტივა- (92/43/EEC) • დაბინძურების ინტეგრირებული პრევენციის და კონტროლის დირექტივა - (96/61/EC) დირექტივის 2000/60/EC დანართი VI (ნაწილი A) მიხედვით	დამატებითი ღონისძიებები, რომელთა შეტანაც შეიძლება პროგრამაში • საკანონმდებლო, ადმინისტრაციული, ეკონომიკური და ფისკალური ინსტრუმენტები • აბსტრაქციის და ემისიის კონტროლი • შეთანხმებული გარემოსდაცვითი ხელშეკრულებები • კარგი პრაქტიკის კოდექსი • მოთხოვნის მართვის ღონისძიებები • ეფექტურობის და ხელახლა გამოყენების ღონისძიებები • წყალშემცველი ჰორიზონტების ხელოვნური შევსება • ჭარბტენიანი ტერიტორიების დასვენება და აღდგენა • სამშენებლო პროექტები • გასამტკნარებელი მოწყობილობები • რეაბილიტაციის პროექტები • საგანმანათლებლო პროექტები • კვლევის, განვითარებისა და საჩვენებელი პროექტები • სხვა შესაბამისი ღონისძიებები 2000/60/EC დირექტივის დანართი VI (ნაწილი B) მიხედვით

გარდა ზემოთაღნიშნული მოთხოვნებისა, WFD გეთავაზობს სხვა ღონისძიებებსაც, რომლებიც შეიძლება შევიდეს ღონისძიებების პროგრამაში (PoM). მათ შორისაა კონკრეტული წყლის ობიექტებისთვის ღონისძიებების დროებითი ან მუდმივი შეცვლა, აგრეთვე ძლიერ მოდიფიცირებული წყლის ობიექტებისთვის (HMWBs) კარგ ეკოლოგიურ პოტენციალზე დაბალი მიზნის მისაღწევად შემუშავებული ღონისძიებები მდინარის აუზის უბნის ფარგლებში.

მთავრობის დადგენილების პროექტში „მდინარის აუზის მართვის გეგმების (RBMPs) შემუშავების, განხილვისა და მიღების პროცედურის განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ ჩამოყალიბებული პროცედურები შეიცავს დებულებებს კარგი გარემოსდაცვითი სტატუსის მისაღწევად ღონისძიებების პროგრამების მომზადების შესახებ. პრინციპში, WFD-ში გათვალისწინებული ყველა დამხმარე ღონისძიება შეიძლება არსებობდეს ეროვნულ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და საწარმოო პრაქტიკაში. მაგრამ, სირთულეს წარმოადგენს დამატებითი ღონისძიებების საჭიროების იდენტიფიცირება და შემდეგ ამ ღონისძიებების შერჩევა და სათანადოდ განხორციელება.

ჭოროხი-აჭარისწყლის მდინარის აუზის მართვის პილოტური გეგმა შეიცავს ღონისძიებების პროგრამას კარგი გარემოსდაცვითი სტატუსის მისაღწევად, და ამ მხრივ მნიშვნელოვან გამოცდილებას გეთავაზობს.²⁶ პილოტურ გეგმაში მოცემული ღონისძიებების პროგრამა (PoM) შედგება შემდეგი კომპონენტებისგან: 1) ანგარიშის ფარგლები, გამოყენებული ინფორმაცია მეთოდოლოგია; 2) ძირითადი ღონისძიებები „რისკის ქვეშ“ მყოფი წყლის ობიექტებისთვის; 3) დამატებითი (დამხმარე) ღონისძიებები „რისკის ქვეშ“ მყოფი წყლის ობიექტებისთვის; 4) ძირითადი და დამხმარე ღონისძიებები ძლიერ მოდიფიცირებულ წყლის ობიექტებისთვის (HMWBs) რომლებიც არ არის გამონაკლისად მიჩნეული; 5) „რისკის ქვეშ“ არმყოფი როგორც ზედაპირული, ასევე მინისქვეშა წყლის ობიექტებისთვის სტატუს-კვოს შესანარჩუნებელი ღონისძიებები. საპილოტე პროგრამას საფუძვლად უდევს WFD მოთხოვნები, მაგრამ ამ ღონისძიებათა პროგრამისთვის კონკრეტული რეკომენდაციები შემუშავდა (სახელმძღვანელო დოკუმენტის პროექტი ღონისძიებათა პროგრამის შემუშავებისა და გარემოს მიზნების მიღწევის შესახებ ევროკავშირის WFD-ის შესაბამისად), ასევე მასში გათვალისწინებულია ჭოროხი-აჭარისწყლის მდინარის აუზის ზეწოლა-ზეგავლენის ანალიზი და რისკების შეფასება.

შესაბამისობის ხარისხი	მაღალი
ახალი ჩარჩო კანონპროექტი და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტები შეიცავს ღონისძიებების პროგრამის შექმნის მოთხოვნას წყლის ჩარჩო დირექტივაში მოცემული სტრუქტურის მიხედვით. პრინციპში, WFD-ში გათვალისწინებული ყველა დამხმარე ღონისძიება შეიძლება არსებობდეს ეროვნულ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ და საწარმოო პრაქტიკაში. ჭოროხი-აჭარისწყლის მდინარის პილოტური აუზის ფარგლებში შექმნილი სახელმძღვანელო დოკუმენტი გეთავაზობს ღონისძიებების პროგრამის მომზადების ტექნოლოგიური მიდგომასა და მაბლონს. მიუხედავად იმისა, რომ კანონპროექტის ფარგლებში მოცემული საკანონმდებლო ჩარჩო მთლიანად შესაბამეა WFD-ს, პრაქტიკაში ღონისძიებების პროგრამის სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებული იქნება ძირითადი ღონისძიებების სფეროში ეფექტური სამართლებრივი რეჟიმის არსებობაზე (მათ შორის, საკანონმდებლო ზომები, რომლებიც ქვემოთ არის განხილული) და მონაცემებისა და შესაძლებლობების არსებობაზე დამატებითი ღონისძიებების საჭიროების იდენტიფიცირებისთვის და მათი სათანადოდ შერჩევისთვის.	

3.2 ურბანული ჩამდინარე წყლების გაწმენდის ღირებულებასთან შესაბამისობა

მტკნარი წყლის ეკოსისტემაში ჩაშვებული ურბანული ჩამდინარე წყლებით გამოწვეული დაბინძურება მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის კონსერვაციას. ურბანული ჩამდინარე წყლების გაწმენდის დირექტივის (UWWTD)²⁷ მიზანია დაიცვას გარემო ურბანული ჩამდინარე წყლის და გარკვეული სამრეწველო სექტორებიდან (განსაზღვრულია დირექტივის III დანართში) ჩაშვებული ჩამდინარე წყლის უარყოფითი ზემოქმედებისგან. დირექტივა ეხება საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლის, ან საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლისა და სამრეწველო ჩამდინარე წყლის ნარევის, ან/და ნივთის წყლის შეგროვებას, გაწმენდას და ჩაშვებას.

კერძოდ დირექტივა მოითხოვს:

- ჩამდინარე წყლის შეგროვებას და გაწმენდას ყველა აგლომერაციაში²⁸ მოსახლეობის ეკვივალენტით (p.e.) >2000;
- ყველა სახის ჩაშვებული ჩამდინარე წყლის მეორადი გაწმენდა აგლომერაციაში მოსახლეობის ეკვივალენტით > 2000, და უფრო ღრმა გაწმენდა აგლომერაციაში მოსახლეობის ეკვივალენტით >10 000, მგრძნობიარე ადგილებში და მათ წყალშემკრებში;
- ურბანული ჩამდინარე წყლის, კვების მრეწველობის და ინდუსტრიული ჩამდინარე წყლის ურბანული ჩამდინარე წყლის კოლექტორში ჩაშვების წინასწარი ავტორიზაციის მოთხოვნა;
- გაწმენდი ნაგებობების და მიწები დანადგარების მუშაობის მონიტორინგი;
- ჩამდინარე წყლის ნალექის განთავსების და ხელახალი გამოყენების, გაწმენდილი ჩამდინარე წყლის ხელახალი გამოყენების (სადაც ეს შესაძლებელია) კონტროლი.

დირექტივა შემდეგ ოთხ ძირითად პრინციპს ეფუძნება: დაგეგმვა (შეფასების ჩათვლით), რეგულირება, მონიტორინგი, ინფორმაციის მიწოდება და ანგარიშგება.

26. ღონისძიებების პროგრამა, დეკემბერი 2014, იქვე, ხელმისაწვდომია: <<http://blacksea-riverbasins.net/ru/pilot-basins>

27. ევროპის საბჭოს დირექტივა 91/271/EEC ურბანული ჩამდინარე წყლის გაწმენდის შესახებ, 21 მაისი 1991

28. „აგლომერაცია“ განისაზღვრება, როგორც ადგილი, სადაც მოსახლეობა და/ან ეკონომიკური საქმიანობები საკმარისად კონცენტრირებულია იმისათვის რომ მოხდეს ურბანული ჩამდინარე წყლის შეგროვება და ურბანულ გაწმენდ ნაგებობაში მიწოდება, ან საბოლოო ჩაშვების ადგილზე განთავსება. მოსახლეობის ეკვივალენტი 1 ნიშნავს ორგანულ ბიოდაშლად ნივთიერებებით დატვირთვას, რომელსაც გააჩნია დღიურად ჟანგბადის 60 გრამზე ზუთდღიანი ჟანგბადის ბიოქიმიური მოთხოვნა „უბმ“ 5 (BOD5)

3.2.1 ურბანული ჩამდინარე წყლის შემოვლის და განმდინის სტატუსის შეფასება

არასაკმარისი მონიტორინგის გამო ზედაპირული წყლის სტატუსის შესახებ მონაცემები შეზღუდულია. საქართველოს გარემოს ეროვნული სააგენტოს მონაცემების თანახმად ქიმიური მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ გაუნმენდავი მუნიციპალური ჩამდინარე წყლები ზედაპირული წყლების დაბინძურების ძირითადი წყაროა და ზედაპირული წყლების დაბინძურების 67% ამ წყაროს შედეგია, ხოლო ამიაკი მთავარი დამაბინძურებელი ნივთიერებაა. აღნიშნული სიტუაციის გამომწვევი პრობლემაა მუნიციპალური ჩამდინარე წყლის შეგროვებისა და გამწმენდი ნაგებობების არასათანადო პირობები.²⁹

ამჟამად, საქართველოს ურბანული მოსახლეობის დაახლოებით 70%-ია მიერთებული საკანალიზაციო სისტემასთან, მაგრამ ჩამდინარე წყლის მხოლოდ 26% იწმინდება და ისიც მხოლოდ პირველადი, მექანიკური განმწმენდის მეთოდით. საქართველოში მხოლოდ ერთი სრულად ფუნქციონირებადი ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა არსებობს. ოფიციალური მონაცემები ჩაშვებული და განმწმენდი ჩამდინარე წყლის რაოდენობაზე შეუსაბამოა და არასანდო. სოფლად მცხოვრები ოჯახები არ არის მიერთებული კანალიზაციის სისტემებთან და არ არსებობს ჩამდინარე წყლის მონაცემები.³⁰ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული დოკუმენტი "სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგია - საქართველო 2020" აღიარებს წყლის რესურსების მართვის სისტემის მდინარის აუზის ინტეგრირებული მართვის ევროპულ მოდელზე გადასვლის მნიშვნელობას. მასში განსაზღვრულია საერთო სტრატეგიული მიზნები, მათ შორის მთელი მოსახლეობის უწყვეტი წყალმომარაგების და სათანადო კანალიზაციით უზრუნველყოფის მიზანი, ასევე ჩამდინარე წყლის მართვის სისტემების არსებობა თითოეული ქალაქის ტერიტორიაზე.

მოთხოვნები ურბანული ჩამდინარე წყლის შეგროვებისა და განმწმენდის სტატუსის შეფასების შესახებ არასაკმარისად არის გათვალისწინებული ეროვნულ კანონმდებლობაში. არ არსებობს მექანიზმები ან სისტემური ინსტრუმენტები, რომლებიც ხელს შეუწყობს საყოფაცხოვრებო ნარჩენებით გარემოს დაბინძურების პრევენციას. ზოგადად, არ არსებობს კონტროლი – ლიცენზირების სისტემის სახით, ზედამხედველობა და მართვა პრაქტიკულად არ ხორციელდება და მართვა შემოიფარგლება ჩაშვებების თვითმონიტორინგით.³¹ არ არსებობს კონკრეტული დებულებები ურბანული ჩამდინარე წყლის განმწმენდის შესახებ, გარდა ზოგადი და გარკვეულწილად გაურკვეველი მოთხოვნების კანონში წყლის შესახებ (1997 წ.), ასევე რამდენიმე უმნიშვნელო რეგულაციებისა (სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები და წესები, და ჰიგიენური მოთხოვნები), რომლებიც უსისტემოდ არის დამტკიცებული საქართველოს შრომის, სოციალური დაცვის და ჯანმრთელობის სამინისტროს მიერ.³² ახლად ამოქმედებული "ნარჩენების მართვის კოდექსი"³³ ცალსახად გამორიცხავს თავისი სფეროდან ჩამდინარე წყლების ან წყლის დაბინძურების მართვას.

მომავალში, ურბანული ჩამდინარე წყლის შეგროვებისა და განმწმენდის სტატუსის შეფასება ნაწილობრივ იქნება დაფარული ახალი კანონით წყლის რესურსების მართვის შესახებ. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო ნამყვან როლს კისრულობს ურბანული ნარჩენი წყლის განმწმენდასთან დაკავშირებულ საქმიანობაში, რადგან მას ევალება რეგიონული განვითარების პოლიტიკის განხორციელება, ასევე საქართველოს რეგიონებში წყალმომარაგება-კანალიზაციის სისტემების განვითარების კოორდინაცია და მხარდაჭერა. რეგიონის დონეზე დაგეგმვის მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს რეგიონული განვითარების სტრატეგიები, რომლებიც შემუშავებულია 2017 წლამდე ან 2021 წლამდე საქართველოს ცხრავე რეგიონისთვის. სტრატეგიებში განსაზღვრული ძირითადი მიზნებია რეგიონული ინფრასტრუქტურული მომსახურების გაუმჯობესება, მათ შორის წყალმომარაგების და წყალარინების.³⁴

საქართველოს 2012-2016 წლების ეროვნულ გარემოსდაცვით სამოქმედო გეგმაში წყლის სექტორთან დაკავშირებით იდენტიფიცირებული ერთ-ერთი მიზანია: "გაუნმენდავი მუნიციპალური ჩამდინარე წყლებით გამოწვეული წყლის დაბინძურების შემცირება".

შესაბამისობის ხარისხი	დაბალი
საქართველოში დღესდღეობით მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს მიხედვით, დერექტივასთან დაბალი შესაბამისობა დგინდება. მთავარი საწყისი ქმედება უნდა იყოს ურბანული ნარჩენი წყლის შეგროვებისა და განმწმენდის სტატუსის უფრო სრული შეფასების ჩატარება საქართველოში. კონკრეტული აუზის უბანზე ურბანული ნარჩენი წყლის შეგროვებისა და განმწმენდის სტატუსის შეფასების მონაცემების არსებობა აუცილებელია დაგეგმვის, რეგულირებისა და მონიტორინგისთვის. მუნიციპალიტეტებს უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა, შეაგროვონ ასეთი ინფორმაცია და მიაწოდონ სააუზო მართვის ერთეულს მდინარის აუზის მართვის მონაცემთა გაცვლის პროგრამის ფარგლებში, რომელიც კანონით იქნება დადგენილი.	

29. საქართველოს გარემოს ეროვნული სამოქმედო პროგრამა 2012 –2016, თბილისი, 2012, p.17: http://moe.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=32

30. გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია, საქართველოს გარემოსდაცვითი ეფექტიანობის შეფასების მესამე მიმოხილვა, ნიუ იორკი და ჟენევა, 2016; <www.unece.org/environmental-policy/environmental-performance-reviews/ongoing-reviews.html>

31. იქვე

32. წყლის სექტორის კონვერგენციის გეგმა საქართველოსთვის

33. საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსი, 2015, მუხლი 2.2 ე; <matsne.gov.ge/en/document/view/2676416>

34. სახელმწიფო სტრატეგია - საქართველოს რეგიონული განვითარება 2010-2017, დამტკიცებული საქართველოს მთავრობის დადგენილებით #172.; <static.mrdi.gov.ge/550c24ee0cf24147438b16f6.pdf>

3.2.2 მგრძნობიარე უბნების და აგლომერაციების იდენტიფიკაცია

დირექტივაში უფრო მკაცრი წესები დადგენილი "მგრძნობიარე" უბნებისთვის (ურბანული ჩამდინარი წყლების განმენდის დირექტივის (UWWTD), მუხლი 5 და დანართი II). UWWTD, დანართი II იდენტიფიცირებულია წყლის ობიექტების სახეები, რომლებიც უნდა იყოს წარმოდგენილი, როგორც "მგრძნობიარე უბნები":

- მტკნარი წლის ობიექტები, შესართავები და სანაპირო წყლები, რომლებიც ევტროფულია ან შეიძლება ევტროფული გახდეს დაცვის ღონისძიებების მიღების გარეშე;
- სასმელი წყლის აბსტრაქციისთვის განკუთვნილი ზედაპირული მტკნარი წყლები, რომლებიც შეიცავს ან სავარაუდოდ შეიცავს > 50 მგ/ლ ნიტრატებს;
- ადგილები, სადაც შემდგომი განმენდა აუცილებელია ევროკავშირის სხვა წყლის დირექტივების შესაბამისად.

სენსიტიურ უბნებში წევრმა სახელმწიფოებმა უნდა განახორციელონ უფრო ღრმა წმენდა აგლომერაციებში $> 10\,000$ მოსახლეობის ეკვივალენტით (მათ შორის, როგორც მინიმუმ, გარკვეული კონკრეტული სტანდარტების დაცვა, რომლებიც დირექტივის I დანართშია განსაზღვრული).

ამჟამად, საქართველოში არ ხორციელდება სენსიტიური უბნების საიდენტიფიკაციო ზომები (თუმცა, ასეთი უბნები აუცილებლად არსებობს), და არ ტარდება კონკრეტული ღონისძიებები ასეთ უბნებზე ჩაშვებულ წყლებთან დაკავშირებით. არსებული კანონპროექტის თანახმად, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო პასუხისმგებელი იქნება სენსიტიური უბნების და აგლომერაციების იდენტიფიკაციაზე. საჭირო იქნება კონკრეტული კანონქვემდებარე აქტი რომელიც აღწერს იდენტიფიკაციის წესებს და პროცესს. შესაბამისი სექტორებისა და ადგილობრივი ხელისუფლების როლი დაზუსტებას და სამართლებრივ მოთხოვნებად გარდაქმნას საჭიროებს.

შესაბამისობის ხარისხი	დაბალი
ახალი კანონპროექტის მიხედვით მგრძნობიარე უბნების და აგლომერაციების იდენტიფიკაცია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ვალდებულებას წარმოადგენს. მაგრამ კანონპროექტი არ შეიცავს სამინისტროს ამ როლთან დაკავშირებულ კონკრეტულ დებულებებს. საჭიროა საკანონმდებლო ბაზის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს მგრძნობიარე უბნების იდენტიფიკაციასა და ამ უბნებზე უფრო მკაცრი ზომების დანერგვის პროცესს. ასევე უნდა განისაზღვროს მგრძნობიარე უბნების (და პოტენციურად მგრძნობიარე უბნების) სტატუსის გადამოწმების პროცესი.	

3.2.3 წინასწარი რეგულირების ან ნებართვების სისტემების ჩამოყალიბება

ურბანული ჩამდინარი წყლების განმენდის დირექტივის (UWWTD მუხლი 11) მიხედვით, კონტროლის ერთ-ერთი ძირითადი მეთოდია კვების მრეწველობის და ინდუსტრიული ჩამდინარე წყლის ურბანული ჩამდინარე წყლის კოლექტორში ჩაშვების წინასწარი ავტორიზაციის მოთხოვნა. აუცილებელია ასეთი მოთხოვნის შემოღება, მისი საკანონმდებლო დონეზე გაფორმება და ადმინისტრირება, რისთვისაც უნდა მოხდეს შესაბამისი და ეფექტური ადმინისტრაციული და გადამწყვეტილების მიღების პროცედურების შემუშავება.

ამჟამად წყლის ჩაშვების წინასწარ რეგულირებას და ავტორიზაციას მხოლოდ ის საქმიანობები ექვემდებარება, რომლებსაც ზოგადი გარემოდაცვითი ნებართვა მოეთხოვება. ასეთი საქმიანობები განსაზღვრულია 2005 წლის ლიცენზიებისა და ნებართვების კანონით. ამ კანონმა საგრძნობლად შეამცირა იმ საქმიანობათა რაოდენობა, რომლებიც გარემოზე ზემოქმედების ნებართვას და შესაბამის მართვასა და ზედამხედველობას მოითხოვს. ზედაპირული წყლის ამოღების და ჩაშვების სანებართვო სისტემა ამოღებული იქნა.

ჩამდინარე წყლის ჩაშვება იმ საქმიანობებიდან, რომლებიც არ საჭიროებენ გარემოზე ზემოქმედების ნებართვას, რეგულირდება სამინისტროს 2008 წლის ბრძანებით #745 გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების შესახებ³⁵. გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტი შემუშავებულია ყველა ისეთი საქმიანობისთვის, რომელიც არ საჭიროებს ზოგად გარემოსდაცვით ნებართვას.³⁶ რეგლამენტი მოიცავს ზედაპირულ წყლებში ჩამდინარე წყლის, სამრეწველო და არასამეწარმეო ჩამდინარე წყლის ჩაშვების წესებს, ასევე ზედაპირული წყლებიდან წყალღების წესების.

საქართველოს კანონმდებლობა მოითხოვს გზმ პროცედურას, რომელიც უნდა დაიცვან ნარჩენი წყლის განმენდმა ნაგებობებმა წარმადობით 1000m^3 დღეში³⁷. ეს განსხვავებული პარამეტრია იმისგან, რომელიც ევროკავშირის კანონმდებლობით გამოიყენება, როდესაც გზმ-ს შესახებ კანონი მოიცავს ჩამდინარე წყლების განმენდი ნაგებობებს წარმადობით $>150\,000$ მოსახლეობის ეკვივალენტი.

შემუშავების ეტაპზე არსებული ახალი კანონმდებლობა, დანერგავს წინასწარ ავტორიზაციის სისტემას და შემუშავებს ურბანული ჩამდინარე წყლების მართვის ტექნიკურ წესებს. წყლის რესურსების მართვის კანონპროექტის თანახმად, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ უნდა გამოსცეს ბრძანება და დაწესოს წყლის ჩაშვების და წყალღების ნებართვის გაცემის პირობები და ვადები. ამასთან ერთად გათვალისწინებულია კანონქვემდებარე აქტის გამოცემა, რომელიც დაამტკიცებს ზედაპირული

35. ტექნიკური რეგლამენტი ზედაპირულ წყლებში ჩამდინარე წყლის, სამრეწველო და არასამეწარმეო ჩამდინარე წყლის ჩაშვების შესახებ; და ტექნიკური რეგლამენტი ზედაპირული წყლებიდან წყალღების შესახებ; ორივე რეგლამენტი მიღებულია 2008 წლის 13 ნოემბერს, საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დადგენილებით No.745.

36. მთავრობის დადგენილება #17, 2014 წლის 3 იანვარი, გარემოს დაცვის ტექნიკური რეგულაციების მიღების შესახებ.

37. საქართველოს კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ, მუხლი 4

წყლის ობიექტებში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების (ზდწ) ნორმების გაანგარიშების შესახებ ტექნიკური რეგლამენტს. ამ დადგენილების პროექტი უკვე მომზადებულია და წარედგინება მთავრობას დასამტკიცებლად მთავარი კანონის ამოქმედების შემდეგ.³⁸

შესაბამისობის ხარისხი	დაბალი
მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად არ მოქმედებს ლიცენზირების ან წინასწარი ავტორიზაციის სისტემა ურბანული ჩამდინარე წყლის ჩაშვებაზე, არსებობს გარკვეული ლიცენზირების მექანიზმები და შესაძლებელია მათი გავრცელება ურბანულ ჩამდინარე წყალზეც. საჭიროა მარეგულირებელი სისტემის დეტალების შემუშავება.	

3.2.4 მონიტორინგის პროგრამები

ურბანული ჩამდინარე წყლების განმდის დირექტივის (UWWTD) მუხლი 15 ნევრი ქვეყნებისგან მოითხოვს ურბანული ჩამდინარე წყლების მონიტორინგის პროგრამების შექმნას, კერძოდ, (i) ურბანული ჩამდინარე წყლების განმდის ნაგებობებიდან ჩაშვებული წყლის მონიტორინგისთვის, დირექტივის მოთხოვნებთან შესაბამისობის შესამოწმებლად და (ii) ზედაპირულ წყლებში ჩაშვებული ჩამდინარე წყლების ნალექის რაოდენობის და შემადგენლობის მონიტორინგისთვის. გარდა ამისა, იმ შემთხვევაში, თუ ჩაშვება ნაკლებად მგრძნობიარე უბნებში ხდება და ჩამდინარე წყლის ნალექი ჩაედინება ზედაპირულ წყალში, წევრ სახელმწიფოებს მოეთხოვებათ მონიტორინგის და სხვა შესაბამისი კვლევების ჩატარება, გარემოზე შესაძლო უარყოფით ზემოქმედების დასადგენად.

წყლის რესურსების მართვის კანონპროექტი მოიცავს წყლის რესურსების სახელმწიფო მონიტორინგის სისტემასთან დაკავშირებულ დებულებებს. გათვალისწინებულია კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის, მთავრობის დადგენილების მიღება "წყლის რესურსების მონიტორინგის დაგეგმვისა და განხორციელების" შესახებ. დადგენილების პროექტი მომზადებულია და მთავრობას დასამტკიცებლად წარედგინება მთავარი კანონის მიღების შემდეგ.³⁹

შესაბამისობის ხარისხი	საშუალო
შემუშავების ეტაპზე არსებული წყლის მართვის ახალი კანონმდებლობა ეროვნული მონიტორინგის პროგრამების მომზადების შესახებ გათვალისწინებს მდინარის აუზის დონეზე ურბანული ჩამდინარე წყლის მონიტორინგის მოთხოვნებს. მონიტორინგის პროგრამის ეფექტიანად განხორციელება დამოკიდებული იქნება შესაბამისი ტექნიკური და ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების არსებობაზე და მოთხოვს მათ მნიშვნელოვნად გაზრდას.	

3.3 გარემოს ხარისხის სტანდარტების დირექტივასთან შესაბამისობა

წყლის ჩარჩო დირექტივის (WFD) მე-16 მუხლი მოითხოვს რომ ევროკომისიამ განსაზღვროს პრიორიტეტული ნივთიერებები, რომლებიც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიან წყლის გარემოს, და დაანესოს ევროკავშირის გარემოსდაცვითი ხარისხის სტანდარტები (EQS) ამ ნივთიერებებზე წყალში, ნალექში და/ან ბიოტაში. 2001 წელს 33 პრიორიტეტული ნივთიერების პირველი ნუსხა იქნა მიღებული (გადაწყვეტილება 2455/2001), ხოლო 2008 წელს ამ ნივთიერებების EQS-ები დაწესდა (დირექტივა გარემოსდაცვითი ხარისხის სტანდარტების შესახებ (დირექტივა 2008/105/EC), ანუ EQS დირექტივა/EQSD; ბოლოს შესწორდა დირექტივით 2013/39/EU).

EQS დირექტივა ადგენს 33 პრიორიტეტული ნივთიერების და 8 სხვა დამაბინძურებლის მაქსიმალურად დასაშვებ კონცენტრაციას ან/და საშუალო წლიურ კონცენტრაციას. კონცენტრაციები მიღებულია ევროპის დონეზე და ვრცელდება ევროკავშირის ყველა წევრ სახელმწიფოსთვის. ამ ნივთიერებებს უწოდებენ წყლის ჩარჩო დირექტივის (WFD) X დანართის ნივთიერებებს. გარდა ამისა WFD (დანართი V, ნაწილი 1.2.6) ადგენს წევრი სახელმწიფოების მიერ კონკრეტული დამაბინძურებლებისთვის, რომელთა ჩაშვება "მნიშვნელოვანი რაოდენობით" ხდება, EQS შესამუშავებელ პრინციპებს. მათ უწოდებენ WFD-ის VIII დანართის ნივთიერებებს.

WFD-ის V დანართი, პუნქტი 1.4.3 თანახმად და გარემოსდაცვითი ხარისხის სტანდარტების დირექტივის (EQSD) 1-ლი მუხლის თანახმად, წყლის ობიექტის კარგი ქიმიური სტატუსი მაშინ მიიღწევა, როდესაც იგი აკმაყოფილებს EQS ყველა პრიორიტეტული ნივთიერებისთვის და EQSD I დანართში ჩამოთვლილ სხვა დამაბინძურებლებებისთვის დაწესებულ მოთხოვნებს.

3.3.1 წყლის ობიექტების გარემოსდაცვითი ხარისხის სტანდარტების გამოყენება

WFD / EQSD დირექტივების ძირითადი მოთხოვნაა გარემოსდაცვითი ხარისხის სტანდარტების დადგენა და გამოყენება ზედაპირული წყლის, ნალექისა და / ან ბიოტასთვის "პრიორიტეტული" დამაბინძურებელი ნივთიერებების იდენტიფიკაციის საფუძველზე (EQSD, მუხლი 3). რადგან, პრიორიტეტული ნივთიერებები ევროპის დონეზეა დადგენილი და ყველა წევრ სახელმწიფოზე ვრცელდება, ევროკავშირის კანონმდებლობასთან შესაბამისობა, მკაცრად რომ ვთქვათ, ნიშნავს იმას, რომ იგივე ნივთიერებები უნდა განისაზღვროს და გარემოსდაცვითი ხარისხის სტანდარტებს (EQS) დაექვემდებაროს. თუმცა, პრაქტიკაში (საწყის ეტაპზე მაინც),

38. მთავრობის დადგენილების პროექტი „ჩამდინარე წყალთან ერთად ზედაპირული წყლის ობიექტებში ჩაშვებული დამაბინძურებლების მაქსიმალური დასაშვები ჩაშვების ნორმების გაანგარიშების ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ხელმისაწვდომია: <moe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&info_id=3960>.

39. მთავრობის დადგენილების პროექტი "წყლის რესურსების მონიტორინგის დაგეგმვისა და განხორციელების წესების დამტკიცების" შესახებ. ხელმისაწვდომია: <moe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&info_id=3960>.

საქართველოში (ან სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყანაში) უმჯობესი იქნებოდა საკუთარი პრიორიტეტული დამაბინძურებელი ნივთიერებების განსაზღვრა და დადგენა.

1996 წლის სახელმძღვანელო პრინციპებში ზედაპირული წყლების დაბინძურებისგან დაცვის შესახებ განსაზღვრულია მაქსიმალური დასაშვები კონცენტრაციები 50 პარამეტრისთვის, რომლებიც დიფერენცირებულია წყალსარგებლობის შემდეგი სახეებისთვის:

- სასმელი წყალი;
- წყლის რეკრეაციული გამოყენება; და
- თევზის მეურნეობისთვის გამოყენება (კატეგორიები I და II).

I კატეგორია ვრცელდება ზედაპირული წყლის ობიექტებზე, რომლებიც გამოიყენება ისეთი კომერციულად ღირებული თევზის სახეობების დასაცავად და მოსაშენებლად რომელთა საარსებო მოთხოვნაა წყალში ჟანგბადის მაღალ შემცველობა; მაღალი ღირებულების თევზის სახეობების და სხვა კომერციულად ღირებული ორგანიზმების მოშენებისა და კვების ადგილებზე, გამოზამთრების ადგილებზე და თევზსაშენების (აკვა-მეურნეობა) დაცულ ტერიტორიებზე. II კატეგორია ვრცელდება წყლის სხვა ობიექტებზე, რომლებიც გამოიყენება თევზჭერისთვის. ძირითადი პარამეტრებია მძიმე ლითონები, ნუტრიენტები, ჩვეულებრივი ორგანული პარამეტრები და სხვ. გამოირიცხება ევროკავშირის დირექტივებით განსაზღვრული თითქმის ყველა პრიორიტეტული ნივთიერება – პესტიციდები და სხვა დამაბინძურებლები.⁴⁰

საქართველოში გარემოს ხარისხის სტანდარტები, მათ შორის, ზედაპირული წყლისთვის დგინდება შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანებით.⁴¹

ზედაპირული წყლის ხარისხის მონიტორინგის ქსელი გაუმჯობესდა 41 პუნქტიდან (2009 წ.) 69 პუნქტამდე (2014 წ.) თუმცა 1990–იან წლებამდე არსებულ 72 მდინარის მონიტორინგთან შედარებით, მხოლოდ 32 მდინარეზე და 8 ტბაზე სავარაუდოდ ტარდება. 2015/6 წლებში მონიტორინგის ქსელი 20-ით მეტ პუნქტს დაფარავს. კონტროლირებადი პარამეტრების რაოდენობა გაიზარდა 33–მდე, და ეს ძირითადად არაორგანული პარამეტრებია. მიუხედავად იმისა, რომ სამივე არსებული ლაბორატორია ახლახანს აღიჭურვა, არასაკმარისია ადამიანის რესურსები და ლაბორატორიული რეაგენტები. 2014 წლიდან, პარამეტრებს ზოგიერთი პრიორიტეტული ნივთიერებაც დაემატა, მაგრამ საშუალო ნივთიერებების უმეტესობას, როგორცაა პოლიარმატული ნივთიერებები და პესტიციდები, მონიტორინგი არ უტარდება.

წყლის მართვის ახალი კანონპროექტი მოითხოვს სპეციალური ნორმატიული აქტის მიღებას „წყლის ხარისხის ეკოლოგიური სტანდარტების დამტკიცების შესახებ“. სტანდარტები მთავრობის დადგენილებით უნდა დამტკიცდეს და ამ დადგენილების დანართი საფუძვლად დაედება ზედაპირული წყლის ობიექტების კლასიფიკაციას სტატუსების მიხედვით.

შესაბამისობის ხარისხი	საშუალო
გარემოს ხარისხობრივი სტანდარტების სისტემა არსებობს, თუმცა იგი ფოკუსირებულია საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე და არ შეიცავს ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ პრიორიტეტული დამაბინძურებელი ნივთიერებების უმეტესობას. დაგეგმილი დადგენილება „წყლის ხარისხის ეკოლოგიური სტანდარტების დამტკიცების შესახებ“ სავარაუდოდ განსაზღვრავს ამ ნივთიერებებს.	

3.4 შესაბამისობა ნიტრატების ღირებულებასთან

3.4.1 დაბინძურებული წყლების იდენტიფიკაცია და ნიტრატებისადმი მოწყვლადი ზონების განსაზღვრა

ნიტრატების დირექტივის ორი მთავარი მოთხოვნაა დაბინძურებული წყლების ან რისკის ქვეშ არსებული წყლების იდენტიფიცირება და ნიტრატებისადმი მოწყვლადი ზონების განსაზღვრა (მუხლი 3).

1. შემდეგი წყლები იდენტიფიცირდება როგორც დაბინძურებული ან დაბინძურების საფრთხის წინაშე არსებული:

- მტკნარი წყლები, კერძოდ სასმელი წყლის ამოღებისთვის განკუთვნილი ან გამოყენებული ზედაპირული მტკნარი წყლები, რომლებიც შეიცავს ან სავარაუდოდ შეიცავს 50მგ/ლ-ზე მეტ ნიტრატებს (თუ რაიმე ქმედება არ განხორციელდა ამ ტენდენციის შესაცვლელად);
- მინისქვეშა წყლები რომლებიც შეიცავს ან სავარაუდოდ შეიცავს (თუ რაიმე ქმედება არ განხორციელდა ამ ტენდენციის შესაცვლელად) 50მგ/ლ-ზე მეტ ნიტრატებს;
- მტკნარი წყლის ობიექტები, შესართავები, სანაპირო წყლები და საზღვაო წყლები, რომლებიც ევტროფულია ან შეიძლება ევტროფული გახდეს (თუ რაიმე ქმედება არ განხორციელდა ამ ტენდენციის შესაცვლელად).

2. ნიტრატებისადმი მოწყვლადი ზონებად განისაზღვრება (ნმზ):

40. გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია, საქართველოს გარემოსდაცვითი ეფექტიანობის შეფასების მესამე მიმოხილვა, ნიუ იორკი და ჟენევა, 2016: <www.unep.org/environmental-policy/environmental-performance-reviews/ongoing-reviews.html>.

41. ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება „გარემოს ხარისხობრივი ნორმების დადგენის შესახებ“, #279/n, 16 აგვისტო 2001

- მიწის ნაკვეთი, სადაც უზრუნველყოფილია წყლები ან დაბინძურების რისკის მქონე წყლები და რაც ინვესტორების მიერ დაბინძურდება. (წევრ სახელმწიფოებს ასევე შეუძლიათ ზომები მიიღონ მთელ ტერიტორიაზე ნაცვლად ნმზ განსაზღვრული ადგილისა).

საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამაში (2012-2016) აღნიშნულია, რომ სოფლის მეურნეობის დიფუზური წყაროებიდან დაბინძურების შემცირება ერთ-ერთი გრძელვადიანი მიზანია (მიზანი 4).⁴² საქართველოში სასუქების გამოყენების მნიშვნელოვანი ცვალებადობა აღინიშნებოდა გასული 15 წლის განმავლობაში. ფასების მკვეთრი ზრდის შედეგად სასუქის წლიური გამოყენება 2500 ტონამდე შემცირდა 2006 წელს, რაც ნიშნავს 8 კგ 1 ნათეს ჰექტარზე. მას შემდეგ სასუქის გამოყენება მნიშვნელოვნად გაიზარდა. 2013 წელს სასუქების საერთო გამოყენება 35.300 ტონას შეადგენდა, ანუ დაახლოებით 136 კგ 1 ნათეს ჰექტარზე.⁴³

ამჟამად საქართველოში მოქმედი კანონმდებლობა, პოლიტიკის დოკუმენტები და პროგრამები ვერ უზრუნველყოფს სოფლის მეურნეობაში გამოყენებული წყლის რესურსების მართვას, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით გამოწვეული დაბინძურების პრევენციას, აგრეთვე წყლის რესურსებით მდგრადი სარგებლობის ან პესტიციდებისა და სასუქების შეზღუდული რაოდენობით გამოყენების ხელშეწყობას.⁴⁴ წყლის რესურსების მართვის ახალი კანონპროექტი ადგენს, რომ დაბინძურებული წყლების ან რისკის წინაშე არსებული წყლების იდენტიფიკაცია, ისევე როგორც ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონების განსაზღვრა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს პასუხისმგებლობას უნდა შეადგენდეს.⁴⁵ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელების საგზაო რუკებში გარემოსდაცვისა და კლიმატის სფეროებში აღნიშნულია დაბინძურებული წყლების ან რისკის წინაშე არსებული წყლების იდენტიფიკაციის და ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონების განსაზღვრის აუცილებლობა 2017–2022 პერიოდში (მუხლი 3.22).⁴⁶

შესაბამისობის ხარისხი	დაბალი
კანონპროექტი შეიცავს მოთხოვნებს დაბინძურებული წყლების იდენტიფიცირებისა და ნმზ განსაზღვრის შესახებ, მაგრამ არ შეიცავს ამ მიზნების მისაღწევად კონკრეტული საქმიანობების აღწერას.	

3.4.2 სამოქმედო გეგმების და კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის კოდების შედგენა ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონებისთვის

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების მოთხოვნების თანახმად, შეთანხმების ძალაში შესვლიდან შვიდი წლის განმავლობაში საქართველოს მთავრობას ევალება სამოქმედო გეგმების და კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის კოდების შემუშავება ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონებში, ევროკავშირის ნიტრატების დირექტივის მე-4 და მე-5 მუხლების შესაბამისად. ასევე, საქართველოს გარემოსდაცვითი ეფექტიანობის შეფასების უკანასკნელი მიმოხილვის ერთ-ერთ რეკომენდაციაში ნათქვამია: "საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ უნდა შეიმუშაოს სამოქმედო გეგმები და კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის კოდები ნიტრატებისადმი მოწყვლადი ზონებში" (რეკომენდაცია 4.4).⁴⁷ საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების საგზაო რუკები გარემოს დაცვისა და კლიმატის სფეროებში მოიცავს კანონმდებლობის შემუშავების გეგმებს "სოფლის მეურნეობის საქმიანობით წყლის დაბინძურების" შესახებ 2017 წლისთვის. ახალი კანონმდებლობა შემუშავდება ერთობლივად საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროების მიერ (მუხლი 3.15).⁴⁸

წყლის რესურსების მართვის შესახებ კანონპროექტი მიუთითებს, რომ სამოქმედო გეგმების და კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის კოდების შემუშავება ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონებისთვის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვალდებულებას შეადგენს.

შესაბამისობის ხარისხი	დაბალი
ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად სამოქმედო გეგმების და კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის კოდების შემუშავება ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონებისთვის გათვალისწინებულია მომავალში შესაბამისი საკანონმდებლო-მარეგულირებელი ჩარჩოს შექმნისას. თუმცა, ამჟამად ასეთი ჩარჩო არ არსებობს და არც სამოქმედო გეგმები და კარგი პრაქტიკის კოდებია მიღებული.	

42. საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა (NEAP) 2012-2016, თბილისი, 2012, გვ.17; <moe.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=32>.

43. გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია, საქართველოს გარემოსდაცვითი ეფექტიანობის შეფასების მესამე მიმოხილვა, ნიუ იორკი და ჟენევა, 2016; <www.unece.org/environmental-policy/environmental-performance-reviews/ongoing-reviews.html>.

44. იქვე

45. კანონპროექტი "წყლის რესურსების მართვის შესახებ", ნაწილი 6

46. "ევროკავშირთან დაახლოების საგზაო რუკები გარემოს დაცვისა და კლიმატის ქმედების" სფეროებში, რომლებიც შემუშავდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში „სამოქმედო გეგმის განვითარება ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების განხორციელებისთვის – გარემოსდაცვის თავეზე“, 2015, <moe.gov.ge/files/news_img/2015/ivnisi/sagzao_ruka/Final_Roadmaps_-_Gaertianebuli.pdf>.

47. გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია, საქართველოს გარემოსდაცვითი ეფექტიანობის შეფასების მესამე მიმოხილვა, ნიუ იორკი და ჟენევა, ხელმისაწვდომია: <www.unece.org/environmental-policy/environmental-performance-reviews/ongoing-reviews.html>.

48. "ევროკავშირთან დაახლოების საგზაო რუკები გარემოს დაცვისა და კლიმატის ქმედების" სფეროებში, რომლებიც შემუშავდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში „სამოქმედო გეგმის განვითარება ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების განხორციელებისთვის – გარემოსდაცვის თავეზე“, 2015, ხელმისაწვდომია: <moe.gov.ge/files/news_img/2015/ivnisi/sagzao_ruka/Final_Roadmaps_-_Gaertianebuli.pdf>.

3.4.3 მონიტორინგის პროგრამის შექმნა

ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონების განსაზღვრისა და შემდგომში მათი გადახედვის (ცვლილებების საჭიროების დასადგენად) მიზნით წევრი სახელმწიფოები ვალდებული არიან განახორციელონ მონიტორინგის პროგრამა, მათ შორის ნიტრატების კონცენტრაციის მონიტორინგი მტკნარ წყლებში და ევტროფიული მდგომარეობის მონიტორინგი მტკნარ ზედაპირულ წყლებში, შესართავებსა და სანაპირო წყლებში. მონიტორინგის შედეგები უნდა გადაისინჯოს მინიმუმ ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, და უნდა გამოყენებულ იქნას დირექტივაში მოცემული (დანართი IV) გაზომვის ეტალონური მეთოდები.

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად სოფლის მეურნეობის სამინისტრო ახორციელებს პესტიციდების და აგრონომიული ქიმიკატების რეგისტრაციას, ასევე ახორციელებს სასმელი წყლის უვნებლობის პარამეტრებისა და ხარისხის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლს და სასმელი წყლის გარე, შერჩევითი ლაბორატორიულ კონტროლს.⁴⁹

წყლის რესურსების მართვის კანონპროექტი მოიცავს დებულებებს წყლის რესურსების სახელმწიფო მონიტორინგის სისტემის შესახებ და მოითხოვს მთავრობის დადგენილების მიღებას "წყლის რესურსების მონიტორინგის დაგეგმვისა და განხორციელების" შესახებ. დადგენილების პროექტი უკვე მომზადებულია და მთავრობას დასამტკიცებლად წარედგინება მთავარი კანონის ამოქმედების შემდეგ (ისევე როგორც ზემოთ აღწერილი მონიტორინგის პროგრამები). დღესდღეობით გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნული სააგენტო ნიტრატების კონცენტრაციის მონიტორინგს მხოლოდ მტკნარი ზედაპირული წყლების შერჩეულ ადგილებში ახორციელებს, ხოლო მინისქვეშა წყლების, სანაპირო წყლების და შესართავების სისტემატური მონიტორინგი კი არ ტარდება.

შესაბამისობის ხარისხი	საშუალო
კანონპროექტი ითვალისწინებს ნიტრატების მონიტორინგის პროგრამის შეტანის საჭიროებას წყლის ხარისხის მონიტორინგის საერთო სისტემაში	

3.5 წყალდიდობის ღირებულებასთან შესაბამისობა

3.5.1 წყალდიდობის რისკის წინასწარი შეფასების განხორციელება

საქართველო ხასიათდება მრავალფეროვანი ბუნებრივი კატასტროფების მაღალი სიხშირით. განსაკუთრებით ხშირია წყალდიდობები გაზაფხულსა და ზაფხულის თვეებში როდესაც თოვლი დნობას იწყებს და წყლის დონე მდინარეებში საგრძნობლად იმატებს. კავკასიონის მთების მდინარეებისთვის დამახასიათებელი უხვი ნალექები მნიშვნელოვან ზემოქმედებას ახდენს მდინარეთა ჰიდროლოგიაზე და მტკნარი წყლის ბიომრავალფეროვნებაზე. ღვარცოფები და მეწყერები მაღალ რისკს წარმოადგენს.⁵⁰

ამჟამად არ არსებობს კატასტროფების რისკის შემცირების (DRR) ეროვნული პოლიტიკა და სტრატეგია. არსებული კანონმდებლობა თითქმის ექსკლუზიურად უკავშირდება კატასტროფების მართვასა და საგანგებო სიტუაციებზე რეაგირებას. თუმცა რეგიონულ დონეზე მთავრობამ მიიღო რეგიონული განვითარების გეგმები, რომელიც მოიცავს 2014-2021 წლებს. ყველა რეგიონისთვის ჩატარებული SWOT ანალიზში შედის კატასტროფების რისკის პროფილის შეფასება, DRR ანალიზი და კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის შესაძლებლობების შეფასება.⁵¹

საქართველომ 2014 წელს განახორციელა DRR შესაძლებლობების შეფასება, რომელმაც შესაძლებელი გახდა შესაძლებლობების არსებული დონის და ხარვეზების ანალიზის ჩატარება და შემოგვთავაზა რეკომენდაციები. ეს რეკომენდაციები საფუძვლად დაედება ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავებას შესაძლებლობების განვითარებისა და ბუნებრივი კატასტროფების რისკის შემცირების სფეროში.⁵² წყლის კანონმდებლობის დაგეგმილი ცვლილებები, რომლებსაც საქართველოს მთავრობა ეროვნული კანონმდებლობის ევროკავშირთან დასაახლოებლად ახორციელებს, მოიცავს წყალდიდობების რისკების შეფასებისა და მართვის რეგულაციებს. (საქართველოს მდინარეთა აუზებში წყალმოვარდნების რისკების შეფასების გეგმა 2012-2016 წლების საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამაშია შეტანილი)⁵³

ასოცირების შეთანხმების განხორციელების საგზაო რუკები გარემოს დაცვისა და კლიმატის დარგში შეიცავს „წყალდიდობის რისკების მართვის“ შესახებ კანონქვემდებარე აქტის შემუშავების გეგმას. ამ დოკუმენტის შემუშავების სავარაუდო ვადაა 2017 წელი, ხოლო პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანო – გარემოს ეროვნული სააგენტოს ბუნებრივი და ანთროპოგენური კატასტროფების სამსახური.⁵⁴

49. საქართველოს კანონი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ (2007) 33-ე მუხლი, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენცია საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში, (დ), (ზ) ხელმისაწვდომია: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/21784>>.

50. საქართველოს DRR შესაძლებლობების შეფასების ანგარიში, 2014, გვ. 10: <police.ge/files/pdf/sagangebos_statistika/kanonebi/DRR%20Capacity%20Assessment%20Repot%20Georgia%202014.pdf>

51. რეგიონული განვითარება 2013, არსებული ვითარების, არსებული ხარვეზების და პრიორიტეტების მოკლე მიმოხილვა, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო at:<static.mrdi.gov.ge/52b1ba050cf27286d7af38dc.pdf>.

52. საქართველოს DRR შესაძლებლობების შეფასების ანგარიში 2014, გვ. 10: <police.ge/files/pdf/sagangebos_statistika/kanonebi/DRR%20Capacity%20Assessment%20Repot%20Georgia%202014.pdf>.

53. ლონისძიება 1. „საქართველოს მდინარეთა აუზებში წყალდიდობის რისკების იდენტიფიკაცია 2012-2016“, მიზანი 2. „საქართველოს მდინარეთა აუზებში წყალდიდობებისა და წყალმოვარდნების ნეგატიური ზემოქმედების პრევენცია/შემცირება“ თავი 10. „კატასტროფები“ (საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მეორე ეროვნული პროგრამა (NEAP) 2012-2016, თბილისი, 2012, გვ.17; <moe.gov.ge/index.php?lang_id=ENG&sec_id=32>

54. „ევროკავშირთან დაახლოების საგზაო რუკები გარემოს დაცვისა და კლიმატის ქმედების დარგში“, რომელიც შემუშავდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში „სამოქმედო გეგმის განვითარება ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შეთანხმების განხორციელებისთვის – გარემოსდაცვის თავები“. <moe.gov.ge/files/news_img/2015/ivnisi/sagzao_ruka/Final_Roadmaps_-_Gaertianebuli.pdf>.

წყლის რესურსების მართვის კანონპროექტის მოთხოვნებში შედის წყლის უარყოფითი ზემოქმედების რისკის ზონების იდენტიფიკაცია.⁵⁵ კანონპროექტის თანახმად, „წყლის უარყოფითი ზემოქმედების რისკების მართვის პროგრამები წარმოადგენს მდინარეთა აუზების ინტეგრირებული მართვის გეგმის შემადგენელ ნაწილს“. ასევე: „წყლის მავნე ზემოქმედების რისკების ზონების იდენტიფიკაციისა და წყლის მავნე ზემოქმედების რისკების მართვის პროგრამების შემუშავების ნესი რეგულირდება დებულებით მდინარეთა სააუზო მართვის გეგმების შესახებ“. სამწუხაროდ აღნიშნული დებულების დღეისათვის არსებული პროექტში შესაბამისად არ არის აღწერილი რისკების ზონების იდენტიფიკაციისა და რისკების მართვის პროგრამების შემუშავების ნესები.

შესაბამისობის ხარისხი	საშუალო
კანონპროექტი გარკვეულწილად აკავშირებს წყალდიდობის რისკების მართვის დაგეგმვის პროცესებს მდინარეთა აუზების მართვის ზოგად დაგეგმვასთან. შესაძლებელი იქნება ამ პროცესში უკვე არსებული მონაცემების გამოყენება (თუმცა, ასეთი მონაცემები გარკვეულწილად შეზღუდულია). ადგილობრივი (მუნიციპალური და რეგიონული) ხელისუფლების როლი და პასუხისმგებლობა მონაცემების მიწოდების და წყალდიდობის წინასწარი შეფასების კუთხით უნდა განისაზღვროს და ადეკვატურად ჩამოყალიბდეს კანონმდებლობაში.	

3.5.2 წყალდიდობის საფრთხის რუკების, წყალდიდობის რისკის რუკების და წყალდიდობის რისკის მართვის გეგმების მომზადება

საქართველოში მიმდინარე ჰიდრომეტეოროლოგიური, გეოდინამიკური და გეოლოგიური მოვლენების მონიტორინგი ევალება გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოს ეროვნულ სააგენტოს. სააგენტო ფლობს ინფორმაციას საქართველოში 1916-1996 წლებში მომზადრ წყალდიდობებზე, კერძოდ, ამ პერიოდის წყლის კადასტრს, ამუშავებს და აანალიზებს ამ მონაცემებს და გასცემს ინფორმაციას წყალდიდობის ალბათობაზე და მათ საფარაუდო სიშირეზე მთელი ქვეყნის მასშტაბით. ამჟამინდელი სადამკვირვებლო მონაცემები საკმაოდ შეზღუდულია. გარემოს ეროვნული სააგენტო ასევე ამზადებს რეგიონების წყალდიდობის საფრთხის რუკებს GIS ფორმატში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ოფიციალური ეროვნული რისკის პროფილი არ არსებობს, 2012 წელს, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელმა (CENN) და გარემოს ეროვნულმა სააგენტომ შეიმუშავეს საქართველოს ბუნებრივი საფრთხეების და რისკების ატლასი (მასშტაბი 1:10000). იგი შეიცავს რუკებს და განმარტებით ტექსტებს ბუნებრივ კატასტროფებთან, ექსპოზიციასთან, მოწყვლადობასა და რისკთან დაკავშირებით. ატლასში ასევე წარმოდგენილია გარემოს და მოსახლეობის მდგომარეობის, და სხვადასხვა სახის მოწყვლადობის (ფიზიკური, სოციალური, ეკოლოგიური, ეკონომიკური) და საქართველოსთვის ტიპური რისკის ამსახველი საბაზისო რუკები.⁵⁶

საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების განხორციელების საგზაო რუკები გარემოსდაცვის და კლიმატის სფეროში მოიცავს „წყალდიდობის რისკის მართვის გეგმების სახელმძღვანელო პრინციპების“ შემუშავების გეგმებს 2018 წლისთვის. პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოდ დასახელებულია გარემოს ეროვნული სააგენტოს ბუნებრივი და ანთროპოგენური კატასტროფების სამსახური და შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის დეპარტამენტი.⁵⁷

წყლის რესურსების მართვის კანონპროექტი მოითხოვს წყლის უარყოფითი ზემოქმედების რისკების მართვის პროგრამების შემუშავებას. ეს პროგრამები (მართვის გეგმები) ინტეგრირებული მდინარის აუზის მართვის გეგმების ნაწილად მოიაზრება. უნდა შემუშავდეს ასეთი გეგმების შემდგენის ნორმატიული ბაზა რომელიც დაემატება „მდინარე აუზის მართვის გეგმების შესახებ“, მთავრობის დადგენილებას.⁵⁸ დღეს არსებული დადგენილების პროექტი არ შეიცავს წყალდიდობის მართვის გეგმების შედგენის პროცედურების აღწერას.⁵⁹ გარდა ამისა, აუცილებელია ზუსტად განისაზღვროს წყალდიდობის რისკის მართვის გეგმების ინტეგრირების გზები (მათ შორის, წყალდიდობის რისკის წინასწარი შეფასება და წყალდიდობის საშიშროების და რისკის რუკები) სხვა დაგეგმარებაში, მაგალითად, ადგილობრივი მინათსარგებლობის გეგმებში, განსახლების და განვითარების გეგმებში, ინფრასტრუქტურულ პროექტებში, სექტორულ გეგმებში, დაცული ტერიტორიების მართვის გეგმებში და ბუნებრივი რესურსების მართვის გეგმებში. არსებული კანონმდებლობა ითვალისწინებს ამის ზოგად მოთხოვნებს,⁶⁰ მაგრამ არ შეიცავს კონკრეტულ ნესებს, მეთოდოლოგიებსა და პროცედურებს.

შესაბამისობის ხარისხი	საშუალო
მიუხედავად იმისა, რომ დეტალები ჯერ კიდევ არ შემუშავებულა, კანონპროექტიდან ჩანს რომ იგი ადგენს წყალდიდობის რისკის მართვის გეგმების შემუშავების ჩარჩოს და უკავშირებს მას მდინარეთა აუზების ინტეგრირებულ მართვას. არსებობს კონკრეტული ნორმატიული დოკუმენტების შემუშავებისა და შესაძლებლობების გაზრდის აუცილებლობა.	

55. წყლის რესურსების მართვის კანონპროექტი, მუხლი 36 „წყლის უარყოფითი ზემოქმედების რისკების მართვა“.

56. საქართველოს ბუნებრივი საფრთხეების და რისკების ატლასი, 2012:<drm.cenn.org/index.php/en>

57. „ევროკავშირთან დაახლოების საგზაო რუკები გარემოს დაცვისა და კლიმატის ქმედების დარგში“, რომელიც შემუშავდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის ფარგლებში „სამოქმედო გეგმის განვითარება ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების შეთანხმების განხორციელებისთვის – გარემოსდაცვის თავები“, 2015, <moe.gov.ge/files/news_img/2015/ivnisi/sagzao_ruka/Final_Roadmaps_-_Gaertianebuli.pdf>.

58. წყლის რესურსების მართვის კანონპროექტი, მუხლი 39, 2, <moe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&info_id=3914>.

59. მთავრობის დადგენილების პროექტი მდინარის აუზის მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების პროცედურის შესახებ: <moe.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=69&info_id=3960>.

60. საქართველოს კანონი წყლის შესახებ, მუხლი.15, at:<matsne.gov.ge/ka/document/view/33448?impose=translateEn>.

3.6 ფრინველების და ჰაბიტატების დირექტივასთან შესაბამისობა

3.6.1 სახეობებისა და ჰაბიტატების დაცული ტერიტორიების განსაზღვრა

ჰაბიტატების დირექტივისა და ფრინველთა დირექტივით გათვალისწინებული, ნეკრ სახელმწიფოთა ფუნდამენტური ვალდებულება არის სპეციალური საკონსერვაციო ტერიტორიების თანმიმდევრული ეკოლოგიური ქსელის შექმნა, რომელიც შედგება ბუნებრივი ჰაბიტატების ტიპის ტერიტორიებისგან და იმ სახეობების ჰაბიტატებისგან, რომელთაც დაცვა ესაჭიროებათ. ბუნებრივი ჰაბიტატების ტიპებსა და სახეობების ჰაბიტატებისთვის მოითხოვება სასურველი საკონსერვაციო სტატუსის შენარჩუნება ან, საჭიროების შემთხვევაში, აღდგენა მათი ბუნებრივი დიაპაზონის ფარგლებში. ამგვარი დაცვის უზრუნველსაყოფად ნეკრმა სახელმწიფოებმა ამ ადგილებს უნდა მიანიჭონ „სპეციალური საკონსერვაციო ტერიტორიების“ სტატუსი. დირექტივა ადგენს შერჩევის დეტალურ კრიტერიუმებს ასეთი ტერიტორიებისთვის (ჰაბიტატების დირექტივა HD, დანართი III).

ამჟამად სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვა საქართველოში ძირითადად რეგულირდება ველური ბუნების შესახებ ჩარჩო კანონის მოთხოვნებით. ამ კანონის მიზანია ველური ჰაბიტატების, სახეობების მრავალფეროვნების დაცვა და აღდგენა და გენეტიკური რესურსების შენარჩუნება.⁶¹ სხვა მნიშვნელოვანი კანონებია:

- საქართველოს კანონი დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ, რომლის თანახმად დაცული ტერიტორიები უნდა შეიქმნას უმნიშვნელოვანესი ეროვნული მემკვიდრეობის - უნიკალური, იშვიათი და ენდემური ეკოსისტემების, მცენარეთა და ცხოველთა სახეობების, ბუნებრივი წარმონაქმნებისა და კულტურული არელების დაცვა / აღდგენის მიზნით, რათა შესაძლებელი იყოს მათი გამოყენება სამეცნიერო, საგანმანათლებლო, რეკრეაციული მიზნებისათვის, ასევე ბუნებრივი რესურსების დამზოგავი ეკონომიკის განვითარებისათვის;⁶²
- საქართველოს კანონი წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს საფრთხის წინაშე მყოფი სახეობების და ჰაბიტატების დაცვას. კანონის თანახმად, გადაშენების პირას მყოფი სახეობებისთვის (საქართველოს წითელი ნუსხაში და წითელ წიგნში შეტანილი) მნიშვნელობის მქონე ჰაბიტატების დაცვა დაცულ ტერიტორიებს გარეთ გათვალისწინებულია გარკვეულ კონკრეტულ საკონსერვაციო მოთხოვნებში.⁶³

ასოცირების შეთანხმების მოთხოვნების დაცვის და საქართველოს ბიომრავალფეროვნების დაცვისა და რესურსების მართვის კანონმდებლობის ევროპულთან დაახლოების მიზნით, სამინისტრომ GIZ-ის მხარდაჭერით შეიმუშავა კანონპროექტი ბიომრავალფეროვნების შესახებ. კანონპროექტი შემუშავდა ევროკავშირის ჰაბიტატების და ფრინველების დირექტივების მოთხოვნების შესაბამისად. ამ კანონის მთავარი მიზანია სახეობების და ჰაბიტატების დაცვის სამართლებრივი რეჟიმის შექმნა. კანონი ჩაანაცვლებს არსებულ კანონს წითელი ნუსხისა და წითელი სახეობების შესახებ და საქართველოში დანერგავს ზურმუხტის ქსელს (ანუ Natura 2000 ეკვივალენტს). კანონი აგრეთვე უზრუნველყოფს ველურ მცენარეთა და ცხოველთა სახეობებისთვის მნიშვნელობის მქონე ეკოსისტემების დაცვას და აღდგენას. კონკრეტული ჰაბიტატის დასაცავად ტერიტორიის შეიძლება მიენიჭოს ზურმუხტის ქსელის საიტის სტატუსი ან ფრინველებისთვის მნიშვნელოვანი ტერიტორიის სტატუსი. კანონპროექტის 22-ე მუხლი მოითხოვს, რომ დაცვის მიზნები გათვალისწინებული იყოს პროცესების დაგეგმვის დროს ცენტრალურ, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეზე. სამწუხაროდ დღეს არსებულ კანონპროექტში კავშირი მდინარის აუზის დაგეგმვასთან არ არის ნათლად ჩამოყალიბებული. კანონპროექტი მჟამად საჯარო მოსმენებსა და ოფიციალურ უწყებათაშორის განხილვის პროცედურებს გადის. კანონპროექტი აგრეთვე მოითხოვს რამოდენიმე მნიშვნელოვანი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის შემუშავებას, რომლებიც კონკრეტული ვადებში უნდა მიიღონ ჩარჩო კანონის განხორციელების მხარდაჭერის მიზნით.

შესაბამისობის ხარისხი	საშუალო
საქართველოში დღეისათვის არსებობს სახეობების და ჰაბიტატების დაცვის სისტემა, მაგრამ იგი უფრო შეზღუდული ტიპისაა დაფარვის თვალსაზრისით, ვიდრე ევროკავშირის Natura 2000 სისტემა და არ არის ინტეგრირებული წყლის მართვასთან. ახალი კანონპროექტი ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ ითვალისწინებს სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვისა და კონსერვაციის კონტროლის გაფართოებას და ისეთი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც მოცულობითა და ფორმით უფრო უახლოვდება ევროკავშირის ბუნების დირექტივებით შექმნილ სისტემას. რადგანაც საქართველოში ამჟამად ბიომრავალფეროვნების დაცვა ძირითადად წყლის პოლიტიკისგან განცალკევებულად მოიაზრება, ყურადღება უნდა მიექცეს ჰაბიტატების და წყლის დირექტივებს მოთხოვნების შესრულების შორის ინტეგრაციას. უნდა შემუშავდეს ეფექტიანი კრიტერიუმები მტკნარ წყალზე დამოკიდებული (ან მტკნარი წყლის) ჰაბიტატების დაცული ტერიტორიების დასადგენად, ჩამოსაყალიბებლად და დასაცავად. ყურადღება უნდა მიექცეს ინტეგრაციას სხვა სექტორების კანონმდებლობასთან, როგორიცაა მაგალითად ტყის სექტორი.	

61. საქართველოს კანონი ველური ბუნების შესახებ, მუხლი 15, at: <matsne.gov.ge/ka/document/view/33352?impose=original>.

62. საქართველოს კანონი საქართველოს დაცული ტერიტორიების სისტემის შესახებ: <matsne.gov.ge/ka/document/view/32968>.

63. საქართველოს კანონი წითელი ნუსხისა და წითელი წიგნის შესახებ: <moe.gov.ge/files/kanonmdebloba/kanonebi_seqtemberi_2013/14_kanoni_witeli_nuskhis_da_witeli_wignis_shesakhebd.pdf>.

3.6.2 დაცული წყლის ობიექტების რეესტრის მომზადება მტკნარწყლიანი უბნებისთვის

წყლის ჩარჩო დირექტივის (WFD) მუხლი 6 მოითხოვს ჰაბიტატების და ფრინველების დირექტივების ფარგლებში განსაზღვრული მტკნარწყლიანი უბნების დაცული ტერიტორიების რეესტრის წარმოებას და მის რეგულარულ გადამოწმებას.

საქართველოს არსებული კანონმდებლობა ითვალისწინებს სანიტარული დაცვის ზონების შექმნას სასმელი, საყოფაცხოვრებო, სამკურნალო და საკურორტო მიზნებისთვის გამოყენებული წყლის რესურსების დასაცავად. კანონი ითვალისწინებს წყალმომარაგების ობიექტების სანიტარული დაცვის ზონების დაყოფას რამდენიმე ტერიტორიად და მათთვის სპეციალური რეჟიმების დაწესებას. ესენია მდინარეების, ტბების და წყალსაცავების სანაპირო ზოლები, მაგისტრალის და სხვა არხების საავტომობილო გზები. კანონი კრძალავს შხამქიმიკატების და სასუქების გამოყენებას წყლის დაცვის ზონებში, ასევე სხვადასხვა ნარჩენების დაგროვების, ჩაშვებას და ჩამარხვას. გარდა ამისა, კანონის შესაბამისად, წყალზე და წყლის ობიექტის სტატუსზე პოტენციური ზემოქმედების მქონე ნებისმიერი საქმიანობას ესაჭიროება გარემოსდაცვითი ნებართვა. სინამდვილეში, იმ საქმიანობების რიცხვი, რომლებიც გარემოსდაცვით ნებართვას საჭიროებენ, მნიშვნელოვნად შემცირდა 2005 წლის ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონის მიღების შემდეგ.

წყლის რესურსების დაცვისა და ექსპლუატაციის სპეციალური რეჟიმებია დაწესებული დაცული ტერიტორიების ფარგლებში.

წყლის მართვის ახალი კანონპროექტი მოითხოვს, რომ დაცული წყლის ობიექტების რუკები მდინარის აუზის მართვის გეგმების შემადგენელი ნაწილი იყოს. მთავრობის დადგენილების პროექტი „მდინარის აუზის მართვის გეგმების შემუშავების, განხილვისა და მიღების პროცედურის განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ“ მოითხოვს დაცული წყლის ობიექტების შექმნას და დარუკებას, ასევე დაცული წყლის ობიექტების რეესტრის შემუშავებას მდინარეთა აუზის უბნების ფარგლებში. მოხსენიებულია აგრეთვე დაცული წყლის ობიექტების სახელმწიფო რეესტრი. ზემოაღნიშნული დადგენილების პროექტი შეიცავს შემდეგ განმარტებას „დაცული წყლის ობიექტი - წყლის ობიექტი, რომელიც შედის დაცული წყლის ობიექტების სახელმწიფო რეესტრში და რომლისთვისაც დაცვის სპეციალური რეჟიმი დადგენილი“. კონკრეტული კანონმდებლობა წყლის ობიექტებისთვის დაცულის სტატუსის მინიჭების წესებისა და პროცედურების დასადგენად, სახელმწიფო რეესტრში დაცული წყლის ობიექტების შეტანის პროცედურებისა და კრიტერიუმების იდენტიფიცირებისთვის და შემდგომი სამართლებრივი კონტროლის დასაწესებლად.

შესაბამისობის ხარისხი	მაღალი
მოქმედ კანონმდებლობაში არსებობს მექანიზმები სხვადასხვა ტიპის დაცული ზონების აღრიცხვა-რეგისტრაციისთვის მტკნარი წყლის ტერიტორიებზე. ახალ კანონმდებლობაში ეს მექანიზმები გაფართოვდება. წყლის კანონპროექტი ასევე ითვალისწინებს დაცული წყლის ობიექტების სახელმწიფო რეესტრის შექმნას და მოითხოვს ასეთი ობიექტების მხედველობაში მიღებას მდინარის აუზის მართვის (RBM) დაგეგმვის პროცესში. თუმცა, კონკრეტული კანონმდებლობა იქნება საჭირო წყლის ობიექტებისთვის დაცული ობიექტის სტატუსის მინიჭების წესებისა და პროცედურების დასადგენად, სახელმწიფო რეესტრში დაცული წყლის ობიექტების შეტანის პროცედურებისა და კრიტერიუმების იდენტიფიცირებისთვის და შემდგომი სამართლებრივი კონტროლის დასაწესებლად.	

3.6.3 ჰაბიტატებისა და სახეობების მონიტორინგი

კანონპროექტი ბიომრავალფეროვნების შესახებ მოითხოვს ორი კანონქვემდებარე აქტის შემუშავებას და მიღებას ჰაბიტატების და სახეობების მონიტორინგთან დაკავშირებით. ეს კანონქვემდებარე აქტები ეხება: (1) ნითელ ნუსხაში შეტანილი სახეობების მონიტორინგისა და შეფასების წესების დადგენას; და (2) ბიოლოგიური მრავალფეროვნების მონიტორინგის სახელმწიფო სისტემას. ასოცირების შეთანხმების შესაბამისად ეს სამართლებრივი აქტები უნდა პასუხობდეს ევროკავშირის ჰაბიტატების და ფრინველთა დირექტივების მოთხოვნებს.

კანონპროექტის მე-7 მუხლის თანახმად ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის პროგრამების განვითარება და განხორციელება საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს პასუხისმგებლობას შეადგენს, ხოლო კანონპროექტის მე-9 მუხლი ბიომრავალფეროვნების მონიტორინგს ეძღვნება. სახელმწიფო მონიტორინგისთვის პრიორიტეტული ჰაბიტატები და სახეობებია საქართველოს და კავკასიის ენდემური სახეობები, საქართველოს ნითელ ნუსხაში შეტანილი სახეობები, აგრეთვე ევროკავშირის ფრინველთა და ჰაბიტატების დირექტივებში განსაზღვრული პრიორიტეტული სახეობები და ჰაბიტატები.

ბიოლოგიური მრავალფეროვნების მონიტორინგის სისტემის შექმნისას მნიშვნელოვანია, კავშირების ჩამოყალიბება მდინარის აუზის დაგეგმვასა და მართვასთან, აგრეთვე წყლის რესურსების მონიტორინგის სისტემასთან, რომელიც მუშავდება წყლის მართვის შესახებ ახალი კანონის ფარგლებში.

შესაბამისობის ხარისხი	საშუალო
საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში უკვე არსებობს გარკვეული სამართლებრივი ჩარჩო და ახალი კანონმდებლობით კი მოსალოდნელია ბიომრავალფეროვნების ყოვლისმომცველი მონიტორინგის პროგრამების შემუშავება. მნიშვნელოვანია, რომ მომავალი კანონმდებლობა საკმარისად კონკრეტული იყოს ხოლო მისი შემდგომი ეფექტურად განსაზღვრულად საჭირო იქნება დამატებითი შესაძლებლობების მნიშვნელოვნად განვითარება და ინვესტიციები. მონიტორინგის პროგრამების განვითარებისას კანონმდებლობაში ყურადღება უნდა მიექცეს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის წყლის მონიტორინგის პროგრამებთან და მდინარის აუზის დაგეგმვის პროცესებთან ინტეგრირების საჭიროებას.	

3.7 სხვა კანონმდებლობასთან შესაბამისობა

წინამდებარე კვლევაში განხილული სხვა ინსტრუმენტები მოიცავს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ევროკავშირის წესებს; სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას; და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, საზოგადოების მონაწილეობის და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობას გარემოსდაცვით საკითხებში.

ევროკავშირის EIA (გზმ) დირექტივა ადგენს გარემოს შეფასების პროცედურებს იმ საქმიანობებისათვის/პროექტებისთვის, რომელსაც საავარაუდო ზემოქმედება აქვთ გარემოზე. ეს საქმიანობები მჭიდრო შესაბამისობაშია UNECE EIA კონვენციასთან. გზმ პროცედურა შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს: საქმიანობის განმახორციელებელმა შეიძლება ჰკითხოს კომპეტენტურ ორგანოს, რას უნდა მოიცავდეს განმახორციელების მიერ მისაწოდებელი გზმ ინფორმაცია (სკოპინგის ეტაპზე); განმახორციელებელმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია გარემოზე ზემოქმედების შესახებ (გზმ-ს ანგარიში – დანართი IV); გარემოსდაცვითი უწყება და საზოგადოება (ასევე ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ნეერი ქვეყნები) ინფორმირებული და კონსულტირებული უნდა იყვნენ; კომპეტენტური ორგანო გადაწყვეტილებას იღებს კონსულტაციების შედეგების გათვალისწინებით. ამის შემდეგ საზოგადოება იღებს ინფორმაციას ამ გადაწყვეტილების შესახებ და მას უფლება აქვს გაასაჩივროს იგი სასამართლოში, რასაც ხშირად აქვს ადგილი ნეერ სახელმწიფოებში.

SEA დირექტივა გამოიყენება ფართო სპექტრის საჯარო გეგმებისა და პროგრამებისთვის (მაგ. მინათსარგებლობის, ტრანსპორტის, ენერგეტიკის, ნარჩენების, სოფლის მეურნეობის და ა.შ.). გარკვეული ტიპის გეგმები და პროგრამები ექვემდებარება სავალდებულო SEA მოთხოვნებს, სხვები კი სკრინინგის პროცესს გადიან, რათა დადგინდეს, არის თუ არა საავარაუდო „მნიშვნელოვანი ეკოლოგიური ზემოქმედება“. სკრინინგის პროცედურა ტარდება კრიტერიუმების მიხედვით, რომლებიც დირექტივის II დანართშია ჩამოყალიბებული. SEA პროცედურა შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს: მზადდება გარემოსდაცვითი ანგარიში, რომელშიც შემოთავაზებული გეგმის ან პროგრამის გარემოზე საავარაუდოდ მნიშვნელოვანი ზემოქმედება და გონივრული ალტერნატივებია იდენტიფიცირებული. საზოგადოება და გარემოსდაცვითი უწყება ინფორმირებული და კონსულტირებულია გეგმის ან პროგრამის პროექტის და მომზადებული გარემოსდაცვითი ანგარიშის შესახებ.⁶⁴

გარკვეული მოთხოვნები საზოგადოების მონაწილეობასთან და ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ეფუძნება WFD–ს და ამ ანგარიშში განხილულ სხვა ინსტრუმენტებს, როგორიცაა ჰაბიტატების დირექტივა, EIA და SEA დირექტივები. თუმცა, არსებობს ევროკავშირის სპეციფიკური ჰორიზონტალური კანონმდებლობა გარემოს შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ (რომლის მიზანია UNECE კონვენციის განხორციელება ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, საზოგადოების მონაწილეობის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და გარემოსდაცვით საკითხებზე მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ). ამ ინსტრუმენტებში გასაზღვრულია უფლებები და მოვალეობები, რომლებიც სცილდება WFD–ში და სხვა დირექტივებში ჩამოყალიბებულ უფლება/მოვალეობებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქმნიან მმართველობის ჩარჩოს მნიშვნელოვან ნაწილს წყლისა და გარემოს მართვის სფეროში. ეს ინსტრუმენტებია:

- დირექტივა 2003/4/EC გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ, რომელიც მოითხოვს ნეერი სახელმწიფოებისგან გარემოს შესახებ გარკვეული ინფორმაციის გასაჯაროებას და მოქალაქეებისთვის გარკვეული უფლებების მინიჭებას მოითხოვონ ინფორმაცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით;
- დირექტივა 2003/35/EC საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფა გარკვეული გარემოსდაცვითი გეგმების და პროგრამების მომზადებაში. დირექტივა აყალიბებს სხვადასხვა მოთხოვნებს, რათა უზრუნველყოს მოქალაქეთა სათანადო კონსულტირება და ჩართულობა გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

3.7.1 ბარემოზე გარემოსდაცვითი შეფასება

გარემოზე ზემოქმედების შეფასების ზოგადი კონცეფცია საქართველოს კანონმდებლობაში 1996 წელს შევიდა კანონით გარემოს დაცვის შესახებ, კონკრეტულად კი X თავით "გარემოსდაცვითი მოთხოვნები გადაწყვეტილების მიღებისას საქმიანობების შესახებ და საქმიანობის განხორციელების შესახებ."⁶⁴

EIA წესებთან დაკავშირებული უფრო დეტალური ინფორმაცია წარმოდგენილია კანონში გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ და კანონში ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ.⁶⁵ ნებართვის გაცემის ზოგადი წესები წარმოდგენილია კანონში ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ, სადაც გარემოზე ზემოქმედების ნებართვა მოხსენიებულია სხვადასხვა ნებართვების ნუსხაში. გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ კანონი უზრუნველყოფს სამართლებრივ საფუძველს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გასაცემად საქართველოს ტერიტორიაზე შესასრულებელ საქმიანობაზე. კანონი გვთავაზობს გარემოსდაცვით შემოწმებას დაქვემდებარებული საქმიანობების სრულ სიას (მე -4 მუხლი, თავი II) და განსაზღვრავს გარემოსდაცვით შემოწმებას გზმ პროცესის მეშვეობით – როგორც ნებართვის მიღების სავალდებულო ნაბიჯს. კანონი აღწერს გარემოზე ზემოქმედების ნებართვის გაცემის პროცედურებს, ეკოლოგიური ექსპერტიზის ჩატარების პროცედურას ნებართვების გაცემის დროს, საზოგადოების ინფორმირებას და ჩართულობას გარემოზე ზემოქმედების შეფასების დროს და ნებართვის გაცემის საკითხზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშმა საჯარო მოსმენა უნდა გაიაროს სანამ წარუდგენენ

64. კანონი გარემოს დაცვის შესახებ, მუხლი 37 (1996).: <<https://matsne.gov.ge/ka/document/view/33340>>.

65. კანონი გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ (2007). : <www3.cenn.org/CENN_Projects/BfW_mining/Documents/Laws%20in%20English/7.%20The%20Law%20of%20Georgia%20on%20Environmental%20Impact%20Permit%20_Eng.pdf>. კანონი ეკოლოგიური ექსპერტიზის შესახებ.: <matsne.gov.ge/ka/document/view/20212>.

გარემოსდაცვითი ნებართვის გაცემაზე პასუხისმგებელ სახელმწიფო დაწესებულებას. საქართველოში გზშ-ს რეჟიმი მნიშვნელოვნად შესუსტდა 2005 წლის ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონის მიღების შედეგად, რადგანაც ამ კანონმა მნიშვნელოვნად შემცირა იმ საქმიანობების ჩამონათვალი, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც ეკოლოგიურად მგრძნობიარე და შესაბამის მართვასა და ზედამხედველობას მოითხოვს.

ევროკავშირის კანონმდებლობასთან საქართველოს გზშ სისტემის დაახლოების მიზნით გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების დეპარტამენტი მომზადდა გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსის ახალი პროექტი.⁶⁶ კოდექსი მომზადდა UNECE ტექნიკური დახმარებით და შეეხება როგორც გზშ-ს, ასევე სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (SEA) დებულებებს. კანონპროექტმა უკვე გაიარა საჯარო კონსულტაციები და ამჟამად გადის უწყებათაშორის განხილვისა და სხვა სამართლებრივ პროცედურებს.

შესაბამისობის ხარისხი	მაღალი
გზშ სისტემა საკმაოდ კარგად არის ჩამოყალიბებული საქართველოში, თუმცა ის შესუსტდა 2005 წლის ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონის მიღების შედეგად, რადგანაც ამ კანონმა მნიშვნელოვნად შემცირა იმ საქმიანობების ჩამონათვალი, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც ეკოლოგიურად მგრძნობიარე და შესაბამის მართვასა და ზედამხედველობას მოითხოვს. გზშ ხორციელდება ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტების ფარგლებში, მათ შორის მტკნარ წყლაზე ზემოქმედების მქონე პროექტებშიც. არსებული მარეგულირებელი სისტემა სრულად არ ასახავს ევროკავშირის და/ან გზშ კონვენციის მოდელს, მაგრამ ახალი კანონპროექტი მეტ შესაბამისობას უზრუნველყოფს.	

3.7.2 სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება

საქართველოში ამჟამად არ არსებობს კანონი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) შესახებ. თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, გარემოს შეფასების ახალი კანონპროექტი სავალდებულოს ხდის გზშ-ს გამოყენებას გეგმებში და პროგრამებში.⁶⁷ ევროკავშირის შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნებთან ერთად, ეს კანონპროექტი ეროვნულ კანონმდებლობაში გადმოიტანს ტრანსსასაზღვრო კონტექსტში სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების ოქმის მოთხოვნებსაც. ეს მნიშვნელოვან შედეგებს მოუტანს წყლის პოლიტიკას საქართველოში, ასევე დადებითად აისახება საქართველოს ტრანსსასაზღვრო წყლებსა და საერთაშორისო აუზებზე. გარემოსდაცვითი შეფასების ახალი კოდექსის არსებული პროექტის თანახმად: „სტრატეგიული დოკუმენტები, რომელთა განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი ზემოქმედება გამოიწვიოს გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე, სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებას ექვემდებარება“.⁶⁸ პრაქტიკაში რამდენიმე სგშ უკვე ჩატარდა შერჩეული გეგმებისა და პროგრამებისთვის დონორების მიერ დაფინანსებული პროექტების ფარგლებში.

შესაბამისობის ხარისხი	საშუალო
საქართველოში ამჟამად არ არსებობს კონკრეტული სამართლებრივი ჩარჩო სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) პროცედურების შესახებ, მაგრამ ახალი კანონპროექტი შემუშავებულია და იგი შესაბამისობაში უნდა იყოს ევროკავშირის ან გზშ კონვენციის მოდელთან. სათანადო და ეფექტიანი განხორციელება მოითხოვს ადმინისტრაციული და ტექნიკური ცოდნის ამაღლებას სგშ-ის ჩასატარებლად.	

3.7.3 საზოგადოების მონაწილეობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

საზოგადოების მონაწილეობასთან და ინფორმაციის ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებული მოთხოვნები წყლის ჩარჩო დირექტივაში (WFD) და ამ ანგარიშში განხილულ ევროკავშირის სხვა ინსტრუმენტებშია შეტანილი, მაგალითად ჰაბიტატების დირექტივა და EIA და SEA დირექტივები. თუმცა, არსებობს ევროკავშირის კონკრეტული ჰორიზონტალური კანონმდებლობა გარემოს შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის შესახებ. ამ სამართლებრივი ინსტრუმენტების მიზანია UNECE ორჰუსის კონვენციის (გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის და გარემოსდაცვით საკითხებზე მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის შესახებ) განხორციელება. ამ ინსტრუმენტებში განსაზღვრულია მოვალეობები და უფლებები, რომლებიც რომლებიც სცილდება WFD-ში და სხვა დირექტივებში ჩამოყალიბებულ უფლებებზე/მოვალეობებს, მაგრამ მიუხედავად ამისა, ქმნიან მმართველობის ჩარჩოს მნიშვნელოვან ნაწილს წყლისა და გარემოს მართვის სფეროში. ეს ორი ინსტრუმენტი:

- დირექტივა 2003/4/EC გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ, რომელიც მოითხოვს ნეგრი სახელმწიფოებისგან გარემოს შესახებ გარკვეული ინფორმაციის გასაჯაროებას და მოქალაქეებისთვის გარკვეული უფლებების მინიჭებას მოითხოვს ინფორმაცია გარემოსდაცვით საკითხებთან დაკავშირებით;

66. გარემოზე ზემოქმედების შეფასების კოდექსის პროექტი, http://moe.gov.ge/files/PDF%20%20qartuli/gancxadebebi/2015/sajaro_ganxilva_bitadze/_შეფასების_კოდექსის_პროექტი.pdf

67. იქვე.

68. იქვე., ნაწილი III სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება, მუხლი 16. ზოგადი ვალდებულებები

- დირექტივა 2003/35/EC გარკვეული გარემოსდაცვითი გეგმების და პროგრამების მომზადებაში საზოგადოების მონაწილეობის უზრუნველყოფის შესახებ. დირექტივა აყალიბებს სხვადასხვა მოთხოვნებს, რათა უზრუნველყოს მოქალაქეთა სათანადო კონსულტირება გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში.

გარემოს მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობა საქართველოს მოქალაქეთა ერთ-ერთი კონსტიტუციური უფლებაა. კონსტიტუციის 37-ე მუხლის თანახმად: „ადამიანს უფლება აქვს მიიღოს სრული, ობიექტური და დროული ინფორმაცია მისი სამუშაო და საცხოვრებელი გარემოს მდგომარეობის შესახებ“.⁶⁹

2000 წელს საქართველო ორჰუსის კონვენციის მხარე გახდა და საქართველოს არსებული კანონმდებლობა გარკვეულწილად შესაბამისობაშია კონვენციის მოთხოვნებთან.⁷⁰ კონვენციის ვალდებულებები ინფორმაციის თავისუფლებასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით ასახულია საქართველოს ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში, კერძოდ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-3 თავში „ინფორმაციის თავისუფლება“. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი აგრეთვე განსაზღვრავს ადმინისტრაციულ სასამართლოში ადმინისტრაციული საჩივრების წარდგენის პროცედურებს; კონსულტაციების და გადაწყვეტილებების მიღების პროცედურებს; აგრეთვე მოქალაქეთა სასამართლოში მიმართვის პროცედურებს იმ შემთხვევაში, როდესაც მათი უფლებები ირღვევა ინფორმაციის ხელმისაწვდომობის ან გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის კუთხით.⁷¹ ასევე არსებობს კანონმდებლობით დადგენილი მოვალეობები, რომლებიც საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსგან მოითხოვს გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების მომზადებას ყოველ სამ წელიწადში ერთხელ.⁷²

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს ინფორმაციის ხელმისაწვდომობის, საზოგადოების მონაწილეობისა და მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის ზოგადი ჩარჩო, მასში ასახული ზოგადი დებულებები არ გადაიზარდა კონკრეტულ პროცედურებში.⁷³ სამწუხაროდ, საქართველოში იშვიათია საზოგადოების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში.⁷⁴

შესაბამისობის ხარისხი	საშუალო
მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კონსტიტუციური უფლებები გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის შესახებ, და ორჰუსის კონვენციის განხორციელების ზოგადი ჩარჩო, პროცედურები, რომლებიც შესაბამის დონეზე უზრუნველყოფენ გარემოსდაცვითი ინფორმაციის ხელმისაწვდომობას და საზოგადოების მონაწილეობას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების პროცესში მთლიანობაში დასახვეწია. აუცილებელია კონკრეტული კანონმდებლობა და ადმინისტრაციული ოქმების შემუშავება, რომელშიც ასახული იქნება საქართველოს მოქალაქეების უფლებები მოითხოვონ ინფორმაცია. აგრეთვე შემუშავდეს მთავრობის მხრიდან ასეთ მოთხოვნებზე რეაგირების პროცედურები. ამ პროცედურებში აგრეთვე უნდა აისახოს გარემოსდაცვით პოლიტიკასა და დაგეგმვის გადაწყვეტილებებზე საჯარო განხილვების ნესები და ვადები.	

69. საქართველოს კონსტიტუცია, მუხლი 37(5): <www.parliament.ge/uploads/other/28/28803.pdf>.

70. იხ. საქართველოში ორჰუსის კონვენციის განხორციელების ანგარიში. (2010). <www.uncece.org/fileadmin/DAM/env/pp/reporting/NIRs%202011/Georgia_NIR_2011_e.pdf>.

71. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, თავი 3 (1984):. <<https://matsne.gov.ge/en/document/view/16270>>

72. საქართველოს პრეზიდენტის დადგენილება #389, 25 ივნისი 1999, „გარემოს მდგომარეობის შესახებ ეროვნული მოხსენების მომზადების“ ნესების შესახებ და 2010 წლის 1 ნოემბრის შესწორებები (საქართველოს პრეზიდენტის დადგენილება #876, 1 ნოემბერი 2010)

73. მწვანე ალტერნატივა, პოლიტიკის ნარკვევი „საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის კანონმდებლობასთან, ჰორიზონტალური გარემოსდაცვითი კანონმდებლობა“ (2013)

74. მდგრადი განვითარება და რეფორმები საქართველოში, ლია თოდუა, შოთა მურღულია, საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDC).

ნაწილი 4 | დასკვნები და რეკომენდაციები

4.1 კომენტარები და დასკვნები

ზოგადი შეფასებით აშკარაა, რომ საქართველომ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია წყალთან და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული გაუმჯობესებული კანონმდებლობის მომზადების მიმართულებით, და რადგან ამგვარი ღონისძიებები ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ხორციელდება, ახალი საკანონმდებლო ბაზის განვითარებაში ასახულია ევროკავშირის საკანონმდებლო ბაზა. შემდეგი რამდენიმე წლის ძირითადი პრიორიტეტები მოიცავს საკანონმდებლო ცვლილებების დასრულებას, კერძოდ იმ სფეროებში, სადაც კანონმდებლობა არ გვიჩვენებს ევროკავშირის კანონმდებლობასთან მაღალი ხარისხის შესაბამისობას. პრიორიტეტული იქნება აგრეთვე კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და კანონალსრულების მხარდამჭერი სტრატეგიების შემუშავება და განხორციელება. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პერსონალთან, ინსტიტუციურ მონაცემებთან და ტექნიკური / ინფრასტრუქტურის ხასიათის საჭიროებებთან დაკავშირებული შესაძლებლობების განვითარება და ადამიანურ რესურსში ინვესტიციების ჩადება. ამ მხრივ, ახალი კანონმდებლობის მიღება წარმოადგენს მხოლოდ პირველ ნაბიჯს და სწორედ კანონის ამოქმედების შემდეგ წამოიჭრება ბევრად უფრო რთული გამოწვევები, კერძოდ, როგორ უნდა მოხდეს კანონმდებლობის მიღების მიზნების მიღწევა.

მომდევნო თავებში შეჯამებულია საქართველოში არსებული მდგომარეობა წინამდებარე კვლევაში გაანალიზებულ ძირითად მაჩვენებლებთან მიმართებაში და წარმოდგენილია ზოგადი და კონკრეტული ხასიათის დასკვნები და რეკომენდაციები.

4.1.1 წყლის ჩარჩო დირექტივასთან შესაბამისობა

კომპეტენტური ორგანოს დანიშვნა	მაღალი
საერთაშორისო მდინარეების, ტბებისა და სანაპირო წყლებისთვის ადმინისტრაციული სისტემის შექმნა	საშუალო
მდინარის აუზის უბნების იდენტიფიკაცია	მაღალი
მდინარის აუზის უბნების მახასიათებლების ანალიზი	მაღალი
წყლის ხარისხის მონიტორინგის პროგრამების შედგენა	მაღალი
მდინარის აუზის მართვის გეგმების მომზადება	მაღალი
ღონისძიებების პროგრამის მომზადება	მაღალი

პრინციპში, ეროვნული კანონმდებლობის ახალი პროექტი კარგად ასახავს წყლის ჩარჩო დირექტივის (WFD) ზოგად ინსტიტუციონალურ ბაზას. კერძოდ: (i) განსაზღვრულია კომპეტენტური ორგანო, წარმოდგენილია ინსტიტუციონალური ბაზა, რომელიც მდინარეთა სააუზო უბნებს მოიცავს; (ii) წყლის მენეჯმენტი და მართვა ორგანიზებულია მდინარეთა აუზების დონეზე; და (iii) განსაზღვრულია მდინარეთა აუზების მართვის (RBM) დეტალური გეგმა, რაც მოიცავს RBM გეგმებით გათვალისწინებული ღონისძიებების პროგრამის შემუშავების პროცედურებს.

არსებული პოლიტიკიდან და საკანონმდებლო, ასევე ადმინისტრაციული ხასიათის პრაქტიკებიდან ახალ კანონში გათვალისწინებულ მიდგომებზე გადასვლა მნიშვნელოვანი ხასიათის ცვლილებებს გამოიწვევს და, შესაბამისად, მისი განხორციელება მთავრობის წინაშე მნიშვნელოვანი ხასიათის გამოწვევებს აყენებს. ახალი კანონის განხორციელების წარმატება დამოკიდებული იქნება ადექვატური ხასიათის შესაძლებლობებისა (ადამიანური რესურსები, ტექნიკური, ფინანსური შესაძლებლობები) და ექსპერტიზის განვითარებაზე, რაც უკავშირდება არა მხოლოდ მდინარის აუზის მართვის დაგეგმვაში გათვალისწინებულ შეფასებებს, მონიტორინგსა და ანალიზს, არამედ ასევე იმ ადმინისტრაციული პროცესების განხორციელებას, რომლებიც აუცილებელია მდინარის აუზის მართვის გეგმების შემუშავების, დამტკიცებისა და მონიტორინგისთვის. კანონპროექტი გათვალისწინებულმა ინსტიტუციონალურმა სტრუქტურებმა, რაც, მაგალითად მოიცავს სააუზო საბჭოებს, ხელი უნდა შეუწყონ კონსულტაციებისა და ინტეგრაციის მოდელის შემუშავებას, რაც საჭირო იქნება მდინარის აუზების მართვის წარმატებული დაგეგმვისთვის.

წყლის მართვასთან დაკავშირებულ მომავალ ღონისძიებებში პოტენციურად შესაძლო ნაკლოვანება უკავშირდება იმ წყლის ობიექტებს, რომლებიც სხვა ქვეყნებთან არის საზიარო. მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ბაზა ითვალისწინებს თანამშრომლობას საერთაშორისო RBD-ებთან (მდინარის აუზის უბანი), სავარაუდოდ, საჭირო გახდება კონკრეტული ადმინისტრაციული ღონისძიებების შემუშავება; უნდა ჩამოყალიბდეს უფრო ამომწურავი ხასიათის თანამშრომლობა საზიარო წყლის ობიექტების მქონე ქვეყნებთან.

4.1.2 ურბანული ჩამდინარე წყლების გაწმენდის ღირებულებასთან შესაბამისობა

ურბანული ჩამდინარე წყლის შეგროვების და გაწმენდის სტატუსის შეფასება	დაბალი
მგრძნობიარე უბნების და აგლომერაციების იდენტიფიკაცია	დაბალი
წინასწარი რეგულირების ან ნებართვების სისტემების ჩამოყალიბება	დაბალი
მონიტორინგის პროგრამები	საშუალო

საქართველოში დღესდღეობით მოქმედი სამართლებრივი ჩარჩოს მიხედვით, ღირებულებასთან დაბალი შესაბამისობა დგინდება. კერძოდ, სორცელდება UWW (ურბანული ჩამდინარე წყლების) შეგროვებისა და გაწმენდის სისტემების შეფასებები და აღწერა. კანონპროექტი ამ ეტაპზე მხოლოდ ზოგადად (დეტალური აღწერის გარეშე) ითვალისწინებს მგრძნობიარე უბნებისა და აგლომერაციების იდენტიფიცირებას. საკანონმდებლო ბაზის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით პირველ ეტაპზე შემდეგი ძირითადი ღონისძიებები უნდა განხორციელდეს: ურბანული ჩამდინარე წყლების შეგროვებისა და გაწმენდის სტატუსის უფრო სრულყოფილი შეფასება; შეფასებებიდან მიღებული მონაცემების შენახვის, ანალიზისა და გაცვლის სისტემების ფორმალიზება, რათა შესაძლო გახდეს ამ მონაცემების გამოყენება მდინარის აუზის მართვის დაგეგმვაში; მგრძნობიარე უბნების განსაზღვრა და მათი მართვისა და მონიტორინგის პროცესების შემუშავება. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად არ მოქმედებს ლიცენზირების ან წინასწარი ავტორიზაციის სისტემა ურბანული ჩამდინარე წყლის ჩაშვებაზე, არსებობს გარკვეული ლიცენზირების მექანიზმები და შესაძლებელია მათი გავრცელება ურბანულ ჩამდინარე წყალზეც. საჭიროა მარეგულირებელი სისტემის დეტალების შემუშავება. ამასთან ერთად, უკვე არსებული სალიცენზიო ხასიათის რეგულირების მოსალოდნელი გაფართოვება, მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენს დაბინძურების კონტროლის მიღწევის პროცესში.

4.1.3 გარემოს ხარისხის სტანდარტებთან შესაბამისობა

წყლის ობიექტების გარემოსდაცვითი ხარისხის სტანდარტების გამოყენება	საშუალო
--	---------

საქართველოში გარემოს ხარისხობრივი სტანდარტების სისტემა არსებობს, თუმცა იგი ფოკუსირებულია საზოგადოებრივ ჯანდაცვაზე და არ შეიცავს ევროკავშირის კანონმდებლობით გათვალისწინებულ პრიორიტეტული დამაბინძურებელი ნივთიერებების უმეტესობას, რომელთა კონტროლი არსებითია მტკნარი წყლების ეკოსისტემების სიჯანსაღის მისაღწევად. კანონპროექტი ითვალისწინებს გარემოს ხარისხის სტანდარტების გამოყენებას წყლისთვის, მაგრამ საჭირო იქნება კონკრეტული კანონმდებლობის მიღება სტანდარტების განსაზღვრისა და მათი მონიტორინგისა და კონტროლის მექანიზმების შემუშავება.

4.1.4 ნიტრატების ღირებულებასთან შესაბამისობა

დაბინძურებული წყლების იდენტიფიკაცია და ნიტრატებისადმი მოწყვლადი ზონების განსაზღვრა	დაბალი
სამოქმედო გეგმების და კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკის კოდექსის შედგენა ნიტრატების მიმართ მოწყვლადი ზონებისთვის	დაბალი
მონიტორინგის პროგრამის შედგენა	საშუალო

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არ ხდება მტკნარი წყლის ეკოსისტემების კონსერვაციაზე ნიტრატების ზემოქმედების დეტალური შეფასება, ეს ზემოქმედება ცნობილია და საქართველოს გარემოს დაცვის ეროვნულ სამოქმედო პროგრამაში სოფლის მეურნეობაში დიფუზიური წყაროებიდან დაბინძურების შემცირება ერთ-ერთ გრძელვადიან მიზნად არის განსაზღვრული. ამ ეტაპზე არსებულ კანონმდებლობაში ან კანონპროექტებში დეტალურად არ არის აღწერილი დაბინძურებული წყლების და ნიტრატებისადმი მოწყვლადი ზონების განსაზღვრის საჭიროება, თუმცა, ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების გზამკვლევაში მითითებულია, რომ უნდა მოხდეს დაბინძურებული წყლების და დაბინძურების რისკის ქვეშ მყოფი წყლების იდენტიფიცირება, ნიტრატებისადმი მოწყვლადი ზონების გამოყოფა და კარგი სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკების მიღწევის სამოქმედო გეგმებისა და ნორმების შემუშავება.

4.1.5 წყალდიდობების ღირებულებასთან შესაბამისობა

წყალდიდობის რისკის წინასწარი შეფასების განხორციელება	საშუალო
წყალდიდობის საფრთხის რუკების, წყალდიდობის რისკის რუკების და წყალდიდობის რისკის მართვის გეგმების მომზადება	საშუალო

მიუხედავად იმისა, რომ წყალდიდობა, როგორც ბუნებრივი მოვლენა, სცდება ადამიანის კონტროლის სფეროს, შესაძლებელია მოხდეს წყალდიდობების ზემოქმედებების მართვა შესაბამისი დაგეგმვისა და უსაფრთხოების ზომების არსებობის შემთხვევაში. ეს ღონისძიებები უნდა მოიცავდეს გარემოზე, ასევე ადამიანებზე პოტენციური ზემოქმედებების შეფასებას და, აუცილებლობის შემთხვევაში, ასევე უნდა ითვალისწინებდეს ბიო-

მრავალფეროვნების ჰაბიტატების განადგურების ან ბიომრავალფეროვნების დაკარგვის და სხვა გარემოსთან დაკავშირებული ზიანის მინიმუმამდე დაყვანის ღონისძიებებს.

წყლის რესურსების მართვის კანონპროექტი მოითხოვს წყლის უარყოფითი ზემოქმედების რისკების მართვის პროგრამების შემუშავებას და მათ ინტეგრირებას მდინარის აუზის მართვის გეგმებში. ამდენად, კანონპროექტი მდინარის აუზის მართვის პროცესში გარკვეულწილად მოიცავს წყალდიდობების რისკების შეფასებას, მაგრამ საჭიროა საინფორმაციო ბაზის განვითარება, ამ ეტაპზე არსებული დაგეგმვის მიდგომების გაფართოვება და ადგილობრივი ხელისუფლების (მუნიციპალურ და რეგიონულ დონეებზე) როლისა და პასუხისმგებლობის უფრო ნათლად განსაზღვრა. თუმცა დეტალები ჯერ კიდევ შესამუშავებელია, ჩანს, რომ კანონპროექტი განსაზღვრავს საკანონმდებლო ბაზას წყალდიდობების რისკის მართვის გეგმების შესამუშავებლად; ამასთან, ამგვარი გეგმები უნდა ემყარებოდეს კონკრეტულ სახელმძღვანელო მითითებებსა და მარეგულირებელ ბაზას.

4.1.6 ჰაბიტატების და ფრინველების დირექტივებთან შესაბამისობა

სახეობებისა და ჰაბიტატების დაცული ტერიტორიების განსაზღვრა	საშუალო
დაცული წყლის ობიექტების რეესტრის მომზადება მტკნარწყლიანი უბნებისთვის	მაღალი
ჰაბიტატებისა და სახეობების მონიტორინგი	საშუალო

წყლის ხარისხის დაცვასთან დაკავშირებულ ღონისძიებებთან ერთად, მტკნარი წყლების ეკოსისტემების შესანარჩუნებლად ევროკავშირის კანონმდებლობა მოითხოვს სპეციალური საკონსერვაციო ტერიტორიების თანმიმდევრული ეკოლოგიური ქსელის შექმნას, რომელიც შედგება ბუნებრივი ჰაბიტატების ტიპის ტერიტორიებისგან და იმ სახეობების ჰაბიტატებისგან, რომელთაც დაცვა ესაჭიროებათ. საქართველოში დღეისათვის არსებობს სახეობების და ჰაბიტატების დაცვის სისტემა, მაგრამ იგი უფრო შეზღუდული ტიპისაა დაფარვის თვალსაზრისით, ვიდრე ევროკავშირის **Natura 2000** სისტემა და არ არის ინტეგრირებული წყლის მართვასთან. ახალი კანონპროექტი ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ ითვალისწინებს სახეობებისა და ჰაბიტატების დაცვისა და კონსერვაციის კონტროლის გაფართოებას და ისეთი სისტემის ჩამოყალიბებას, რომელიც მოცულობითა და ფორმით უფრო უახლოვდება ევროკავშირის ბუნების დირექტივებით შექმნილ სისტემას. რადგანაც საქართველოში ბიომრავალფეროვნების დაცვა ძირითადად წყლის პოლიტიკისგან განცალკევებულად მოიაზრება, ყურადღება უნდა მიექცეს ჰაბიტატების და წყლის დირექტივებს მოთხოვნების შესრულების შორის ინტეგრაციას. უნდა შემუშავდეს ეფექტიანი კრიტერიუმები მტკნარ წყალზე დამოკიდებული (ან მტკნარი წყლის) ჰაბიტატების დაცული ტერიტორიების დასადგენად, ჩამოსაყალიბებლად და დასაცავად. ყურადღება უნდა მიექცეს ინტეგრაციას სხვა სექტორების კანონმდებლობასთანაც, როგორცაა მაგალითად ტყის სექტორი. ამჟამად არსებობს მტკნარი წყლების ზონაში სხვადასხვა ტიპის დაცული ზონების დაფიქსირებისა და რეგისტრაციის მექანიზმები, ეს მექანიზმები კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს კანონპროექტებში. ამასთან ერთად, წყლის შესახებ კანონპროექტი კონკრეტულად ითვალისწინებს დაცული წყლის ობიექტების სახელმწიფო რეესტრის შექმნას და მოითხოვს ამ რეესტრის გათვალისწინებას **RBM** (მდინარის აუზის მართვა) დაგეგმვის პროცესში. თუმცა, საჭირო იქნება კონკრეტული კანონმდებლობა წყლის ობიექტებისთვის დაცული სტატუსის მინიჭების წესებისა და პროცედურების დადგენის, დაცული წყლის ობიექტების სახელმწიფო რეესტრში შეყვანის პროცედურებისა და კრიტერიუმების განსაზღვრისა და ამგვარ რეესტრში შეტანის შემთხვევაში წარმოშობილი სამართლებრივი კონტროლების დადგენის მიზნით.

4.1.7 სხვა კანონმდებლობასთან შესაბამისობა

გარემოზე ზემოქმედების შეფასება	მაღალი
სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასება	საშუალო
საზოგადოების მონაწილეობა და ინფორმაციის ხელმისაწვდომობა	საშუალო

გზმ სისტემა საკმაოდ კარგად არის ჩამოყალიბებული საქართველოში, თუმცა ის შესუსტდა 2005 წლის ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ კანონის მიღების შედეგად, რადგანაც ამ კანონმა მნიშვნელოვანდ შემცირდა იმ საქმიანობების ჩამონათვალი, რომლებიც კლასიფიცირდება როგორც ეკოლოგიურად მგრძნობიარე და შესაბამის მართვასა და ზედამხედველობას მოითხოვს. გზმ ხორციელდება ყველაზე მნიშვნელოვანი პროექტების ფარგლებში, მათ შორის მტკნარ წყალზე ზემოქმედების მქონე პროექტებშიც. არსებული მარეგულირებელი სისტემა სრულად არ ასახავს ევროკავშირის და/ან გზმ კონვენციის მოდელს, მაგრამ ახალი კანონპროექტი მეტ შესაბამისობას უზრუნველყოფს.

საქართველოში ამჟამად არ არსებობს კონკრეტული სამართლებრივი ჩარჩო სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების (სგშ) პროცედურების შესახებ, მაგრამ ახალი კანონპროექტი შემუშავებულია და იგი შესაბამისობაში უნდა იყოს ევროკავშირის და გზმ კონვენციის მოდელთან. სათანადო და ეფექტიანი განხორციელება მოითხოვს ადმინისტრაციული და ტექნიკური ცოდნის ამაღლებას სგშ-ის ჩასატარებლად.

მიუხედავად გარემოსთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე წვდომის კონსტიტუციური უფლებების და იმ ზოგადი საკანონმდებლო ბაზების არსებობისა, რომლებიც მიზნად ისახავს ორჰუსის კონვენციის (**Aarhus Convention**)

განხორციელებას, საერთო ჯამში, გარემოსთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე წვდომისა და გარემოსთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის უზრუნველყოფი პროცედურები არ არის შესაბამისად ჩამოყალიბებული. უნდა მოხდეს კონკრეტული კანონმდებლობისა და ადმინისტრაციული პროცედურების შემუშავება, სადაც განსაკუთრებით იქნება ხაზგასმული მოქალაქეების უფლება, მოითხოვონ ინფორმაცია; ამასთან, განსაზღვრული იქნება ის პროცედურები, რომლებიც მთავრობამ უნდა შეასრულოს ამგვარი მოთხოვნების შემთხვევაში და დადგენილი იქნება შეთანხმებული პროცედურები, რომლითაც მოხდება გარემოსთან დაკავშირებულ პოლიტიკებზე და დაგეგმვასთან დაკავშირებულ გადაწყვეტილებებზე საჯარო კონსულტაციების ჩატარების დროისა და ნესების განსაზღვრა.

4.2 რეკომენდაციები

თუმცა, ახალი საკანონმდებლო ბაზის ჩამოყალიბება ჯერ მხოლოდ დაწყებულია, (იხილეთ რეკომენდაცია 1), ამ ეტაპზე ყურადღება უნდა გამახვილდეს მომზადების სტადიაში არსებულ საკანონმდებლო ბაზაში გათვალისწინებულ მარეგულირებელი, ადმინისტრაციული და ტექნიკური პროცედურების განხორციელების პროგრამაზე. კანონის მიღება არ წარმოადგენს პროცესის დასასრულს, ეს არის პროცესის დასაწყისი, ამასთან, კანონპროექტი წარმოშობს მის განხორციელებასთან დაკავშირებულ მრავალ გამოწვევას. წინამდებარე ზოგადი და კონკრეტული ხასიათის რეკომენდაციებში განსაზღვრულია ზოგიერთი ის ძირითადი საჭიროება, რომელიც გამოვლინდა მოცემულ კვლევაში განხორციელებული ანალიზისას, მტკნარი წყლების ეკოსისტემების კონსერვაციის გაუმჯობესების კონტექსტში.

4.2.1 ზოგადი ხასიათის რეკომენდაციები

რეკომენდაცია 1 | ახალი საკანონმდებლო ბაზის შემუშავების დასრულება

ახალი საკანონმდებლო ბაზის შემუშავების დასრულება ქვეყანაში მიმდინარე პრიორიტეტს წარმოადგენს. შესაცვლელია და/ან მისაღებია ახალი კანონები და კანონქვემდებარე აქტები მთელ რიგ სფეროებში, რითაც მიღწეული იქნება საქართველოში ევროკავშირის სრულად ექვივალენტური კანონმდებლობის არსებობა; უმრავლეს შემთხვევაში კონკრეტული კანონების მიღება დაგეგმილია, ან უკვე მიმდინარეობს მათი შემუშავება. აუცილებელია მიმდინარე საკანონმდებლო პროცესებზე მუდმივი დაკვირვება და კონცეპტრაცია, რათა მივიღოთ ჰარმონიული და ურთიერთთავსებადი ნორმატიული დოკუმენტები რომლებიც უფრო კარგად ასახავს ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასა და ასოცირების შეთანხმების მიზნებს.

რეკომენდაცია 2 | მდინარის აუზის მართვის დაგეგმვისთვის საჭირო შესაძლებლობების განვითარების სტრატეგიების შემუშავება

იმისათვის, რომ საკანონმდებლო და დაგეგმვის პროცესები სრულყოფილად და ეფექტურად განხორციელდეს, ყურადღება უნდა გამახვილდეს ადმინისტრაციული, ტექნიკური და ინფრასტრუქტურული ხასიათის შესაძლებლობების განვითარება-შექმნაზე; ამასთან, უნდა მოხდეს აუცილებელი ფინანსური, ტექნიკური და ადამიანური რესურსების არსებული დონეების შეფასება და საჭიროებათა განსაზღვრა. უნდა ჩამოყალიბდეს პროცესი, რომლის ფარგლებშიც მოხდება მდინარის აუზის მართვასა და დაგეგმვაში გათვალისწინებული ახალი საკანონმდებლო, ადმინისტრაციული და ტექნიკური პროცედურების განხორციელებისთვის საჭირო შესაძლებლობების განვითარების პროგრამის შემუშავება. პროცესი უნდა დაიწყოს წინასწარი საჭიროებების ანალიზით, რათა მოხდეს დაფინანსებისა და სწავლების პრიორიტეტებისა და ძირითადი სტრატეგიების განსაზღვრა.

რეკომენდაცია 3 | სამინისტროებს შორის საკოორდინაციო მექანიზმის ჩამოყალიბება

მიუხედავად იმისა, რომ წყლის რესურსების მართვის კანონპროექტი ასახავს WFD-ის მოთხოვნას წყლის რესურსების ინტეგრირებული მართვის თაობაზე, წლები დასჭირდება კანონმდებლობაში საკოორდინაციო და ინტეგრაციის მექანიზმების გათვალისწინებას. მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში წყლის ინტეგრირებული პოლიტიკის მიზნებისათვის უნდა ჩამოყალიბდეს სამინისტროებს შორის საკოორდინაციო მექანიზმი. მექანიზმში წარმოდგენილი უნდა იყოს ყველა შესაბამისი სამინისტრო და სახელმწიფო ორგანო (რაც მინიმუმ მოიცავს შემდეგს: გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო, ენერგეტიკის სამინისტრო, საგარეო საქმეთა სამინისტრო და ფინანსთა სამინისტრო); ამასთან, საკოორდინაციო მექანიზმში შესაბამისი უწყებებიდან ჩართულნი უნდა იყვნენ მაღალი თანამდებობის პირები. მექანიზმის მიზანია სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურებს შორის კოორდინაციის უზრუნველყოფა (ასოცირების შეთანხმების განხორციელების მიზნით შექმნილი ცხრა კონკრეტული სექტორული საგზაო რუკების კოორდინაციის ჩათვლით).

რეკომენდაცია 4 | უფრო მჭიდრო საკანონმდებლო ინტეგრაციის მიღწევა

წყლის პოლიტიკა, სხვასთან შედარებით, უფრო მეტად არის დარგთაშორისი ხასიათის. მნიშვნელოვანია, რომ სათანადო კავშირები არსებობდეს სხვადასხვა დარგობრივ საკანონმდებლო რეჟიმებს შორის, რამდენადაც, სამართლებრივი ინსტრუმენტები წარმოადგენს იმ ნესების განსაზღვრის მთავარ გზას, რომელიც გავრცელდება ყველა მოთამაშესა და დაინტერესებულ მხარეზე, იქნება ეს საჯარო თუ კერძო მხარე. ამდენად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს სამართლებრივ ბაზას, რომელიც უნდა იყოს როგორც ეფექტიანი, ისე თანმიმდევრული.

ეს გათვალისწინებული უნდა იქნას ყველა შესაბამისი სექტორის კანონმდებლობაში. შეიძლება ითქვას, რომ უკვე არსებობს სექტორთაშორისი საკითხების მოგვარებასთან დაკავშირებული მექანიზმები: კერძოდ, სტრატეგიულ გარემოსდაცვით შეფასებასა (SEA) და გარემოზე ზემოქმედების შეფასებაში (EIA) ადგილი აქვს ეკონომიკურ და განვითარებასთან დაკავშირებულ საქმიანობებსა და გარემოს დაცვის შორის (მტკნარი წყლის გარემოს ჩათვლით) კვეთას. თუმცა, არსებობს წყლის, ტყის, ბიომრავალფეროვნებისა და სხვა კანონმდებლობას შორის კავშირების გაძლიერების საჭიროება მტკნარი წყლის ეკოსისტემების ადექვატური დაცვის მიზნით. ეს კი სხვა საკითხებთან ერთად მოითხოვს შემდეგს: დარგობრივი კანონმდებლობის თითოეულ სფეროში შეფასება, ნებართვების გაცემა და სხვა პროცედურები უნდა ავსებდეს და არ მოდიოდეს წინააღმდეგობაში მტკნარი წყლის კონსერვაციის კანონმდებლობასთან; ამასთან ერთად, მონიტორინგმა და აღსრულების უფლებამოსილებამ, დარგობრივი კანონმდებლობის ყველა სფეროსა და წყლის კანონმდებლობის ფარგლებში, არ უნდა გამოიწვიოს ხარვეზები და ნათლად იყოს განსაზღვრული და გაგებელი, თუ სად ხდება იურისდიქციების გადაფარვა.

რეკომენდაცია 5 | ტრანსსასაზღვრო საკითხებისათვის უმაღლესი პრიორიტეტის მინიჭება

ამჟამად, ფაქტიურად არ არის ჩამოყალიბებული ტრანსსასაზღვრო მდინარის აუზის მართვისა და სხვა საერთაშორისო თანამშრომლობის საკითხები. უპირველეს ყოვლისა, ყურადღება უნდა მიექცეს წყლის ორი კონვენციის რატიფიცირებას; ამასთან ერთად, გრძელვადიან პერსპექტივაში შესწავლილი უნდა იქნას ტრანსსასაზღვრო წყლის მართვაში ორმხრივი და რეგიონალური თანამშრომლობის სფეროში არსებული შესაძლებლობები.

4.2.2 კონკრეტული ხასიათის რეკომენდაციები

რეკომენდაცია 6 | მდინარის აუზის მართვის გეგმების (RBMP) ინტეგრაცია სხვა დაგეგმვის დონის დოკუმენტებში, მდინარის აუზის დონეზე

რამდენადაც მდინარის აუზის მართვის დაგეგმვა თავისთავად წარმოადგენს წყლის მართვის, დაგეგმვისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში სხვა სექტორების ინტერესების გათვალისწინების მექანიზმს, ეს ინტეგრაცია შესაძლებელია შეფერხდეს (ან, სულაც არ განხორციელდეს), თუ დამაკავშირებელი პროცესები არ შეესაბამება მდინარის აუზის მექანიზმებს. შესაბამისად, სხვა დაგეგმვის (მაგ. მონათსარგებლობისა და წყლის გამოყენების) დონის დოკუმენტები უნდა ასახავდეს მდინარის აუზის მართვის მექანიზმებს; ასეთი ინტეგრაცია, საჭიროების შემთხვევაში, საკანონმდებლო ცვლილებების მეშვეობით უნდა იქნას მიღწეული. ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების ფარგლებში ახალი კანონმდებლობის შემუშავების მიზნით ამ ეტაპზე მიმდინარე პროცესები, გარკვეულწილად იზოლირებულია და საჭიროებს უფრო მეტ ინტეგრაციას. მაგალითად, დარგობრივ აღინიშნა ზემოთ, ბიოლოგიური მრავალფეროვნების შესახებ კანონპროექტის 22-ე მუხლი მოითხოვს, რომ დაცვის მიზნები გათვალისწინებული იყოს დაგეგმვის პროცესებში ცენტრალურ, რეგიონულ და მუნიციპალურ დონეებზე, მაგრამ კავშირი მდინარის აუზის დაგეგმვასთან არ არის მკაფიოდ განსაზღვრული.

რეკომენდაცია 7 | დონის დოკუმენტებთან პროგრამების მისაღებად სახელმძღვანელო მითითებებისა და ინსტრუმენტების შემუშავება

წყლის რესურსების მართვის ახალი კანონპროექტის ფარგლებში ჩამოყალიბებული ზოგადი საკანონმდებლო ჩარჩო, როგორც ჩანს, კარგად შეესაბამება წყლის ჩარჩო დირექტივას (WFD), თუმცა პრაქტიკულად, მოქმედებათა პროგრამების სიცოცხლისუნარიანობა დამოკიდებული იქნება ძირითად დონის დოკუმენტებთან დაკავშირებული ეფექტური საკანონმდებლო რეჟიმის არსებობაზე (მაგალითად, ევროკავშირის კანონმდებლობის ექვივალენტური ეროვნული კანონმდებლობა, რომელიც ჩამოთვლილია მე-4 ცხრილის პირველ სვეტში "დონის დოკუმენტების პროგრამაში შესატანი დონის დოკუმენტები") და, ასევე, გადაწყვეტილების მიღებისა და ანალიტიკური პროცესებისა და შესაძლებლობის არსებობაზე (მაგალითად, მონაცემთა შეგროვებისა და შეფასებისათვის), რათა მოხდეს დამატებითი დონის დოკუმენტების შესაბამისად შერჩევა და ამ დონის დოკუმენტების საჭიროების იდენტიფიცირება. პროცესები უნდა შემუშავდეს, სულ მცირე, მდინარის აუზის, მაგრამ ასევე ეროვნულ დონეზე, რათა (ა) შეფასდეს, ხორციელდება თუ არა ძირითადი დონის დოკუმენტები სრულად და ეფექტურად, ხოლო შემდეგ (ბ) განისაზღვროს დამატებითი დონის დოკუმენტების საჭიროება და მოხდეს მათი შერჩევა. თუმცა, დამატებითი დონის დოკუმენტებთან დაკავშირებით საჭირო იქნება ეროვნულ დონეზე გარკვეული გადაწყვეტილებების მიღება (მაგალითად, დამატებითი მარეგულირებელი ინსტრუმენტის საჭიროება, წყალჩაშტების კონტროლი და ა.შ.). გარკვეული გადაწყვეტილებები შეიძლება ასევე მიღებულ იქნას მდინარის აუზის დონეზეც. საჭირო იქნება სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება - როგორ ჩატარდეს ამგვარი შეფასებები და როგორ იქნას მიღებული სათანადო გადაწყვეტილებები; ასევე, საჭირო იქნება სახელმძღვანელო მითითებებისა და მოდელების შემუშავება დამატებითი დონის დოკუმენტების განხორციელებასთან დაკავშირებით (მაგალითად, კეთილსინდისიერი პრაქტიკის კოდექსი, შეთანხმებული გარემოსდაცვითი ხელშეკრულებები, საგანმანათლებლო პროექტები და ა.შ.).

რეკომენდაცია 8 | მონაცემების მართვასთან დაკავშირებული რეგულაციების შემუშავება

მაღალი ხარისხის და საიმედო მონაცემების ხელმისაწვდომობა წარმოადგენს ეფექტური გარემოსდაცვითი და წყლის მართვის განხორციელების მნიშვნელოვან წინაპირობას. პირველი ნაბიჯი, რა თქმა უნდა, არის მონაცემთა გენერირება; მონაცემების გენერირების შემდეგ, ეს მონაცემები ხელმისაწვდომი უნდა გახდეს შესაბამისი პირებისთვის და გამოყენებულ იქნას გადაწყვეტილების მიღების პროცესში. გარკვეულწილად, ეს დამოკიდებული იქნება მონაცემთა პროცესებთან დაკავშირებული (იხილეთ ზოგადი რეკომენდაციები) შესაძლებლობების გაძლიერების ღონისძიებებზე, მაგრამ ასევე აუცილებელია, მოხდეს ამ პროცესების მხარდაჭერა სპეციალური რეგულაციებითაც. ამ რეგულაციების საშუალებით შესაძლებელი გახდება სისტემების ფორმალიზება, წყალთან და/ან გარემოსთან დაკავშირებულ მონაცემთა გენერირების, ანალიზისა და გაცვლის მიზნით. მაგალითად, კერძო პირებისა და კომპანიებისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრით, უზრუნველყონ ინფორმაცია, ან საჯარო დაწესებულებებისათვის პასუხისმგებლობის განსაზღვრით, შეაგროვონ ინფორმაცია; ასევე, მდინარის აუზის მართვის მიზნებისათვის მონაცემთა გაცვლისა და მონაცემთა გაზიარების პროგრამების შექმნის მეშვეობით, სადაც გათვალისწინებული უნდა იქნას სპეციალური მოთხოვნები გარკვეულ მონაცემთა გამოყენებაზე. რეგულაციები ასევე უნდა ითვალისწინებდეს ისეთ საკითხებს, როგორიცაა პერსონალურ მონაცემთა დაცვა, კომერციული კონფიდენციალობა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. მუნიციპალიტეტებს ასევე უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა სათანადო ინფორმაციის შეგროვებაზე, რომელიც შემდგომ უნდა გადაეცეს სააუზო მართვის ორგანოს, რაც უნდა წარმოადგენდეს მდინარის აუზის მართვაში სამართლებრივად დადგენილ მონაცემთა გაცვლის პროგრამის ნაწილს.

რეკომენდაცია 9 | წყალდიდობების რისკის მართვის გეგმების ინტეგრირება სხვა დამატებითი ღონისძიებებში

გარემოსა და კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებების სფეროში ასოცირების ხელშეკრულების განხორციელების საგზაო რუკა ითვალისწინებს 2017 წლისათვის „წყალდიდობების რისკების მართვის“ შესახებ კანონქვემდებარე აქტის შემუშავებას. ამ დოკუმენტის შემუშავება იქნება მნიშვნელოვანი ეტაპი. ამასთან, კანონქვემდებარე აქტი უნდა შემუშავდეს ინტეგრირებული ფორმით, გათვალისწინებული უნდა იქნას არა მხოლოდ გარემოსა და კლიმატთან დაკავშირებული ღონისძიებები, არამედ ასევე წყალთან დაკავშირებული და სხვა (მაგალითად, დაგეგმვა, სოფლის მეურნეობა და ა.შ.) პროგრამები.

უნდა მოხდეს წყალდიდობის რისკის მართვის გეგმების ინტეგრაცია (წყალდიდობის რისკის წინასწარი შეფასებისა და წყალდიდობის საფრთხეებისა და რისკების რუკების ჩათვლით) სხვა დაგეგმვის ღონისძიებებში, როგორიცაა ადგილობრივი მინათსარგებლობის გეგმები, განსახლებისა და განვითარების გეგმები, ინფრასტრუქტურული პროექტები, დარგობრივი დაგეგმვა, დაცული ტერიტორიების მართვის გეგმები და ბუნებრივი რესურსების მართვის გეგმები. არსებული კანონმდებლობა ითვალისწინებს ზემოთ ხსენებულთან დაკავშირებულ ზოგად მოთხოვნებს, მაგრამ არსებობს წესების, მეთოდოლოგიებისა და პროცედურების განსაზღვრის საჭიროება – მაგალითად, ინფორმაციის გამოქვეყნებასა და გაცვლასთან, ასევე, დაგეგმვის ან გადაწყვეტილების მიღების პროცესებში კონსულტაციებთან დაკავშირებული სპეციალური წესების დადგენა. გარდა ამისა, მონაცემთა უზრუნველყოფასთან და წყალდიდობის რისკების წინასწარი შეფასების ჩატარებასთან დაკავშირებული ადგილობრივი ხელისუფლების (მუნიციპალურ და რეგიონალურ დონეზე) როლები და პასუხისმგებლობები საჭიროებს დაზუსტებას; ამასთან ერთად, ადეკვატურად უნდა მოხდეს მათი განსაზღვრა კანონმდებლობაში.

რეკომენდაცია 10 | ბიომრავალფეროვნების დაცვის გაძლიერება წყლის ობიექტებში

რადგანაც საქართველოში ბიომრავალფეროვნების დაცვა ძირითადად წყლის პოლიტიკისგან განცალკევებულად მოიაზრება, ყურადღება უნდა მიექცეს ჰაბიტატების და წყლის დირექტივებს მოთხოვნების შესრულების შორის ინტეგრაციას. უნდა შემუშავდეს ეფექტიანი კრიტერიუმები მტკნარ წყალზე დამოკიდებული (ან მტკნარი წყლის) ჰაბიტატების დაცული ტერიტორიების დასადგენად, ჩამოსაყალიბებლად და დასაცავად. ყურადღება უნდა მიექცეს ინტეგრაციას სხვა სექტორების კანონმდებლობასთან, როგორიცაა მაგალითად ტყის სექტორი. შესაბამისი დებულებები უნდა იყოს გათვალისწინებული (მაგალითად, დებულებები, რომლებიც ეხება „დაცული“ ან „კონსერვაციული“ სტატუსის მინიჭებას იმ ტყისათვის, რომელსაც გააჩნია მნიშვნელოვანი ან საფრთხის ქვეშ არსებული მტკნარი წყლის ეკოსისტემები ან ჰაბიტატები). სპეციალური კანონმდებლობა შეიძლება გახდეს საჭირო დაცული წყლის ობიექტების სტატუსის შეფასების წესებისა და პროცედურების შესაქმნელად (მაგალითად, კონკრეტული დაცვის ზონები, სადაც გათვალისწინებულია სხვადასხვა მიზნით გამოყენება, წყლის გამოყენებასთან დაკავშირებული საფრთხეები და მოთხოვნები), ასევე, დაცული წყლის ობიექტების სახელმწიფო რეესტრის შექმნის მიზნით.

რეკომენდაცია 11 | ინტეგრაციის გაძლიერება გარემოს მდგომარეობის მონიტორინგის სფეროში

როგორც უკვე აღინიშნა, უზრუნველყოფილ უნდა იქნას წყლისა და გარემოს დაცვის შესახებ კანონმდებლობისა და მართვის ინტეგრირებული ფორმით განვითარება; ამასთან, მჭიდრო ინტეგრირებული მიდგომა უნდა გაგრძელდეს ოპერაციულ დონეზე განხორციელების პროცესშიც; მაგალითად, (და, კერძოდ), გარემოს მდგომარეობის მონიტორინგის შემთხვევაში. მონიტორინგის პროგრამების შემუშავების პროცესში ყურადღება უნდა დაეთმოს ბიომრავალფეროვნების მონიტორინგის ინტეგრირების საჭიროებას წყლის მონიტორინგის პროგრამებთან და მდინარის აუზის დაგეგმვის პროცესებთან. ეს არ წარმოადგენს მხოლოდ ოპერაციული ეფექტურობის საკითხს (შეაგროვე ერთხელ, გამოიყენე ბევრჯერ), რადგან მოცემული გზით უზრუნველყოფილი იქნება მონაცემების ხელმისაწვდომობა (მაგალითად, სხვადასხვა მიზნით გამოყენებისა და მომხმარებლებს შორის ფუნქციონალური თავსებადობის უზრუნველყოფით) და გარემოსდაცვით მონაცემებში შეუსაბამობების მინიმუმამდე დაყვანა.

რეკომენდაცია 12 | სპეციალური ზონების შიქმის კრიტერიუმებისა და პროცედურების შემუშავება

წყლისა და გარემოს დაცვის კანონმდებლობისათვის დამახასიათებელია სპეციალური ზონებისა ან არელების გამოყენება, გარკვეული საფრთხეების მართვისა და/ან გარკვეული დაცვის ღონისძიებების განხორციელების მიზნით. არსებობს გარემოს დაცვის სექტორში ამგვარი ზონების (დაცული ტერიტორიები და ა.შ.) ფართო გამოცდილება, მაგრამ ევროკავშირის წყლის კანონმდებლობაში არსებობს სხვა ზონებიც – მაგალითად, მგრძნობიარე უბნები ურბანული ჩამდინარე წყლების დირექტივის (UWWTD) ფარგლებში ან ნიტრატებისადმი მონყვლადი ზონები ნიტრატების დირექტივის ფარგლებში. საჭირო იქნება კანონმდებლობაში მკაფიოდ განისაზღვროს ამგვარი ზონების შექმნასთან დაკავშირებული პროცედურები (კერძოდ, რომელ ორგანოს ექნება მათი გამოყოფის უფლებამოსილება, როგორ მოხდება გამოყოფილი ზონების საზოგადოებისთვის გაცნობა და ამოქმედება და ა.შ.), უნდა შემუშავდეს ამ ზონების ფარგლებში ყველა დაინტერესებული მხარის პასუხისმგებლობების მართვასთან დაკავშირებული სახელმძღვანელო დოკუმენტები.

WWF კავკასიის წარმომადგენლობა

მ. ალექსიძის ქუჩა 11,
თბილისი, 0193, საქართველო
ტელ.: (+995 32) 2237500
www.panda.org/caucasus

WWF გერმანია

Reinhardtstraße 18
10117 ბერლინი, გერმანია
ტელ.: 030 311777-700
<http://www.wwf.de>

+100

WWF is active in over 100 countries, on 5 continents

+5000

WWF has over 5000 staff worldwide



+5M

WWF has over 5 million supporters

1961

WWF was founded in 1961



Why we are here

To stop the degradation of the planet's natural environment and to build a future in which humans live in harmony and nature.